

დღისთვის და საჩუქრისთვის



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЫЛИ САҚАРТВЕЛО

7 მარტი, 2014 წ. №9 (3695) ბამონდის 78-ე წელი შპს 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

მიხეილ სააკაშვილს მოუკვდა პაპრული და ნაბრულიც!..

(ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვის მე-10 წლისთავის გამო)

არადა, როცა შენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შენს თვალწინ აქრობენ და ესენი, არის თუ არა საჭირო, მაინც პატრულს გიქებენ, შეიძლება, თავი მართლაც ვერ შეიკავო და თქვა ის, რაც არც შენს ასაკს და არც შენს განათლებას არ ეკადრება!

აი, სწორედ ასე ვიყავი აღშფოთებული, როცა დავხვდი: „ამ მთავრობას მოუკვდა პატრული!..“

თუმცა, ჩემი ახლანდელი განწყობიდან გამომდინარე, უფრო უკეთესი იქნებოდა, პირდაპირ ასე დამეწერა:

„ამ მთავრობას მოუკვდა პატრონიც და პატრულიც!“

გნებავთ, ნატრულიც!..

ვერც ვერავინ გამამტყუნებდა, იმის მიუხედავად, რომ ამათ ჯერ მხოლოდ პრემიერ-მინისტრი მოუკვდათ!

უფრო სწორად, მოუკვლეს!..

ხოლო, ვინც მოუკლა, ის ჯერ არ ჩანს და კარგა ხანს არც გამოჩნდება!.. მით უმეტეს, როცა არც ეძებენ!..

გამოვიდა მინისტრი და დაასკვნა: ბატონო ჟვანიას სიკვდილი უბედური შემთხვევა იყო!..

ისე აშენდი შენო!.. – უთხრეს ბატონ მინისტრს და ყველამ ცალ-ცალკე დაიწყო ცალკეული დეტალების მოძიება!

რასაკვირველია, ამ მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ვერც მთავრობა აარიდებს თავს და ვერც მისი სანაქებო პატრული!

ხოლო, რაკი დღეს მთავრობისა და პატრულის ხსენება ცალ-ცალკე არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ მეტისმეტად არიან ერთმანეთს გადაფსკენილები, მეც ავდექი და, ჩემი ჭკუით, ესენი ამჯერად, როგორც ზემოთ ნახეთ, ასეთი ფორმით დავაკავშირე:

„ამ მთავრობას მოუკვდა პატრული!“

სხვას კიდევ სხვა ჭკუა აქვს და გამორიცხული არ არის, ასეთებმა ამ მთავრობას ასედაც უსაყვედურონ:

თუ შენი მმართველობის დროს მეტი სასიკეთო საქმე არაფერი გაგიკეთებია და მარტო პატრულით ტრაზახობ, მაშინ ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ „შენ მოუკვდი შენს პატრულს“-ო!

მე კიდევ ქვემოთ იმ კაცზე ვისაუბრებ, ვინც პატრულს კი არა, თავის ქვეყანას მოუკვდა!..

ეს კაცი ზურაბ ჟვანია იყო – ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი!

სხვა დროს, ალბათ, არა, მაგრამ ამ შემთხვევაში კარგიც კია, მე რომ მასთან არავითარი ურთიერთობა არ მაქვს და ახლა ვერც ვერავინ დამაყვედრის, თითქოს ამის გამო ვირჯებოდე!

რასაკვირველია, ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ირგვლივ ჩვენს გაზეთში გაშუქებული მასალების ობიექტურობის ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება!

ყოველ შემთხვევაში, მე პირადად ვერავინ გადამაჯერებს, რომ ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი არავის მოუკვლავს და უბედური შემთხვევისა გამო დაიღუპა!

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

მაგრამ ისეთი ხალხიც ხომ ვართ, რომელთაც ბატონი ვანო მერაბიშვილის იმ პირველადი და იმ ერთ-ჯერადი დასკვნისაც არ გვეჯერა, ამ „ყველაფრის მინისტრმა“ ტრაგედიის დადგომიდან რამდენიმე საათის შემდეგ რომ გააკეთა!

ჰოდა, იქნებ, გავგინიონ ანგარიში და ეს ადამიანებიც დაგვაჯერონ, რომ ვცდებით ჩვენ და არა ისინი – ძლიერი ამა ქვეყნისანი!..

არადა, ვაი, საყვარელო, სანყისი ეტაპისთვის რამდენიერად აქვთ მოფიქრებული მკვლელობის ანტურაჟი!

ერთ ბინაში თავმოყრილი მტკიცე სახელმწიფოებრივი ორიენტაციის ქართველი პრემიერ-მინისტრი, საექვო რეპუტაციის მქონე ირანული გაზქურა „ნიკალა“ და 25 წლის კეთილდღეობა აზერბაიჯანელი ჭაბუკი!..

მერედა, ეჭვის კიდევ უფრო მეტად აღსაძვრელად სამოქმედო არეალიც როგორ იდეალურ დროზეა გათვლილი – გვიანი ვახშობიდან მამლის პირველ ყვილაში!

სახელდახელოდ განყოფილ სუფრაზე (ვიდაცებს ამათი სიკვდილის მერე რომ გაუშლიათ!) გულს ახარებს ტაფაზე შებრანული მოკლე-მოკლე სოსისები და გრძელი ნარდი!..

ფორთხლის წვენი და კონიაკის თანხლებით – აგრეთვე, ამო-სურნელოვანი სიგარები!..

მაგრამ ამ ტრაგედიის დამდგმელებსა და მიზანსცენის ავტორებს, მათდა სამწუხაროდ, მთავარი დეტალი გამორჩენილია – სიკვდილის შემდეგ გაშლილ სუფრაზე ვიდაცას რაღაცისთვის ხელი ხომ უნდა ეხლო?

იქ კიდევ თითის ანაბეჭდები, როგორც ასეთი, არსად არის!..

არის გატეხილი ფანჯარა, ოღონდ იმ ზომის, რომ შიგ გამძრომი კაცი ჯერ ამქვეყნად არ დაბადებულა!..

გადასაღებ ოთახში, სადაც ეს სპექტაკლი თამაშდება, ჟანგბადის ოდენობაც ოდნავ დაწვეულია, მაგრამ ჰაერის ეს მარაგი, თუ მაინცდამაინც სასულე ორკესტრში ჩასაბერად არ გინდა და მხოლოდ სასუნთქად გამოყენებას აპირებ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ პირგაზაფხულამდე აუცილებლად გეყოფა!..

ერთი სიტყვით, იქ, საბურთალოს 53-ში, ყველა პირობაა საიმისოდ, რომ გადაბმული ქეიფი ან თუნდაც „გეიფი“ (როგორც ამას ე. ჯგერენაია იტყვოდა!) დილაამდე განიო!..

ცხადია, აქ არც სოსისის გამოთავების უნდა გეშინოდეს, არც კონიაკის და, მით უმეტეს, არც ჟანგბადის!..

ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაფერი დილაამდე გარანტირებული გაქვს – დილით კი, ალბათ, ამ ბინის დამქირავებელი ვასიკო მაღლაფერიძეც შემოივლის და კარს გააღებს!..

ასე მოხდებოდა ნორმალურ ვითარებაში, ხოლო სასიკვდილო მომენტი ამ ბინაში მხოლოდ ორ შემთხვევაში დადგებოდა!

ერთი მაშინ, თუ ვინმე ავისმოსურნე გაზქურა „ნიკალაში“ მომწამელებს გაზს მიზანმიმართულად აუნევიდა!..

და მეორე: ოთახში თავმოყრილ ცხედრებს გარედან თუ შემოიტანდი!..

ძვირფასო ხელისუფლებაც და თქვენც, ბატონო ძალოვანო მინისტრებო! ზემოთ მე რამდენიმე შეკითხვა დაესვი და, კარგი ბიჭები იქნებით, თუ იქიდან რომელიმეს უპასუხებთ!..

როგორც უკვე დარწმუნდებოდით, ბატონი პრემიერ-მინისტრი და მისი მუსლიმი ამხანაგი, თურმე, ჟანგბადის სინაკლულით არ მომკვდარან – ამერიკის ეროვნული ბიუროს გამოძიებლების გამოანგარიშებით, იმ მოცულობის ჟანგბადი, რაც მაშინ ოთახში იყო, მარტო ამ ორს კი არა, დამატებით რამდენიმე ათეულ კაცსაც ეყოფოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ამათ მთელი ლამის განმავლობაში სოსისზე სულაც არ დაეკარებინათ პირი და მარტო ჟანგბადი ესუნთქათ!..

ასევე, თუკი ბატონ ჟვანიასა და ბატონ იუსუპოვს თავიდანვე არ ჰქონდათ ჩაფიქრებული, რომ თავიანთი ეს თვითმკვლელობა ხელისუფლებისთვის დამალათ და საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე საგანგებოდ ხელებზე თეთრხელთათმანამოცმულები არ დასხდებოდნენ, ყოველად ნარმოუდგენელია, საყოფაცხოვრებო დანიშნულების რომელიმე საგანზე ან თუნდაც პროდუქტზე საკუთარი თითების ანაბეჭდები არ დაეტოვებინათ!..

ბატონებო!

თუ გიჟად არ მთვლით, ჩემი ეს ორი შეკითხვაც საკმარისი საბუთია იმის გასაცხადებლად, რომ ეს უბედური შემთხვევა იმ ბინაში არ მომხდარა!..

რასაკვირველია, თქვენ ამ შეკითხვებს ვერ უპასუხებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ რომელიმეს გსმენიათ ან გაგონილი გაქვთ ლაროშფუკოს სახელი, ამ ფილოსოფოს კაცს აქვს ერთი ასეთი გამონათქვამი და შეგიძლიათ ნიშნის მოგებით განმიცხადოთ:

„ერთი გიჟი შეკითხვას რომ დასვამს, იმას ზოგჯერ ათასი ბრძენიც ვერ გასცემს პასუხს!“-ო.

კი, ბატონო, მე გიჟად ჩამთვალეთ და თქვენ იყავით ჭკუისკოლოფები, მაგრამ თქვენი მხრიდან მაინც დიდი უჭკუობა იქნება, თუ ამ ტრაგიკულ მკვლელობას დროზე არ გახსნიო!..

ცხადია, ესეც იმ შემთხვევაში, თუკი ეს სისულელე თქვენ თავად არ ჩაგიდენიათ!..


ამ ეჭვის საფუძველი კი ნამდვილად არსებობს!

საქმის გახსნას გეხვეწებით მე, ანუ ის კაცი, რომლისთვისაც ბატონი ჟვანია ამქვეყნიურ არსებობას გულისტკივილის მეტი არაფერი მოუტანია!

თქვენ კიდევ ამ კაცმა ჯერ ცივ ქვაზე დაგასახლათ და მერე თავისი ხელით ხელისუფლებაშიც მოგიყვანათ!..

მეტი რა ექნა?!

არადა, რაკი ამ მკვლელობის გამოძიებაში მაინცდამაინც დიდ დაინტერესებას ვერ გატყობთ, ამიტომ, ნუ გენყინებათ და, ამ ირონიამერულ შეკითხვას ხელახლა დაგისვამთ – „ხვარაფერშია“ საქმე, ბატონებო?..



გენი ყველანაირად

წავსწავლავს სწავლებას უფროსნი

- უფალო, ტყვია გავარდა შაბათს, წყაროსთან უცხო ჭაბუკი მოკლეს, ჭაბუკი იგი წყაროს წყალს სვამდა, მზე იდგა ტყისპირ... დღე იყო მოკლე.
- სოფელი იგი, ვით ძველი ქორო, გლოვობდა ამგვარ იღბალს და სიკვდილს. მზე ჰგავდა ნაბლის მენამულ ფოთოლს, შეღებილს უცხო ჭაბუკის სისხლით.
- უფალო, მთელი წელია ვცდილობ, როგორ გაგიტოლო ლოცვებით გული, თვით ნათელქმნილო, ძეო და ძირო, თავად ცხოვრება ყოფილა რთული.
- წარსული, ანმყო – მომავლის თასი – საცხეა შენი ციური სხივით, დიადი ფიქრით, ნათელით მავსებს საკურთხეველი და წმინდა წიგნი.
- უფალო, მარტის ქარია გარეთ, თითქო ალალი გადადის ბოგირს, შაშვი, ბულბული მეცნობა ხმაზე, ტყე და მინდორი – გუგულის გონგით.
- მარცხენა ცერზე მიმინო მიზის, ოცხეს კაჟით ყვითელი ბრჭყალით, მესხეთის გზაზე წვიმაა, ნისლი და ტყის ელივით შრიალებს წყალი.
- უფალო, ძილად შემდგარის ლოცვა, – არის ეს ტროფი – მალამო გულთა, უმანკო, როგორც ქალწულის კოცნა, ანკარა, როგორც ლაჟვარდი სუფთა.
- თოვლის ფიფქით წამწამზე ფეთქავს იასამნის და იასპის ფერად, ტფილი და ნელი, ვით ჩემი სევდა, გულზე ვარდთა და ვარსკვლავთა ცვენა.
- უფალო, ცივა, სანთელი ჩაქრა, ჭრიჭინობელი საფეთქლებს ხერხავს, ბზინავს წყვილიადი, ვით შავი ქარვა, დგას მონყენილი სარკმელთან ვერხვი.
- და ღამეული მაკვირებს ჩქამი, ვით მინიერი ცოდვა და მადლი, მეგონა, უფლის მეჭირა თასი, მე თურმე შენი თასიდან ვსვამდი.
- უფალო, წითელ-ყვითელი ფერით მოირთო შენი ეზო და ბანი, ტყის ქათამივით გასუქდა მწყერი, – მზით და აღმასით გაივსო ტანი.
- ღვთის მხევალივით ღულუნებს მტრედი, წმინდა სახელის საფლავის თავთან... მოჩარდახული მზე კარაღეთის ჰგავს ოქრონაყარ აგვისტოს თავთავს.

- უფალო, ბერი მოადგა საყდარს ერთგული ძის და მსახური მართლის, დალოცა მრევლი... გახედა ცარგვალს შენი დიადი წყალობის მადლით.

ნათელმოსილი შეუდგა აღმართს ჩამავალი მზის აგასფერ შუქზე... და, ოდეს შედგა მაცვლების ბალთან, მეგონა, ცეცხლი ეკიდა ბუჩქებს.

- უფალო, დიდი ყინვები იდგა წლელს – იანვრის, თებერვლის დამდევს, ჭირხლი ჭორფლივით ლუოდა მინდვრად, თითქო ანგელოზს ოქროში ბანდნენ.

ხელფეხშეკრული ტიროდა ღელე – ვით შვლისთვალედა და ნაზი დად, ცა ჰგავდა ჩითის იისფერ ფართალს და დედაჩემის შეკერილ საბანს.

- უფალო, ხვამლის, ფაზისის ზეგანს სულ სხვა ფერი და ხიბლი აქვს ქვეყნად, თითქო აქ შევხვდი ფორთოხლის შაგალს, კაკაბაძესთან და შენთან ერთად.

აია ჩვენი – შემკული ყოვლად – ტანადი, მარჯი და სანაქებო, უსიყვარულოდ, უთქვენოდ ყოფნას, სიკვდილი მიჯობს, მამულის მთებო!

- უფალო, ქრისტეს ნატერფალს ვხედავ, იქ, შენთან, ცაში, იქ, შენთან, მალა... და იღუმალი მანვალეებს სევდა ზეთისხილების პატარა ბალთან.

აქ იდგა იგი – მოსილი შუქით – ნათელღებულ მალაღი ნებით, წყალივით მშვიდი შვენოდა შუბლი და აგასფერი მხრები და ფრთები.

- უფალო, ჩემი სწორფერი მოკვდა – ზღვას და მდინარეს შებრდილი მამრი, პირთამდე საცხე გაუტყდა კოკა, გაუსკდა გული დარდით და ჯავრით.

ფიქრით, ნაღველით იკლავდა წყურვილს და ჩემებრ ჩუმად ყლაპავდა ცრემლებს, ამოსდიოდა წვალეებით სული და ნუხდა მაინც სამშობლოს ბედზე.

- უფალო, მარჯი ნიკალას დუქანს, ღვინის და ვარდის ალისფერ აღმართს, მთვარეს – ღვინოში გახარჯულ თუმანს, მზეს – სწორუპოვარს და შენებრ მალაღს.

მარჯი მეტეხის კაჟისფერ კედელს – მეზადურივით მუხლამდე წყალში ჩამდგარს და – ძველი თბილისის ხედებს, მორთულს ნუშების მსუბუქი ნაყმით.

- უფალო, ვფიქრობ, ვფიქრობ და ვფიქრობ, ვით შემოგნირო ცოდვილი თავი, – ასე მოთქვამდა აკაკი სხვიტორს, იმ შაბათ-კვირას – დღითა და ღამით.

გზას გაჰყურებდა გოლგოთის სადარს, ცრემლი უწვავდა სახეს და თვალეებს, ვერცხლი ცვიოდა მაცხოვრის საყდარს და ნარინჯისფრად ინვოდა მთვარე.

- უფალო, როგორც პაუნდი ამბობს: „რტოებს პალმისას ნუ შეატოკებთ“, ძეს სძინავს შენსას – ღვთიურს და სათნოს, ძეს, ჩვენთა გულთა მეტრფეს და მპყრობელს.

მალე გაცდებდა ბეთლემის მხარეს – გავარვარებულს მდულარე სიცხით... საკუთარ თავზე აიღებს ხვალე სამყაროს ყველა ცოდვას და სირცხვილს.

- უფალო, თეთრი შროშნების ქალაქს ანგელოზების უფალოებს გუნდი, ვენეციური ჭალივით ბრწყინავს კამელიების ბაფთა და ქუდი.

ეს სამოთხეა, სამოთხე სრული – თავისი ვერძით და ოქროს პეშვით... პეპელასავით ამომდის სული ამ უზენაეს სინმინდის თვეში.

- უფალო, ერთი კითხული კაცი – ახსოვს და უყვარს მეტეხის უბანს, შემოდოდა საყდარში ღამით და პატიებას შესთხოვდა უფალს.

მეუფე ჩვენი, მოძღვარი მისი – ხატივით ნათელს აფრქვევდა ირგვლივ... და ნათებოდა სანთლებით ცვილის სჯულის კანონი და წმინდა წიგნი.

- უფალო, ერთხელ ვიხილე იგი ზეთისხილის და ასკილის რტოთი, გადმოჭრა მთები და, როგორც მკვიდრი, მიადგა ქალაქს მთავარი კორდით.

გახედა არმაზს, მტკვარსა და მცხეთას – ვარდის და ვაზის სანერგე მიწას, დაეცა მუხლზე და დღემდე ლოცავს ღვთისმშობელს ჩვენსას და ყველა წმინდანს.

- უფალო, გულით მოგენდო იგი, აქ პოვა შენი ღვთიური სახე, აქ პოვა მძიმე ჯვარი და წიგნი, სამსჭვალის, კვართი და მთელი სახლი

მისთვის ზეობის კუნძულად იქცა, სადაც დილიდან თორმეტი მღვდელი ბეჯითად სწირავს და საღვთო მიწა ყოველდღე ახალ სასწაულს ელის.

- უფალო, მრევლის სახელით გეტყვი: აღდგომის მზე ხარ, მთვარე ხარ ჩვენი, გვიყვარხარ, მთელი არსებით გეტრფით, შენზე ვლოცულობთ და შენთან ვრჩებით.

და, ოდეს წმინდა წერილებს გაშლი და გადმოგვხედავ წყალობის თვალთ, გეტყვით: შენია სუყველა ბავშვი, ღვთის რჩეულია სუყველა ქალი.

- უფალო, ყველას სადარდელს ვდარდობ, დღითი დღე მიჭირს სუნთქვა და ფიქრი, ვით ჩემს სამარეს, დავეყურებ მალღობს, გაფეთქილს თეთრი შროშნების ფიფქით.

ყოფნა-არყოფნის ზუზუნებს ქარი, აგერ, ჩემს გვერდით, აგერ, ჩემს ახლოს, ღმერთო, გამიღე ის დიდი კარი, რომ იქ ნამდვილი კაცები ვნახო.

დღეს, როგორც იქნა, გამოჩნდა ბოლო დღეებში ქართული ოცნების კოორდინატორების საუბრობა თუ სხვა საარჩევნო უბნების დამკვირვებელთა უკანონო, სერიული დაპატიმრებების სამართლებრივი შეფასება.

Human Rights Watch – „ადმინისტრაციული დაკავების წესის ბოროტად გამოყენებით საქართველო არღვევს საერთაშორისო ვალდებულებას.“

გერმანული კვლევითი ცენტრი ორსა – კვლევის თანახმად, „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, გამოკითხულთა 65% „ქართულ ოცნებას“, 25% კი ნაციონალურ მოძრაობას მისცემდა ხმას. ...

ორსა-ს წარმომადგენლის განცხადებით, ავგისტოს კვლევასთან შედარებით, „ქართული ოცნების“ პროცენტული მაჩვენებელი 16%-ით გაიზარდა, „ნაციონალების“ „18“-ით შემცირდა...

აღნიშნული კვლევა 20-დან 25 სექტემბრამდე ჩატოვლით პერიოდს მოიცავს.

29 სექტემბერს თბილისსა და ქუთაისში გაიმართება კოალიცია „ქართული ოცნების“ მანიფესტაცია. დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი მოვა თბილისსა და ქუთაისში.

მიშამ დაასწრო ბიძინას და დღეს, 28 სექტემბერს, გამართა ნაცმოძრაობის შეკრება დინამოს სტადიონზე, მაგრამ რად გინდა, ერთი სტადიონი ხალხიც ვერ მოაგროვა და ისინიც ძალით, სულ ბუზღუნ-ბუზღუნით წამოვიდნენ ექსკურსიაზე. ჩამოიყვანეს პედაგოგები, რაიონებისა და სოფლების გამგებების თანამშრომლები, რეზერვისტები, პრობაციონერები, მასწავლებლები და მეხანძრეები, მუნიციპალიტეტის მუშები, მესაფლავეები, ახალი სასაკლავოდან ყაბჭები, ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლები, ანუ ყველა იმ ბიზნესის ხალხი, რომელიც მიშას ექვემდებარება, მექისეები გოგირდის აბანოდან, მზარეულები და მიმტანები რესტორნიდან, დღიური მუშები გზათა მშენებლობებიდან, ზონდერები, სექს-ინდ-მენარმეები მთელი საქართველოდან და, რა თქმა უნდა, სოფი და კუდი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილი პოლიცია სრული შემადგენლობით, ოჯახის წევრებთან ერთად; ავტოსადგურების და რკინიგზის მუშაკებს რეისები გაუუქმეს და დინამოზე უკრეს თავი..

ერთი სტადიონი ხალხით უნდა არჩევნებში გამარჯვება??

რაც ხდება, მკაცრი ლოგიკის შედეგია. უმრავლესობამ უარი უთხრა ჩამოშლილ ხელისუფლებას. დაგროვდა უამრავი ამაზრზენი ფაქტი; აღარ ჩამოვთვლი, მაგრამ ყველა და ყველაფერი გადაფარა პატიმართა წამებამ, პატიმრების ცემა და ცოცხებითა და დუბინკებით გაუპატიურების საშინელმა პრაქტიკამ, რაც მშვენივრად იცოდნენ გათავისუფლებულმა მინისტრებმა და ყინად მზირალმა პრეზიდენტმა, რომელიც მთელ ძალდონეს დებდა გამეჩხერებული ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო საქმიანობაში. დაპეპილილი მამალივით დადის, ჩაილაპარაკა დანიელმა და ხელი ჩაიქნია..

მაინტერესებს აეროპორტში საზღვარგარეთის რეისებზე ბილეთების შექენის დინამიკა.

მისი/მათი ბოლო იმედი პირველ ოქტომბერს მასტ ქერის გამართვას. არ გამოვრიცხავ პროვოკაციებსა და ტერორს. ასე თუ მოხდა, ეს იქნება მათი სასიკვდილო გაფართოება. სააკაშვილმა სხვაზე ბევრად უკეთ იცის, როგორ აკონინებენ და კრებენ ხალხს იძულებით მთელ საქართველოში, მაგრამ იხტიბარს არ იტებს, „აბა, შეხედეთ რამდენი ვართ?!“ ეს სპექტაკლი თანამოაზრეების და მერყევი ადამიანების გადმოსაბირებლად სჭიდება და კიდევ იმის არგუმენტად, რომ აუ, რამდენი ვართ, შესახოს ცრუ სიამაყით. სიცრუეს ხმის ტემბრი ამჟღავ-

ნებს, გასცემს და ინფორმაციას შინაარსს უცვლის.

ბრალი ამ ხალხისა, ვინც მის მხარეზეა და ეწირება ცრუ რწმენას; ბრალი იმათი, ვინც შიშმა, სამსახურის დაკარგვის შიშმა მოიყვანა აქ და, საერთოდ, რა საბრალო ხალხია ეს მიტინგების და წინასაარჩევნო შეკრებების კოორდინატორ-აქტივისტები... ვინ გაუბედავს და ვინ ეტყვის სიმართლეს, რომ ახლა სააკაშვილის მექანიკური მოძრაობები და უაზრო ქაქანი კიდევ უფრო დაბლა სცემს ნაცმოძრაობის რეიტინგს. ვინც მას მიეკარა, ყველა ჩაიძირა. ეს არის ლიდერის დევალვაციის უდაბლესი საფეხური, ზღვის დონიდან რამდენიმე მეტრის ქვეშ, საიდანაც, ცდილობს, ამოძვრეს, მაგრამ საკუთარი ურთიერთგამომრიცხავი მოძ-

დანაშაულით აკვლანი

რაობები ისევ დაბლა ეწევა ჭაობის სიღრმეში. ჭაობმა ჩასჭიდა მკლავები და ისე ჩაიხუტა გულში, რომ თავს ვეღარ აღწევს. მაინც ცდილობს, დაუსხლტეს საკუთარ თავს, გამუდმებით ერთპარტიულ ჭაობს რომ ეყრდნობა, სადაც იძირება დღითიდღე...

„ამომრჩეველთა ლიგა“

„ამომრჩეველთა ლიგის“ წარმომადგენელი საქართველოს მასშტაბით 1200 საარჩევნო უბანზე ხმებს პარალელურად დაითვობს. გარდა ამისა, „ამომრჩეველთა ლიგა“ 400 უბანზე საეგზიტპოლო გამოკითხვას ჩაატარებს ყველა წესის დაცვით. გამოკითხება ყოველი მეშვიდე ამომრჩეველი. გამოკითხვა ანონიმურობის სრული დაცვით განხორციელდება“, განაცხადა კოკა გუნცაძემ.

„ამომრჩეველთა ლიგა“ ეგზიტპოლის შედეგებს პირველ ოქტომბერს, 20. 00 საათზე გამოაქვეყნებს, ხოლო პარალელური დათვლის შედეგებს პირველი ოქტომბრის დღის ბოლოს შეაჯამებს.

29 სექტემბერი

ყველაზე სახიფათო დღე ორი ოქტომბერია. თუმცა, შესაძლოა, პირველ ოქტომბერსაც გვიან ღამით გამოვარდეს და თავი გამარჯვებულად გამოაცხადოს. აბა, რუსებს ხომ ვერ დაუტოვებს მის აშენებულ ქვეყანას?! აუცილებლად გააყალბებს, ეჭვიც არ მეპარება, ფეხზე ჰკიდია უცხოელი დამკვირვებლები. შეიძლება ბელორუსიდან მოწვეული მონიტორები გამაზოს და მათ ცრუ დასკვნებს დაეყრდნოს. ტყუილად ხომ არ გააბრუნა ამერიკელ დამკვირვებელთა რომელიმეც ჯგუფი და ჩანაცვლა ბელორუსებით. ეს გათვლილი ნაბიჯებია, რომელსაც ცრუ შედეგი უნდა მოჰყვეს.

„ამომრჩეველთა ლიგა“ თუ პარალელური დათვლის შედეგებს – პირველ ოქტომბერს დღის ბოლოს გამოაქვეყნებს, ხოლო ეგზიტპოლებს გაცილებით ადრე, მაშინ თუ რამეს აპირებენ ნაცები, თადარიგს ადრე დაიჭერენ.

ხელისუფლება არჩევნების შემდეგ გაითიშავს ოპოზიციურ მაუწყებლებს და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დარჩება ინფორმაციულ ნეკვდიადში. ეს დრო ყველაზე მოსახერხებელია იმ ხალხზე შურისძიებისთვის, ვინც, სავარაუდოდ, გაყალბებული ხმების დასაცავად გამოვა ქუჩაში. სათუო სცენარის შედეგი ამ ხელისუფლების სრული კრახი იქნება. მერე წავლენ და გაიკრიფებიან ქვეყნიდან, მაგრამ...

მიწანერი: ვინ გაარჩევს ჭორსა და მართალს? დეზინფორმაციას წაგებულეები ავრცელებენ. თუმცა, არ გამოვრიცხავ სააკაშვილისგან ცალკეულ შურისმაძიებელურ, დაუნდობელ ქმედებებს.

ზეიმი

დღეს თავისუფლების მოედანზე მივედი ადრინადა და წერეთლის წმინდა გიორგის კიჩთან დავეყუდე.. ჩემსავით უამრავი ადამიანი მოქცეულა და მოედანი, რუსთაველის გამზირი გადაჭედული იყო და უწყვეტად გრძელდებოდა ხალხის სხვადასხვა ნაკადის შემოდინება და ბოლოს ფეხისმოსაქცევი ადგილიც აღარ დამრჩა.

მე არ მახსოვს ამდენი ადამიანის თავშეყრა ცხრა აპრილის საპროტესტო აქციისა და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდის გარდა, ასეთი გრანდიოზული მანიფესტაცია არასოდეს ყოფილა. ბედნიერი, გაღიმებული ადამიანები, ძალადობას გამოირიდებული ხალხი სახეგანათებლები მონივრდნენ რუსთავე-

ლის გამზირისკენ და ყველა ცდილობდა ტრიბუნასთან მიახლოებას, მაგრამ უადგილობის გამო თანდათან შეგუბდა დინება და ლამის ზემელამდე გადაიჭედო მთელი სივრცე, როგორც თვითმხილველები ამბობენ.

ახლა ამითი შეკავება, შეჩერება, მათი გადანყვეტილების ჩაკვლა აღარავის შეუძლია. ასეთი მშვიდობიანი ფერისცვალება არასოდეს მინახავს.

მახსენდება დაუფინყარი 14 აპრილი, 9 აპრილი და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, მაშინაც გადაჭედული იყო მთელი რუსთაველი და ასეთივე შემართება მეფობდა. ხალხის ოდენობას ვერ შევადარებ, რადგან ასე ზუსტად შეუძლებელია მეხსიერებით აღვივდინო მაშინდელი სურათი, თან მაშინ ვინ ითვლიდა გუგლის მეშვეობით მომხილვებებს. ეს საქმე კვბ-ს ხელში იყო და ალბათ მათი მეხსიერება ინახავს ასეთ ფაქტებს. მე მახსოვს უამრავი ადამიანი და განათებული გულები. ახლაც, გულანთებული ადამიანები ეშურებოდნენ აქეთკენ, ყველა თავის ადგილს პოულობდა, თუმცა საყრდენი ერთი ჰქონდათ მოლოდინით დამუხტულებს.

მოვიდა ბიძინა და გუგუნმა გადაუარა მთელს ქალაქს, შეძახილებმა და ყიჟინამ გადაუარა მომიტინგეებს.

მივხვდი, რომ სააკაშვილის ბაირობა დასრულდა, მაგრამ მიშის განცდა მაინც არ მტოვებდა.. შიში, არა საკუთარი ბედის გამო, არამედ ამ ხალხის გამო, რომელიც ხელცარიელი, იმედით გამსჭვალული, მშვიდობიანად გამოხატავდა თავის ნებას და ამ ნებას ველარავინ წაართმევდა. დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, სამსახურებიდან აძევებდნენ, ოჯახის წევრებს უსამსახუროდ უტოვებდნენ და ასე უსახსროდ და რეჟიმის წნეხიდან გამოღწეული ადამიანები თავს იყრიდნენ თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, სადაც უნდა დამთავრებულიყო სააკაშვილის ტრაგიკომიკური მმართველობის რეჟიმი. უცნაურია, მაგრამ მისი ყოველი ქმედება – სასტიკიც კი – რატომღაც იძენდა გროტესკის ელფერს და არასერიოზული განწყობა ეუფლებოდა ყველას, დიდსა თუ პატარას, ინტელექტუალს თუ მევენახეს, კაცს თუ ქალს. გროტესკი ჩაუდგა კვალში სააკაშვილის გააგებულ ქმედებებს და დაუნდობლად დასცინოდა ნაკულ რეჟიმს, რომელსაც ადამიანურობა არათუ აკლდა, არამედ არც მოიაზრებოდა მათ საციტელში და ემგანებოდნენ დაქოქილ რობოტებს, მუტანტურ არსებებს, რადგან ადამიანობადაკარგული ტიპები კარგავენ ყველაფერს, რასაც მათთვის სიბრალოდის, თანადგომა ან თანაზიარება ერქვა ოდესმე. პარტიული ბრძოლა ელიტარული კორუფციის თანხლებით უამრავ დანაშაულს ჩადიოდა მთელი ერის წინაშე და სტატისტიკის მანიპულაციით და უახლესი მითების გამოგონებით იოლად გადიოდა ფონს, მაგრამ ვირტუალური რეალო-

ბივი ალხაიზილი

ბა, სინამდვილეში ფუტურო და არარეალური მალე იმსხვერვოდა ადამიანების თვალნი და კომპიუტერული თამაშების პერსონაჟებად წარმოდგენილი ასიათასები თანდათან აზრზე მოვიდნენ და შეიზიზღეს ის, ვინც თოჯინებით ექცეოდა ადამიანებს და თავის ნება-სურვილზე აბურთავებდა მათ ბედსა და მომავალს. ისინი ახლა ამ მოედნისკენ მოედინებოდნენ ყველა ქუჩით, რუსთაველს და თავისუფლების მოედანს რომ შეერთვის. ამდენი ხალხის იმედების აღსრულება უმძიმესი ტვირთია და ძნელად შესასრულებელი. მივხვდი, რომ ჩემი შიში სწორედ ამ ალბათობას უკავშირდებოდა და წინმსწრები დასკვნების გამოტანას და დახვევებას თავი ვანებე, მაგრამ უფრო გვიან, საზეიმო მიტინგის დასრულების შემდეგაც არ მომეშვა დაეჭვების ეს განცდა, თუმცა სიხარულიც თავისას მკარნახობდა. პირველად ვნახე ბერას სიმღერაზე აცეკვებული მოხუცები და თვალი ამიცრემლდა, ცოტაც და, უკონტროლო ბგერები ამოაღწედა ხორხიდან. თავს ძალა დავატანე, არ ავღმუფლებულიყავ. მათი გაბრწყინებული თვალები არასოდეს დამავიწყდება. მივხვდი, რომ სიცრუით გადაღლილი ხალხი – სიმართლეს, ღირსების დაბრუნებას, იმედს და დაუმალელებელი ლუკმა-პურისთვის დასაქმებას თხოულობდა, სხვას არავფერს, სრულიად არავფერს.

დანიელის მიწანერი: თუ ხვალ არჩევნები კიდევ გაყალბდა და თუ კიდევ ჩააფურთხეს ხალხს სულში, და თუ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დაუკანონეს სიყალბე, მაშინ ჩათვალე, რომ საქართველო საბოლოოდ გატეხეს ნელში და ყოველგვარი შეთქმულების თეორიის აკვიტების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მენტალობის წაშლას, ჩვენს სამუდამო დაბეჩავებას, გაქრობას ალასრულებენ. ამაზე დაფიქრებაც არ მინდა. ვერ წარმომიდგენია მთელი საქართველოს გაცუცურაება, დაცინვა, აბურხად აგდება, დამცირება, გაპარტახება, დაკნინება, უარყოფა, მიფუჩქრება, მიყურისძირება, კედელთან მიჭყელება, ბალახივით მოცელება, გაბითურება, დაჩოქება...

მაინც ვერ დავგანოქებთ! თქვენი დედაც...! და აქ გამოიკვეთა ქართული ფონეტიკური -ტყ- კომპლექსი, როგორც სიცოცხლის ჩასახვის და აღორძინების უ-ტყ-უარი საშუალება.

ტყ-უილად არ უსწავლდება მზექალა შანიძეს ჩემთვის ძველი ქართული ენის გრამატიკა და არა მარტო ჩემთვის. თუმცა, გრამატიკის ცოდნის გარეშეც იოლად ახერხებენ ქართველები მოძალადის მამაპაპურად შეკურთხებას და დაკიდებას!

ყველაზე გასაკვირი, რაც დღეს დანიელს თავს გადახდა, ერთი ქალბატონის განწმაცტება და გაუწონასწორებელი რეაქცია იყო. არჩევნებში ივანიშვილის კოალიციის მოსალოდნელ გამარჯვებაზე რომ სიტყვა დაძრა დანიელმა, ეს ქალბატონი კინაღამ ტანსაცმლიდან ამოძვრა, მაგრამ დანიელმა ხელი შეუშალა, მთლიანად გაეძრო გახუნებული ძონძები. რამდენიმე არგუმენტი შეაგება ქალბატონს პრეზიდენტის ქცევებისა და ქმედებების უზარმაზარი კოლექციიდან და დანიელს რომ ვერ უპასუხა, წამოწითლდა, ხმა აუკანკალდა და დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა, თანამოსაუბრის გასაგონად, ისე, რომ ზედაც არ შეუხებავს სიბრაზით ანთებულს: ვაიმე, როგორ მჭირდებოდა სააკაშვილის ერთპარტიული პარლამენტის შენარჩუნება. ახლა მოვლენ ისინი, გოიმები და ზედმეტად ტრადიციონალისტიები და, არავინ იცის, რას გააკეთებენ, რას ჩაიდენენ...“ დანიელი ვერ მიხვდა, რაში უნდა დასჭირვებოდა ამ ასაკოვან ქალბატონს, შვიდ ათეულ წელს გვარიანად გადაცილებულს, ნაცმოძრაობის უმრავლესობის შენარჩუნება პარლამენტში,

►► გე-3 გვერდიდან

რაც უკვე შეუძლებელი იყო, როგორც თვითონვე თვლიდა. ისიც კი იცოდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ ეყოლებოდა სააკაშვილს და ის სხვები, ბიძინას კოალიცია, რითი ემუქრებოდა, ვერაფრით ახსნა. სამარშრუტო ტაქსიში გაუნათდა გონება და ლოგიკურად დალაგდა მიზეზი, რისთვისაც წუხდა დედა - მისი შვილი ხომ ცისფერია თუ რაღაც მსგავსი ან უარესი?! ე.ი. ახალი ხელი-სუფლების ლოიალობის არ სჯერა სექსუალური ურთიერთობის მიმართებაში... აა, ხედავ, რა ხდება?! მთელი ქალაქი ქორაობდა მის ვაჟიშვილზე - გეი კი არა, მგონი უარესიაო. ეს უარესი რას ნიშნავდა, ვერ ხვდებოდა...

30.9.2012 ნაცმოდრობის განცხადება

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხვალ ამომრჩეველთა მონვევის კამპანიას განახორციელებს. ამის შესახებ დღეს „ნაციონალების“ პრესსპიკერმა ჩიორა თაქტაქიშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამომრჩეველის მობილიზაციისა და მონვევის კამპანიის ფარგლებში მხარდამჭერების ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფასაც გეგმავს. თანხები კი მოძრაობის საარჩევნო კამპანიის ფონდიდან იქნება გაღებული.“

ამ მოძრაობებს, ალბათ, კარგად დააკვირდება ათასობით დამკვირვებელი. ამ განცხადების და მჭაჯარინის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ აღიდგინა, უფრო შეივსო ამომრჩეველთა რიგები და ტოლს არავის დაუდებს, კიდევ ერთხელ განმიმტკიცდა ვარაუდი, რომ ესენი ხვალ არჩევნებს აუცილებლად გააუქმებენ ან ტოტალურად გააყალბებენ. თუ მიუშვებს, ცხადია. ამ ეჭვს ამყარებს პარტიის წევრებისა და აქტივისტების უზნებზე გადაყვანა და უზნების მისადგომებთან განლაგება, როგორც გვაუწყებენ განცხადებით.

P.S. რამდენიმე დღეა, ტელეკომპანიები აცხადებენ, რომ არ არის ავტოსადგურებში საკმარისი ტრანსპორტი, მოქალაქეები რომ თავიანთ რაიონებში გადაიყვანონ, მიზეზი ის გახლავთ, რომ სამარშრუტო ტაქსების უმრავლესობა დაიქირავა ნაციონალურმა მოძრაობამ „ამომრჩეველთა მობილიზაციისა და მონვევისათვის.“

გვიან ღამით შემზარავი ამბავი გავრცელდა მეცხრე არხით. გურჯაანის რაიონში, სოფელ კოლაგში, ცხრა თვის ჩვილი ვერ ნახეს ოთახში, სადაც დედამისმა დააძინა და ბოლოს, ძეხნის შემდეგ, წყლით სავსე ქვევრში იპოვეს ჩამხრჩვალნი. ვინ ჩაიღინა ეს გაუგონარი დანაშაული, არავინ იცის. მანანა ბერიკაშვილი, გურჯაანის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი, ავრცელებდა ინფორმაციას, რომ იმავე ოჯახში, სადაც ეს უბედურება მოხდა, დილით მოლოტოვის კოქტეილი შეაგდეს, რამაც ხანძარი გააჩინა ბინაში. ოჯახის დასახლისი, როგორც ამბობდნენ, „ქართული ოცნების“ კოორდინატორია.

არ ვიცი, ძიება რაიმეს მიაკვლევს და გამოაშკარავებს დამნაშავეს თუ ამ უცოდველი ჩვილის მკვლელსაც ხელს დააფარებს...

ღირს კი მაჟორიტარის მანდატის მოპოვება ჩვილის სიცოცხლის ფასად?! წარმოუდგენელი დაუნდობლობა და სისასტიკე გამომჟღავნდა, რომელსაც ჰყავს თავისი შემკვეთი და აღმსრულებელი.

როგორც ირკვევა, ჩვილის მამა მეორე დღეა პოლიციამა დაკითხვაზე და არ ჰყავს ადვოკატი. ასეთი გაუგონარი ძალადობა სუფევს გურჯაანში.

ძალადობა, ძალადობა, ძალადობა.....

1 ოქტომბერი

მოულოდნელად საარჩევნო უბანთან შეკრებულ ადამიანებს, თავის ხმებს რომ იცავდნენ გამყალბებლებისგან, თავს და-

ესხა „სპეცნაზი“ და ცრემლსადენი აირით და რეზინის ტყვიებით მიმოფანტა. ამაზრუნენი სანახავია ხალხის დარბევის კადრები. არადა, უამრავჯერ შევსრებივარ მსგავს ძალადობას 9 აპრილიდან მოყოლებული დღემდე, ან უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. ხაშურში ხდებოდა ეს საშინელი ამბავი და, როგორც გაირკვა, საარჩევნო უბანში არსებული შედეგების გაუქმება იყო ნაბრძანები. აქ კენჭს იყრიდა ვალერი გელაშვილი - პრეზიდენტ სააკაშვილისგან დასჯილი და საქართველოდან გაძევებული სუბიექტი. მასსოვს, ნიღბიანებმა რომ სცემეს ქუჩაში, ისე სცემეს, რომ ხელახლა აანყვეს ნაწილი-ნაწილ დაშლილი ადამიანი. ამ სისასტიკის ავტორი, როგორც ქვეყანა ამბობდა, სააკაშვილი იყო. ...და აი, ახლაც გამოჩნდა ცნობილი ფიგურანტი, სათავისოდ რომ ვერ შეცვალა არჩევნების ბედი და ახლა სპეცნაზის მეშვეობით შეეცადა, ასე თავხედურად დაერბია ამომრჩეველების თავშეყრა და გაუქმებინა იმ საარჩევნო უბნის მონაცემები, სადაც ვალერი გელაშვილმა გაიმარჯვა. ეს ჭირვეული ადამიანი, რომელიც სისასტიკით და დაუნდობლობით გამოირჩევა, ნებისმიერი საქმის კეთებისას თამაშობს არასრულწლოვანი ბავშვივით. არ უყვარს არავითარი რჩევის მოსმენა, საერთოდ რაიმეს გაგონება და დამოუკიდებლად პოულობს გადაწყვეტილებას და თავებობს.

ხაშურში სპეცნაზის გამოჩენა მისი ისტერიის ექოდ გაისმა, რომელმაც მიაღწია გორს, ქუთაისს, არაერთ რეგიონს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ხმებს იცავდნენ ამომრჩეველები გამყალბებისგან, ეს კი, მთავარი გამყალბებელი ცდილობდა, ძალადობით შეეცვალა, გადაენერა არჩევნების მოსალოდნელი შედეგები. ვფიქრობ, გარკვეულწილად მოახერხა კიდევ და თავის პარტიას დამატებითი ხმები არგუნა.

თავად განსაჯეთ, როგორი გადაწყვეტილება მიიღო უფროსმა: ყველა საარჩევნო უბანში, სადაც მისთვის არასასურველი შედეგები დაფიქსირდა, „სპეცნაზის“ გამოყენებით, ე.ი. ძალადობით შეეცვალა სურათი ან საერთოდ ფანჯრიდან გადაეყარა დანაკუნებული საარჩევნო ბიულეტენები და კიდევ ერთხელ დაეკიდა ხალხის ნება.

ერთი შეხედვით, რა მედიდურად საუბრობენ ეს ტიპები, ახლა უკვე ოპოზიციის წარმომადგენლები: „ჩვენ ხალხის ნებას ვცემთ პატივს, თორემ თქვენ ვინ ხართ. ეს მშვიდობიანი არჩევნები და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა ჩვენი დამკვიდრებულია“. ტრაბახობენ, რომ არჩევნების შედეგებს პატივს სცემენ და რომ ასეთი საქციელით დემოკრატიის დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი. როცა ასე საუბრობენ, დიდკაცური შემართებით აგრძელებენ, რომ ხალხის ნებას ვცემთ პატივს, თორემო...

სულ აღარ ახსოვთ საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით ჩადენილი დანაშაულებები, ქუჩაში დახვრეტები, წართმეული საკუთრებები, წულოვანი ტოლერანტობით წახალისებული მკვლელები, ჩახოცილი ახალგაზრდები და ამავე წულოვანი ტოლერანტობით ნაქეზებული ჯალათები, „დუბინკებით“ და ელექტრო-შოკით აღჭურვილები.

რეზინის ხელკეტებით და ცოცხებით გაუპატიურებული და ნანამები ადამიანების ჯალათებს ხელს რომ აფარებდნენ ეს გაზულუქებული ტიპები, ახლაც გაფხორილები ბურტყუნებენ, ჩვენი დამსახურებაა, ასეთი არჩევნები რომ ჩატარდა, დემოკრატია ჩვენ ვამკვიდრებთო. იძალადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. უცხოელმა დამკვირვებლებმა გაიგეს და გაბაზრდა, თუმცა ესენი არაფერს დაგიდევნენ. „ხალხის ნებას ვცემთ პატივს“, - ეს ფრაზა მოგზაურობს ბაგიდან ბაგეზე, ტელეეკრანებზე, სახლებსა და ქუჩებში და ბოლოს იმასაც გვაჩვენებენ, როგორ შეკრთნენ, დაიბნენ, უთვალავი ადამიანის პროტესტის ხმა რომ მისწვდა მათ დახშულ ყურთასმენას, ბედნიერი ცხოვრების ოაზისებს. მანიფესტაციიდან გავრცელებულმა ყიფინამ შეაშფოთა და დააფრთხო.

1 ოქტომბერს „სპეცნაზის“ ღამეული რიედები საარჩევნო უბნებზე - გახლდათ სააკაშვილის რეჟიმის დამკვიდრებული დემოკრატიის ბოლო აკორდები. რამდენად ბოლო, ეს კიდევ დასადგენია.

მეცხრე არხმა პირდაპირ ეთერში აჩვენა ხაშურის ერთ-ერთი უბნის დარბევა, ფარებით, ჩაფხუტებით, ხელკეტებით და ავტომატებით შეიარაღებული სპეცნაზ-მელები. ხალხის შეძახილები, კვილი: მხუთავი გაზიი! ისერიან! სპეცნაზმა გადააბოტა ადამიანებს, მიფანტ-მოფანტა და გზა საარჩევნო უბნისკენ გაკვალა. ეს კადრები დაუფინყარია ისევე, როგორც ხარატიშვილის განცხადება, რომ არ იცის, რა მოხდა ხაშურში და არა აქვს ინფორმაცია, როცა მთელი საქართველო უყურებდა ღია ეთერში საარჩევნო უბნის და მოდარაჯე ამომრჩეველების ბარბაროსულ დარბევას.

ხალხსა და სპეცნაზს შორის ჩადგენენ მღვდლები და დაიცვეს ადამიანები. ნიღბიანები არც მათ ეუბებოდნენ, მაგრამ შედარებით გაუბედავად ძალადობდნენ. უცნაური რამ მოხდა ჩვენში: ეკლესიაც კი ღამის ორად გაიყო, ხელისუფლების მხარს უჭერდნენ ის სასულიერო პირები, რომელთაც დასაკარგი ჰქონდათ - ან მთავრობის ნაწილი ჯიპებით დაქროდნენ, ან წარსულიდან გადმოყოლილი ჩეიხტური წარსულის გახსენება აფრთხობდათ. სასულიერო პირების უმრავლესობა ხალხთან იდგა. ხელისუფლების აპოლოგეტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქუთათელ-გაენათელი ეპარქიის წინამძღოლი და ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი ბერბიჭაშვილი, რომელმაც ფოთის ეკლესიის კედლებზე წინასაარჩევნო პლაკატებზე პრეზიდენტის ფოტოები გააკრა. მიუხედავად ასეთი პრეცედენტებისა, მრევლის ერთგული მღვდლები ბევრად ჭარბობდნენ და მათი ვაჟკაცობა, ხელწართმეული მინვე-მონევაშიც რომ გამოიჩინეს, დაუფინყარია.

ცესკო ფეხს ითრევდა და ზონისით ითვლიდა ხმებს, იმიტომ, რომ მისატაცებელი იყო ის უზნები, სპეცნაზმა რომ გაიტაცა ბიულეტენები და იძულებით ხელმონერილი საუბნო ოქმები. დავალებას მშვიდად ასრულებდა ხარატიშვილი და კუსავით მოძრაობდა, სიტყვებს ვერ წარმოთქვამდა, მხოლოდ ეძებდა და ვერ პოულობდა. მე ვხედავდი მძევალს, რომელიც იძულებული იყო, ფეხი აეთრია და პროცესი გაეჭიანურებინა.

მთელი ძალაუფლება ისევ პრეზიდენტის ხელშია, რადგან ახალ პარლამენტს ვერ უფლებამოსილება არ აქვს და არავითარი ბერკეტი არ გააჩნია. სწორედ ამიტომ, ნიშნის მოგებით ქირქილებენ ოპოზიციონერები, მაგალითად ბ-ნი ბაქრაძე, ყოფილი სპიკერი: „ძალიან მაინტერესებს, როგორ შეასრულებს კოალიცია იმ სოციალურ დაპირებებს, რომელსაც ასე უხვად გაცემდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში. დამერწმუნეთ, ჩვენ სათითაოდ ჩაუფუჯდებით ყველა დაპირებას, რამდენად შეასრულებს ოცნება.“

ამ განცხადებაში იკვეთება მოსალოდნელი დესტრუქცია, რასაც შეხმატებილებულად „მოახერხებენ“ პრეზიდენტი და მისი ყოფილი უმრავლესობის გაოპოზიციონერებული წარჩევნები. ყველა ქორი მათ რიგებშია და მე უკვე ვგრძნობ, ხელს როგორ მერუმლიან ისინი ახლად არჩეულ პარლამენტს საქმიანობაში. ეს რომ მოსალოდნელია, არ უნდა გავიკვირდეს და რევენის ალებას რომ ეცდებიან, ესეც მოსალოდნელია და არაფერია გასაკვირი.

არ ვიცი, როგორ გაართმევს თავს „ქართული ოცნება“ ამ მეტად რთულ რეალობას.

რამე უნდა იღონონ, უნდა შეძლონ, აბა, რასაც ჰპირდებოდნენ ამომრჩეველს, როგორ შეასრულებენ დანაპირებს?! იმედი მაქვს, რომ თანდათან ყველაფერი დალაგდება. ხელოვნური კრიზისიც მოსალოდნელია, რადგან, ეგენი თუ რამეში არიან ძლიერები, ეს შავი პიარი და დესტრუქციანია.

მე ერთხანს ვეღარ გავადევნებ თვალს მიმდინარე პროცესებს, რადგან ისევ მწერლობას უნდა მივუბრუნდე. თუ

რამე ჩავინერე, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველამდე მიღწიოს ამ უაღრესად დაძაბული დღეების ექომ და, რომ არასოდეს განმეორდეს ერთპარტიული ჯოჯოხეთი, როცა ზედმეტი ძალაუფლება აშლეგებს და გადაავარებს, სახეს უკარგავს, ანადგურებს ნებისმიერ ლიდერს თუ პარტიის რიგით წევრს და, რაც მთავარია, ხალხს, რომელსაც დენზე მიბმული ნაგავით მობერდა დენზე მიბმული ავტოკრატის ისტერიული ქაქანი.

ვიდრე „დავბრუნდები“, გადაიკითხეთ, რას ფიქრობს სააკაშვილი ბავშვებზე და ახალ საპატიმროზე:

კატუა ტერეზას მომზადებული კოლაჟი პრეზიდენტის გამოსვლებიდან; „ყველაზე მეტად ჩვენი ბავშვები მიყვარს, რადგან მათ მთლიანად ესმით ჩემი“...

„ხშირად მეც, ბავშვების მსგავსად, მიყვარს ფანტაზია და ღამის რაღაცების დახატვა, ოღონდ ამას მერე ვასრულებ ხოლმე. მე ვისურვებდი, რომ ყველა ამ ბავშვის ფანტაზიაც კი ასრულებულიყოს. მე მინდა, ყველა მათგანს შთავაგონოთ, რომ საქართველო თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის.“...

„მაგრამ მთავარი მოთხოვნა არის ის, საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი ინგლისურენოვანი გახდეს“...

„ყველაზე პოპულარული ბავშვებში ვარ. ჩემი მთავარი ელექტორატი სწორედ ბავშვებია. პარლამენტში კანონის გატანის შანსი თუ გამოიჩინდა, სამი-ოთხი წლის ბავშვებს აუცილებლად უნდა მიეცეთ ხმის უფლება. მაშინ სულ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს. ვხუმრობ, ამას ნამდვილად არ ვაპირებ“...

6 ნოემბერს, „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, რუსთავის ქალთა საპატიმროს გახსნისას პრეზიდენტმა დააგემოვნა პატიმართა საკვები და ბრძანა: ასე, შესაძლოა, საქართველოში ბევრი ოჯახი ვერ იკვებებოდეს... ასეთი სიმართლე წამოცდა პრეზიდენტს რუსთავის საპატიმროს გაპირებისას. როგორც ჩანს, რუსთავის ქალთა საპატიმროში უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობებია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.

P.S. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში, ყველა უბანში თითო-თითო ჭიკოკონა დაინთო შედამებისას. როგორც გაირკვა, გამგებების, საკრებულოების, საარჩევნო უბნებიდან მორჩენილ არასასურველ დოკუმენტაციას წვადნენ უცნობები. ტელეობიექტივი რომ მიუახლოვდა ერთ-ერთ კოცონს, უცნობები უფრო აჩქარდნენ და ბენზინი დაუნანებლად მისსხეს მოგზავიზე ცეცხლს. ფერფლად უნდა ქცეულიყო ყველა საბუთი, რომელთა გამოჩინება, გამჟღავნება ასე საშიში იყო იმ ჩინოვნიკებისა და მათი ზემდგომებისთვის, ამაჟამად რომ ქამელეონივით ფერს იცვლიან და ახალ რეალობასთან მორგებას ან ქვეყნიდან დათევას აპირებენ.

როგორც ზუგდიდის მაგალითზე დადასტურდა, ამ საბუთებში ჭარბობდა პრობაციონერთა და ზონდერების სიები და მათი სამაგნებლო, დესტრუქციული დავალებები: საარჩევნო პროპაგანდის ჩაშლის გეგმები სხვადასხვა რაიონებში, პრობაციონერთა გამოყენება საარჩევნო სომხურ თუ ქურთულ კარუსელებში, ოპოზიციური ლიდერების ცემა, ნებისმიერი საშუალებით მათი პროვოცირება, გამონევა და არეულობის მოწივება, ქვების დაშენა დამიზნებით და ა.შ.

დანიელმა წარმოიდგინა მთელ საქართველოში გამყალბებულთა მჩხიბავობით შედგენილი საზიზღარი მაკულატურით გაჩენილი ჭიკოკონები და თავისთვის ჩაილაპარაკა: არული კუდიანებს! არული კუდიანებს! არული კუდიანებს!



მიმოზღებს მოგიცხნო...

გასრულდა თითქმის ათი წელიწადი, რაც ქალბატონი ნანული შევარდნაძის სულმა მარადისობაში დაივანა. ქვეყანას გაზაფხულზე მოველინა – 7 მარტს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა. ოჯახმა დაკარგა მეუღლე, მზრუნველი დედა, ბებია, თანამოდარდე; საზოგადოებამ, ქვეყანამ – თავისი რჩეული, ამავდარი, სათნოებისა და კაცთმოყვარეობის მოუღლეელი მქადაგებელი, ჩაგრულთა გამკითხავი და მწყალობელი.

„ჩვენი პირველი ლედი იყავით, ჩვენი ლამაზი ქალბატონი. თბილი, კეთილი, მომღიმარი, ყურადღებიანი. ათასობით ადამიანს გაუნოდებდა დახმარების ხელი – ობოლ, გაჭირვებულ ბავშვებს ბავშვობა გაულამაზებდა, მოხუცებს სიცოცხლე გაუხანგრძლივებდა, ათობით ადამიანი სამუდამო სარეცელს მიჯაჭვას გადაარჩინებდა“...

„მოდგმისმიერმა მაღალმა სულიერებამ გამოუმუშავა მას საუკეთესო ადამიანური თვისებები – სისადავე, სიძარბაისლე, მიმტევებლობა და პირადი ნაღვანის სამშობლოს კეთილდღეობისათვის მიძღვნა“...

„ნავიდა ქალბატონი ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძისა და ყველა პატიოსან თანამედროვეს დასწყვიტა გული. მან იცხოვრა ისე, რომ ვინმესთვის არამცთუ რაიმე საყვედურის თქმის საბაბი არ მიუცია, არამედ პირადი ღვაწლით საერთო მონონებას იმსახურებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე“...

ამ სიტყვებით გააცილეს უკანასკნელ გზაზე ქალბატონი ნანული შევარდნაძე ადამიანებმა, რომლებსაც იმხანად არაფერი რჯიდათ (მისი მეუღლე, ედუარდ შევარდნაძე, უკვე ჩამოცილებული იყო აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას), მამებლური სიტყვები წარმოეთქვათ იმის იმედით, რომ სანაცვლოდ რაღაც მიეცებოდათ. არც ერთი სიტყვა არ არის აქ ყალბი ან ვიღაცის საამებლად ნათქვამი – ქალბატონი ნანული მართლაც ასეთი იყო...



განგებამ ძნელი ბავშვობა არგუნა, არც ყმანვილქალობა ჰქონია ბედნიერი, მაგრამ არასდროს დაუნუნუნია, არასდროს უფიქრია ვინმესთვის თავის შეცოდება: შვილის, დის, მეუღლის მოვალეობის შეგნებით უდრტვიწველად უძლებდა ყველაფერს. მამიანაც და დღესაც ცოტამ თუ იცის მისი ტკივილით აღსავსე ცხოვრების შესახებ, რომელმაც შესანიშნავ დოკუმენტურ მოთხრობაში „მიმოზღებს მოგიცხნა, დედა“ პოვა ასახვა.

მერე ბნელს ნათელი მოჰყვა – ნაღვერში ჩაისახა ის პირველი სიყვარული, რომელიც მათი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ განელეულა და რომელმაც განსაზღვრა ნანული შევარდნაძის შემდგომი ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველი დღე.

ძნელი, ძალზე ძნელი იყო ქვეყნის პირველი პირის მეუღლეობა, როდესაც თითოეული ადამიანი – თავისი ქვეყნის მოქალაქე თუ უცხოელი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა მის ყოველ სიტყვას, ნაბიჯს, სახის გამომეტყველებასაც კი. ქალბატონი ნანული თავისი ბუნების, შინაგანი კულტურისა და ღვთის ბოძებული მისისი გაცნობიერებით ყოველთვის მხოლოდ დადებით ემოციებს ინვესტირებდა ირგვლივ მყოფთა შორის და, საერთოდ, საზოგადოებაში.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს – ჯერ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მერე კი საქართველოს პრეზიდენტის რანგში სახელმწიფოს მეთაურს – ყოველთვის გვერდით ედგა ერთგული, გულისხმიერი მეუღლე და მეგობარი.

ქალბატონმა ნანულიმ საზოგადოებრივი საქმიანობა ჟურნალისტური მოღვაწეობით დაიწყო. ერთხანს სურნალ „საქართველოს ქალის“ განყოფილების გამგე იყო. თავისი საფიქრალს და სათქმელსაც პრესის ფურცლებზე ფართო საზოგადოებისთვის საცნაურს ხდიდა. შესანიშნავი ჟურნალისტი იყო, მისმა ნატიფმა ჟურნალისტურმა სიტყვამ, უტყუარი პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, მეტი ეზბი და შნო შესძინა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას. სამაგალითოდ იკმარებდა თუნდაც „ამოდიოდა ცაზე მნათობი“, „მქუხარე მდინარე“ და „მიმოზღებს მოგიცხნა, დედა“.

მოსკოვში ედუარდ შევარდნაძის რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა პრინციპად მშვიდობიანი, დინჯი, ქველმოქმედებით ნიშანდებული საქმე აირჩია და თანამოაზრეებთან ერთად განაგრძო საქმიანობა საერთაშორისო ასოციაციაში „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომლის პრეზიდენტიც გარდაცვალებამდე თავადვე ბრძანდებოდა. ასოციაციამ მრავალი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ქალბატონი ნანულის ინიციატივითა და ორგანიზატორობით. შინ იყო თუ შორეულ ქვეყანაში, წუთითაც არ ივიწყებდა თავისი ქვეყნისა და ხალხის ჭირსა და ღვინს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის

ბრძოლებში დალუპულთა ოჯახები; ხანდაზმული პენსიონერები და მარტოხელა, უმწეო მოხუცები; ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები; ლეიკემიით, ტუბერკულოზით, დიაბეტით დაავადებული ბავშვები და მოზრდილები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; მრავალშვილიანი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახები; კულტურისა და ხელოვნების ღვაწლმოსილი მუშაკები; იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები და სხვა სოციალურად დაუცველი ოჯახები. ასეთი იყო ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტები. ასეა ახლაც. ასოციაციის ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში მან დააფუძნა გაზეთი „მშვიდობა ყოველთა“, რომელსაც, როგორც მთავარი რედაქტორი, საქმის ცოდნით, გამოცდილებით და დიდი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობდა.

გაზეთის ფურცლებზე მხოლოდ ასოციაციის საქმიანობა კი არა, საქართველოს ყოველდღიური ურობის ავიცა და კარგიც, გასაკეთებელიცა და გაკეთებულიც შუქდებოდა.

ქალბატონ ნანულის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

მისი ჟურნალისტური ოსტატობა და ღვაწლი საქართველოს ჟურნალისტთა უმაღლესი ჯილდოთი – ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით აღინიშნა; გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ექსპერტთა საბჭომ ნომინაციაში „სიკეთისა და კაცთმოყვარეობისათვის“

მიანიჭა ლაურეატის წოდება და გადასცა ჯილდო „ოქროს რტო“. მისი ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიო ენციკლოპედიის „ელიტას“ რეესტრში „ქველმოქმედების ოქროს ფონდი“.

ქალბატონი ნანული დიდებული მეუღლე, დედა და ბებია იყო – თბილი, განონასწორებული, მშვიდი; დიდთან – დიდი, პატარასთან – პატარა, უშრეტი სულიერი ენერგიით და უღვევი სიკეთით აღსავსე. არასდროს ავიწყდებოდა, რომ იყო იმ შვილების დედა, რომელთა მამაც ქვეყნის პირველი პირი, მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი იყო და ამას მათაც თავმოყვარეობის შეუღახავად ყოველთვის ახსენებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალზე კეთილი, ყოველგვარი ამპარტავნობისგან თავისუფალი, გულისხმიერი, სხვათა აზრის საოცრად დამფასებელი და გამზიარებელი იყო, როცა ამას საქმე მოითხოვდა, მტკიცე, პრინციპული პოზიციაც დაუკავებია. ბევრს ახსოვს მისი სიმკაცრე ბავშვების უცხოეთში გაშვილების საკითხთან დაკავშირებით. უცხო ქვეყნებიდან, სადაც ამ პრობლემის ირგვლივ სხვა მოსაზრებები და მიზნები იკვეთებოდა, ერთგვარი ძალდატანების ნიაღვარიც წამოვიდა, ქალბატონ ნანულის ერთი ნაბიჯითაც არ დაუხვეია უკან და მან ყველას გასაგონად, ხმამაღლა განაცხადა – საქართველოში ბევრი უშვილო ოჯახია და ჩვენი ბავშვები, პირველ რიგში, ამ ოჯახებმა უნდა იშვილონო.

ქალბატონი ნანული იმიტომაც ბრძანდებოდა ბედნიერი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელისუფლებო ელიტაში ყოფნისას ისეთი ადამიანების გარემოცვაში უხდებოდა მოღვაწეობა, რომელთა სულიერი თვალის მას დამსახურებულად აფასებდა, როგორც ინტელექტუალურ პიროვნებას, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, ბუნებით ოპტიმისტს.

„ბუნების კანონია: ხშირად, ძალიან ხშირად, ცუდს კარგისკენ შემოაბრუნებს, მით უმეტეს, თუ ეს ხალხის ურყევი ნება იქნება. ცხოვრება – ჩვენი ნილხვედრი, ძნელად საგალია და ამ გზაზე, უეჭველია, ნებსით თუ უნებლიეთ, ვცოდავთ. ამიტომ მოგვართოთ ყველას დადებითი ენერჯია და ვისწავლოთ ურთიერთდაფასება, მეგობრობა, ერთგულება, დავგმობთ ცილისწამება და შური, დავძლიოთ სიხარბე და ეგოიზმი. ღმერთმა მოგვცა ნიჭი სათნოებისა და სიყვარულისა. მამ, ფართოდ გავახილოთ თვალი, შევისისხლობრცოთ სინათლე და სითბო ურთიერთმიტევებისა და სიკეთისა“ – მოუწოდებდა ქალბატონი ნანული შევარდნაძე მოყვასთა და თავადაც ისე გალია ცხოვრება, რომ ამ კანონისთვის არ უღალატია. ალბათ, ამიტომაც დატოვა ამქვეყნად სულგრძელი, უმაღლესი პატიოსნებითა და გამორჩეული ბედით ტვიფარდასმული მანდილოსნის სახელი.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

თანამოდარდე

უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა მოვასხნო ჩვენს საზოგადოებას, განსაკუთრებით ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ყველა წევრს ნანულის გახსენებისთვის.

მე და ნანული დიდმა სიყვარულმა დაგვაკავშირა და ორმოცდაათ წელზე მეტხანს ვიყავით ერთად. ორივემ ურთულესი ცხოვრება გავიარეთ. ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, ამ ყველაფერს როგორ გავუძელი, მაგრამ ჩემ გვერდით ყოველთვის იყო ნანული – სწორედ მისმა ნებისყოფამ, გამძლეობამ, თუ გნებავთ, თავდადება, დიდი როლი ითამაშა ჩემს წარმატებებში.

დღეს რომ ვამაყობ ჩვენი შვილებით, ესეც ნანულის დამსახურებაა, რადგან მათი აღზრდა, განათლება მთლიანად მან იტვირთა. ის ასევე გახლდათ საოცარი ბებია. ნანული ყველაფერში იყო დიდი ადამიანი, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ სოფომ მის ხსოვნას უკვე ორი ნოველა უძღვნა.

წარუმატებლობის დროსაც ყველაზე მეტად ნანულის მხარდაჭერა მაძლიერებდა. ბევრს აინტერესებდა, ერეოდა თუ არა იგი შევარდნაძის საქმიანობაში – არასოდეს! ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც 2003 წლის 22 ნოემბერს გამოვაცხადე საგანგებო მდგომარეობა, მან ძალიან აღელვებულმა მკითხა: „შენ სისხლს ხომ არ დაღვრი?!“ დავამშვიდე – რა თქმა უნდა, არა. დიდი სიხარულით შეხვდა ჩემს გადადგომას. იცით, რა მითხრა, მე ყოველთვის მჯეროდა, რომ შენ „გენიოს-სიმუსი“ იყავი!

მის სიცოცხლეშივე გადაწყვეტილი მქონდა, ჩემი მეუბარები მისთვის მიმეძღვნა. საუბედუროდ, მივუძღვენი მის ხსოვნას.

ღვთის წყალობა იყო, რომ მყავდა ასეთი მეუღლე!

დავით ბერიძე

ედუარდ შევარდნაძე
თბილისი, 3 მარტი,
2014 წელი



ჩვენარად, ჩართულად, ჩვენარად!

ბუკლეს პიჯაკი.....

აჭახჭახებული სამოთხე ხომ წარმოგიდგენიათ?! აი, ასეთი ქალაქია ადელაიდა. მთლიანად ავსტრალიამაც იგივე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მზე, სისუფთავე, სინყნარე, ნელსუნთქი შიშველი ქალები საერთო პლაჟზე, უამრავი ხილი. თითქოს დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებული, მოწყვეტილი ხალხი, სულ სხვა რიტმითა და ფასეულობებით მცხოვრები. მაგალითად, ერთი რუსი ემიგრანტი გავიცანი, რომელიც რუსი მხედართმთავრების ფოტოებს, სურათებს, გრაფიურებს აგროვებდა. მოკლედ, თითქოს სხვა კონტინენტი, თუმცა რატომ „თითქოს“?

ჰოდა, ამ ადელაიდაში ვიყიდე ბუკლეს ორბორტანი, რუსი ფერის პიჯაკი. ისეთი, მოყვარე რომ გაიხარებს და მტერი რომ შეფიქრიანდება.

დავბრუნდით მოსკოვში. გასტროლებიდან დაბრუნებული არასოდეს შევყოვნებულვარ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მაგრამ მაშინ მომინა. ბიჭები პირდაპირ „შერემეტიევი-2“-ში დახვედნენ, ერთ-ერთი ჩვენი ძმაცაცის დაბადების დღე იყო და მოსკოვში აპირებდნენ გადახდას.

გორკიზე, „ინტურისტის“ საერთო დარბაზში გრძელი სუფრაა გაშლილი ქართველებისთვის. ირგვლივ, ყველა მაგიდაზე, მაგრამ „დაშობილი“ რუსის „პუტანკები“ სხედან, გუგუნებს ორკესტრი... ჰოდა, აბა!!!

„პუტანკა“, ანუ „პუტანა“ – ძირითადად უცხოელებზე და დიპლომატებზე მუშაობს.

შუა სუფრაზე, ბოდიში და, გასვლა მომინდა. ამბობენ, წინათ საქართველოში ასეთი საქციელი მკაცრად ისჯებოდაო, მაგრამ აქ რუსეთია, თამადა – უნდა გავა,

უნდა შემოვა, დაილოცა მაგათი კანონები. ჰოდა, მეც გავედი. გავედი და... ნეტა, არ გავსულიყავი: აქ ხომ არიან და არიან ეს დალოცვილები და ფოიეში ხუთი ამდენი ყოფილან, თანაც, მგონი, უკეთესებიც.

გავცდი რესტორნის დარბაზს და ამაყად, როგორც ქართველს და „პუტანკასავით დაშობილი“ კაცს ეკადრებოდა, მივუახლოვდი ტუალეტის კარს.

ოი, სატანავ, კარის სახელურზე ხელი უკვე ჩაჭიდებული მქონდა, შეიძლება ითქვას, რომ სამშვიდობოს ვიყავი და თვალი მაინც გამეცქრა მარჯვნივ, მარჯვნივ კი არა, ქალეზისკენ; რა ვიცი, თვალი თუ ტვინი, თუ გული, თუ კიდევ, იქნებ, სხვა რამე...

გოგო იდგა, რა გითხრა, რა გითხრა, არ ვიცი, ვის შეგიდარო...

ჰოდა, იმ „ვის შეგიდარო“-მ ასწია მარჯვენა ხელი, ოთხი თითი მოკაკავა და საჩვენებელ თითს ამოძრავებს თავისკენ, მერე ჩემკენ, თავისკენ, მერე ჩემკენ...

თავი კოსტიუმისდაგვარად ავიყვანე ხელში, „დვანიო ნე ვიჟუ“ გავუკეთე, დარბაზში დავბრუნდი და თამადა გახვარედი.

მაგრამ, ვაი იმ თამადაობას, გული და სული უკვე ორ ბოლო შაბანაურდანიანს ვეღვაძებოდა, პუტანკისკენ მიმინევს.

ახლა ბიჭების მრცხვენია – ასე უცბად ხომ ვერ გავალ მეორე! ვიჯახირე, ვიჯახირე და რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ ისევ დავიძარი ჯულიეტასკენ, ასე დავარქვათ დროებით გოგონას. გავედი ფოიეში, დგას ჯულიეტა, მაგრამ ახლა უფრო ლამაზი ჩანს, მომხიბლველი, ახლობელიც და ჰოი, საოცრებაც, ისევ ის საჩვენებელი თითი, მასა და ჩემს შუა საათის ისარით მოქანავს...

თავბრუ დამეხვა, თვალები მოვხუჭე... ისევ არჩევანი???

რა ეღობება, ნეტავ, ეს ყველაფერი? – პირველად ჩამოჰკრა ამ ზარმა ჩემს ცხოვ-

რებაში – ასი? ორასი? ხუთასი? იქნებ, მეტიც, არა, ჯერ ისე მთვრალი არა ვარ, რომ ერთ მეძავში...

იქნებ, უფასოდ?! გაიღვლა თავში!!!

გავახილე თვალეები, გავშალე არტისტულად ხელები და წარმოვთქვი:

„Дорогая, но ведь я советский“ – თავს ვაცოდებ... ჯულიეტამაც არტისტულად გაშალა ხელები, ერთი კი ჩაიციხა მწარედ, მაგრამ ვაუკაცურად დააყოლა – „Да ничего, с таким можно и с советским переспать“-ო.


ის-ის იყო, გული უნდა წამსვლოდა და იატაკზე გავშლართულიყავი ბედნიერებისგან, რომ ვილაც ქრისტიანმა შემამშველა მარჯვენა. ო, ეს, ალბათ, მერკუციოა, ჩემი მერკუციო... და თავი ჩამოვადე მხარზე, მაგრამ ჩემი ლოყა რაღაც ცივსა და ეკლიანს შეეხო, ხელათ გამოფხიზლდი, „კაგებეს“ ოფიცრის სამხრეები გახლდათ, პუტანკების კურატორის:

„Гражданин, не поясничайте, пройдите со мной!“

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ავსტრალიური, ორბორტანი, რუსი ფერის ბუკლეს პიჯაკის ისტორია.

ისეთი წარმატება ხვდა საქართველოში, რომ მისი გადაგდება ხუთი წლის შემდეგაც შეუძლებელი გახდა და, რა თქმა უნდა, მემკვიდრეობით უფროს ვაჟს, გიორგის ერგო, რომელიც იმხანად მოსკოვში მუშაობდა.

მაისის ერთ მშვენიერ საღამოს რესტორან „ბელგრადში“ შევედი. ეს სასტუმრო თავის რესტორნიანად საგარეო საქმეთა სამინისტროს პირდაპირ მდებარეობს, მაშინ შევარდნაძე მინისტრი იყო და ამაყად მეჭირა თავი. ნანვიძარი იყო და რესტორნის ფოიეში დიდი ჩოჩქოლი იდგა. ზოგი სველ თმას იმშრალედა და ივარცხნიდა,



გიორგი ხარაბაძე

ზოგი ფეხსაცმელს იცვლიდა. ხომ იცინასე მოსკოვში, ძველი ფეხსაცმელებით მოდიან და შემდეგ ფოიეში უკეთესით იმოსებიან.

უცბად ატყდა ხმაური, ირგვლივ პოპულარული საესტრადო მომღერლის გვარი ისმის, გავიხედე და მართლაც მოდის მშვენიერი, ნიჭიერი, ლამაზი, პოპულარული ესტრადის ვარსკვლავი, ცოტა განუნული გაზაფხულის წვიმით, მაგრამ არა უშავს... მაინც მშვენიერია...

„კი, მაგრამ ეს რა არის? რა აქვს მოხურული ამ ქალბატონს, ჩემი ბუკლეს პიჯაკი? კი, ის არის! რას მეუბნები, ბორტებით ცნობ!“

სისხლი ამემღვრა, მიეუახლოვდი, ვინ იცის, იქნებ დიდი ჩხუბიც ამეტეხა და სწორედ ამ დროს ჩამესმა, მშობლიურ ენაზე, მშობლიურ ხმა:

„მამა, გაგიჟდი... გამოდი ერთი გვერდზე...“

100 \$

ხომ გაგიგონიათ „გულბაათ ჭაჭაჭაძე ქვევრებს ცლიდა და ერთმა პატარა ჭინჭილამ დაათროო! ან „კაცი ზღვას გადაურჩა და ნეთმა დაახრჩო“. ასე დამემართა მეც. კინაღამ „ფალშივომანეტრიკობა“ ავიკიდე ერთი წირპლიანი ასლოლარიანის გამო.

ეს თანხა, იტალიაში საკუთარი ოფლითა და შრომით მოპოვებული, სრულიად ოფიციალურად ასეთივე ოფიციალურ ბანკში გადავახურე და შევიცარიანე გადასვლამდე, სადაც რუსთაველის თეატრს გასტროლები უნდა განეგრძო. ჩავაბარე, ლამის ჩემოდნით მიტანილი, ფურჩივით ლირები და სანაცვლოდ ერთადერთი მწვანე კუპიურა მივიღე.

შევიცარია მშვიდობით მოვიარე და ზარ-ზეიმით დავბრუნდი დიდ რუსეთში ისე, რომ ჩემი ობოლი „მწვანე“ არავის მოუკითხავს. არც მოსკოვიდან გამოფრენისას შეუნუხებიათ თავი საბჭოთა მებაჟეებს ჩემი ფინანსური კაპიტალის შემონახვით.

ერთი თვის შემდეგ საბერძნეთში, ისევ გასტროლებზე, ისევ მოსკოვის გავლით მომინა გამგზავრებამ. მორჩილად შევიტანე დეკლარაციაში ის წყეული ასი დოლარი, რომელმაც ასე უჩინრად იმოგზაურა ქვეყნიდან ქვეყანაში, რათა მერე მაინცდამაინც ძველ ელადში აფეთქებულიყო.

ათენში ჩასვლამდე ერთი მეტად საგულისხმო, საიდუმლო ინფორმაცია უნდა გაგანდოთ. ლეილა სიყმაშვილი, ჩვენი პიანისტი, მომღერალი, მეგობარი, ამავე დროს ორი მცირეწლოვანი მსახიობის – მამუკა ნიკლაურისა და მერაბ ნინიძის, ანუ უფლისწულების ედუარდისა და რიჩარდის ოფიციალური „აპეკუნი“, კიდევ ერთ არაოფიციალურ სტატუსს ითავსებდა გასტროლების პერიოდში – დასის ბანკირი გახლდათ. და აი, რატომ:

ჩვენი კუთვნილი ფული ჩვენს ყოველდღიურ კუთვნილ ტანსაცმელში რომ ჩაგვეტოვებინა, სპექტაკლის ბოლოს ან დაგვხვდებოდა, ან არა.

არ გინდა ახლა! არ არის საჭირო! არ მკითხო, ვინ მოკიდებდა ხელსო? არ გინდა!

ყველანი ქართველები ვართ! თუმცა, რა შუაშია ქართველობა.

ყველანი ადამიანები ვართ, ჩემო ძვირფასო!

ფულს თეატრალურ კოსტიუმში ვერ ჩაიდებდი. აბა, წარმოიდგინეთ ახლა, თამაშობ კლარენსს ან რიჩარდს და სცენაზე შეიძლება ჯიბიდან დოლარები ამოგიფრიალდეს.

ხომ დაუშვებელია?!

ჰოდა, აგერ არ არი თავის კოსტიუმში გამონყობილი, „რედიკულიანი“ ლეილა, მაყუთს მოგიტყუავს თუ რა?

ზის როიალთან მშვიდად, მთელი დასის ფულით დახუნძლული, და აკაკუნებს როიალზე. ზოგის ფული სადა აქვს ჩაკუჭული და ზოგისა სად; ეს მარტო მან იცის, ეს ფირმის საიდუმლოებაა. მიხვალ სპექტაკლის შემდეგ და უშეცდომოდ პირველი „პაპიტკიდან“ ამომასვევს მაყუთს. არა, ისეთებიც იყვნენ ჩვენს შორის, რომ ლეილასაც არ ენდობოდნენ და საკუთარ „ზაგაჟნიკებში“ ინახავდნენ ფულს, მაგრამ მე პირადად ამ საკითხში საკუთარ თავზე უფრო მას ვენდობოდი.

ათენი. „რიჩარდ III.“ სპექტაკლის დაწყებამდე ჩემი ასი დოლარი საიმედო „ბანკს“ ჩავაბარე. დავმშვიდდი.

სპექტაკლი დასასრულს უახლოვდება და ვილაცამ თქვა: პაზოლინის „120 დღე სოდომში“ გადის ერთ-ერთ კინოთეატრში, ბოლო სენასია და, ვისაც გინდათ, მოასწარითო.

დოლარებასხმული ლეილა როიალს უჯდა და სპექტაკლის უკანასკნელ აკორდებს აგუგუნებდა. მიხარებული თანხის გამორთმევა, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხე, რაც ჯიბეზე მქონდა, ის ვიკმარე და თავქუდმოგლეჯილი გავვარდი პაზოლინის სანახავად.

მოვბრუნდი ორი საათის შემდეგ სასტუმროში, მაგრამ ვაი ამ მობრუნებას.

ზის თავის ნომერში თამაზურული ლეილა, მარჯვნივ სიმწრით გამწარული მერაბ ნინიძე და მარცხნივ მამუკა ნიკლაური უხხედან და... მოთქვამს.

რა შეიძლება იფიქრო ამის შემხედვარე ქართველმა კაცმა შორეულ ათენში?!

კინალამ გული გამისკდა. დილის სამი საათისთვის გაირკვა, რომ თურმე ლეილა ბავშვებთან ერთად თეატრიდან სასტუმროში ბრუნდებოდა. გზად, მინისქვეშა გადასასვლელში, როგორც თვითონ ჰყვებოდა და ამას ბავშვებიც ადასტურებენ, რატომღაც გადაუნყვეტია (ამას ვერაფრით ვერ ხსნის დღესაც, არც მე ჩავძიებვიარ), ჩემი 100 \$-ის ბერძნულ დრაჰმებზე გადახურდავება.

გადაწყვეტილება საბედისწერო აღმოჩნდა. ათენის მინისქვეშა გადასასვლელის „ჩინჯის“ ბიუროს თანამშრომელმა ორბავშვიან ქალს იტალიის ბანკში ოფიციალურად გადახურდავებულ ასლოლარიანზე განუცხადა – ყალბიაო და „ფალშივამანეტრიკობაში“ დასლო ბრალი.

მოდი და ნუ შეგეპარება ეჭვი „მეჩინჯის“ საქციელში?! არანაკლებ ეჭვს იწვევს ათენის პოლიცია, რომელმაც ლეილა ბავშვებიანად განყოფილებაში გააქანა.

„დედა ლეილა“, აბა, რა „დედა ტერეზა“ იქნებოდა, სიმართლეს თუ არ იტყუადა?!

ჰოდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ამას ათენის პოლიციის ოქმებიც ადასტურებს, პირველსავე ნუთებში ჩაუკაკლავს ამ 100 \$-იანის ნამდვილი მეპატრონის ვინაობა.

ჩაუკაკლა და ხელათ მთელი პოლიცია საგონებელში ჩაავდო.

აა, აა, მთელი ბანდა, ბავშვებიანი მაფია ყოფილა საქართველოდან ჩამოსულიო, უფიქრით ათენელ სამართალდამცველებს და მთელი ღამე თურმე ამ ახალი მადონის განაღდურების გეგმას ჩაჰკირკიტებდნენ.

ჩვენც თეთრად გავათენეთ ღამე. არ ვიცი, რატომ არ ეძინათ ბავშვებს, რას ფიქრობდნენ.

ლეილა უკვე აღარ მერიდებოდა და გულში წყევლიდან პირდაპირ ხმამალალ ტექსტზე იყო გადასული.

მე... მე, რა თქმა უნდა, ჩემს ას დოლარს მივტი როდი.

როგორც იქნა, ირიჟრაჟა.

ჰოდა, წავედით კიდევაც პოლიციაში.

წინ – ბავშვები: გზა პოლიციისკენ რატომღაც ამათ უფრო კარგად ახსოვდათ, შემდეგ – ლეილა და ბოლოს – მე.

რას შემიძლია ეს გზა შევადარო? ღმერთო, მაპატიე, ნუ მინყენ!

გოლგოთას მხოლოდ!!!

ყველაზე დიდი განსაცდელი თურმე წინ მელოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, პირობით გამოშვებულმა ლეილამ მხოლოდ მამაცილა პოლიციამდე.

„აქ არის...“ მითხრა, მოტრიალდა და ბავშვებიანად ათენის ულამაზეს ქუჩებში გაუჩინარდა.

ასე აღმოვჩნდი მარტო, პირისპირ საბერძნეთის ჟარდარმერიასთან.

დაახლოებით ხუთ საათს გრძელდებოდა ჩემი დაკითხვა. პოლიციაში, თავის თარჯიმნიანად, მე აღმოვჩნდი ყველაზე კარგი მცოდნე ქართულისა, რუსულისა, ინგლისურისა და გერმანულისა – მათ ეს ენები არ იცოდნენ, მე – ბერძნული, სამწუხაროდ.

ჰოდა, ახლა თქვენ მითხარით, ეს ხუთი საათი თუ არ უდრის ციმბირის ხუთ წელს? არა!.. მე იმათიც მესმის.

იმ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, ლეილას არ ათოხლა „ჩინჯის“ აფერისტმა და ასი დოლარი მართლა ყალბი იყო.

ქალი, ბავშვები და ვილაც ახმახი ქართველი ყალბი ასდოლარიანით.

ეს რთული საქმეა, ძმაო!

და თუ „მეჩინჯე“ პოლიციასთან შეკრულია და ამ მაყუთს შუაზე იყოფენ, მაშინ ეს თეატრალური შოუ, მე რომ აქ დამახვედრეს უთარჯიმნოდ, მთელი ამბითა და ქოთქოთით, გასაგებია.

ჰოდა, ამ დღეში ვართ. ისინი იქიდან მხვერავენ, მე აქედან და... უცებ ერთი ვაი-უშველებელი ატყდა პირველ სართულზე. ხანდახან ცუდი, არა, ცუდი კი არა, უღირსი გამიფიქრია ჩემს კოლეგებზე და იმ ფიქრებისა შემრცხვა, რადგან მეგონა, ლეილასგან შეგულიანებული მთელი და-ლი მოვარდა ჩემი უფლებების დასაცავად, მაგრამ შევცდი.

ამერიკელი გოგონა აღმოჩნდა. ▶▶

►► მისი ცრემლები მალამოდ ეფინებოდა უძველეს მინას ელადისას: ოთხი დღის წინ ჩამოვედი ჩიკაგოდან, ერთი მშვენიერი ყმანივი გავიცანი, ოდისევსი. ვსეირნობდით, ვკოცნობდით (ამის დასადასტურებლად ფოტოები წარმოადგინა, პოლაროიდით გადაღებული), მერე მომპარა ხუთი ათასი დოლარი („ქეში“ მოუპარავს იმ უპატრონოს) და გაუჩინარდა. უკან დასაბრუნებელი ფულიც კი არ დამიტოვა იმ უსინდისომო. ფულს კი არ ვდარდობ, მე ხომ ვენდე, მეგობრად მივიჩნიე და გული ასე რატომ მატკინაო...

აღსარება (აბა, მე იმას დაკითხვას ვერ დავარქმევ) დამთავრებული არ ჰქონდა ჯილს, რომ ქვემოდან კიდევ უფრო დიდი ხმაური მოისმა.

ეს კი ნამდვილად ჩვენები იქნებიან-მეთქი, გავიფიქრე ამაყად, მაგრამ ამჯერადაც შევცდი.

ეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი აღმოჩნდა.

ქვას ქვასზე არ ტოვებდა. სად არის ჩვენი მოქალაქე (გვარი არ იცოდა ჯილს, სხვათა შორის, არც სახელი), ვინ დამიჩაგრაო?!

ჩაეხუტნენ ერთმანეთს ელჩი და ჯილი. მამასავით ეფერებოდა გოგონას, ამშვიდებდა, აიშვებდა.

ელჩი მობრძანდა და... შემოვარდა პოლიციის უფროსი ყავით, გამაგრებული სასმელებით, შეიქნა ერთი გნისა...

ჩარლი ჩაპლინის გმირივით ვიჯექი ოთახის კუთხეში ყველასგან მიტოვებული, უპერსპექტივო, ალბათ, მომავალში „ნევიუზენდი“ „ფალშვიანტეჩიკი“.

შეერთებული შტატების მოქალაქის საქმე რომ მიაღაგ-მოაღაგა, ელჩმა ერთი მიმოავლო თვალი იქაურობას. „გაზმანული“, იცოცხლე, კი ვიყავი და, ეტყობა, დიპლომატიურმა გუმანმა უკარნახა, ეს კაცი არ უნდა იყოს დამნაშავეო, და ზრდილობიანად მომიკითხა:

თქვენც შტატებიდან ხომ არ ბრძანდებითო?

ადამიანი დავინახე და, თანაც ცოტას მაინც რომ გავაგებინებდი, ისეთი და იმას მოვეშვებოდი?!

რაღაც ინგლისური ხომ ვიცოდი და რაც არა, აგერ არ მქონდა ხელები და ფეხები? – სულ ერთ წამში მოვუყევი ჩემი გაჭირვება.

ცოტა კი შეფიქრიანდა; მერე თვალბეჭი ჩამაჩერდა. მიყურა, მიყურა და თქვა: სად არის აქ ტელეფონი? მომეცით, ახლავე დაფურეკავ საბჭოთა კავშირის ელჩს, მოვიდეს და მოგხედოთ!

მაშინ კი ვიკადრე და ჩაუვარდი მუხლებში:

არ დამლუპოთ, არ ქნათ ეს-მეთქი, ვემუდარებო მუხლოდრეკილი.

ამერიკის ელჩი დიდად გემოცდილი კაცი ჩანდა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა თავის შეცდომას. როგორ ამეხსნა მისთვის და მშვენიერი ჩიკაგოელი ჯილსთვის, რას მიზამდა ათენის პოლიციამ ჩემი გულისთვის გამოძახებული საბჭოთა კავშირის ელჩი, მით უმეტეს, თუ რუსი აღმოჩნდებოდა?!

და კვლავ ხმაური ქვემოდან...

ეს კი ნამდვილად რონალდი იქნება-მეთქი, გავიფიქრე. მაშინ ის აშშ-ის პრეზიდენტი იყო. ალბათ, ჯილს თუ მოაკითხა.

მაგრამ ამჯერადაც შევცდი.

ჩემდა ბედად, ეს რეიგანი არ გახლდათ. პოლიციამ მშვენიერ ელენე შემოფრინდა, ჩვენი თარჯიმანი. ორ საათამდე რომ არ გამოეჩნდი, ლეილა თურმე სინდისმა შეანუხა და ელენეს გაანდო ჩვენი გასაჭირი.

შემოფრინდა და დაანოკა იქაურობა.

ეს კაცი მსოფლიო ვარსკვლავია, საბერძნეთი გააბედნიერა თავისი ჩამობრძანებით და აქ ვინმემ რამე ხომ არ აწყენინაო?!

პოლიციის შეფი ყავითა და მინერალური წყლებით არ გამობრძანებულა, მაგრამ გასვებით გამიშვა.

თავისუფლების სურნელი რომ ვიგრძენი, ერთი კი მომინდა, დამეყვირა: ჩემი ასდლოარიანი დამბრუნეთ, თქვე, ძაღლო-მამაძაღლებო-მეთქი, მაგრამ ელენმა არ მიჩრია:

„თავი დაანებე, ამათ იუმორის გრძნობა არ გააჩნიათ“.

►► გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენი რეალობა... „ჯოყოლას სიკვდილი“ კობა არაგუნის პითოსის საყვარლო

სამყაროს სამი სუბსტანციურობა აქვს: სიმბოლოთა, წარმოსახვისა, რეალობისა. დერიდა ამბობს: ჩვენს ირგვლივ არსებული ობიექტები (საგნები), მოვლენები, მდგომარეობები ერთდროულად ატარებენ სიმბოლოურ, წარმოსახულ და რეალურ მნიშვნელობებს.

შევეცდებით, ძალზე მოკლედ შევეხოთ ყოველ მათგანს.

რეალური მნიშვნელობების შესახებ, თითქოს, რაღაც ვიცით, სინამდვილეში კი არაფერი. ისინი ჩვენგან დამოუკიდებლად, ჩვენს მიღმა რჩებიან. სახელდობრ, ეს ის რეალობაა, რომლის მოხელთებასაც როგორც რეალური, ისე სიმბოლოური და წარმოსახვითი მნიშვნელობებით ვცდილობთ. ამდენად შეუძლებელია კავშირის დონის დადგენა ავთენტურ რეალობასთან, არც ის ვიცით, რამდენად ადეკვატურია ჩვენი აღქმა თავისთავადი ობიექტის, მოვლენის თუ მდგომარეობისა. ლაკანისეულ და დერიდასეულ რეალობის ვირტუალობაში ვერ ხერხდება არათუ სხვისი, არამედ თვითიდეტიფიკაციაც კი.

თანამედროვე ადამიანისთვის ობიექტის, მოვლენის, მდგომარეობის, ზოგადად, რეალობის უდიდესი ნაწილი დაკარგულია. ამიტომ ჩვენი ასოციაციებიც წარმოდგენილად დაშორებულია დასაბამიერ მნიშვნელობებს. ეს კი, საბოლოო ჯამში, ცვლის თავისთავად რეალობას და განსაზღვრავს იმ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია საგანთა, მოვლენათა და მდგომარეობათა აღქმა, მათი შერეობა.

როცა სულში თოში და სიცივე გიდგას, გაზაფხულზე მოყვავილე ალუბლის ბალი გადათოვლილი გგონია... ალუბლის ყვავილთა ფურცლები – ფანტელები; და, როცა სითბო გაქვს, თოვლით გადაპნტილი ალუბლებიც მოყვავილედ გიჩანს.

სად არის სიყალბე და სად სინამდვილე?!

როგორ ურცხვად გვატყუებს გრძნობა!.. როგორ ყალბაბანდობს გონება, სეი!..

თანამედროვე ამერიკელი კრიტიკოსი და მედიათეორეტიკოსი ნეილ პოსტმენი წერს: „ჩვენ ვხედავთ რეალობას არა ისეთს, როგორც ის არის, არამედ ისეთს, როგორის დანახვის საშუალებას გვაძლევს ჩვენი ენები. ჩვენი ენები კი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ჩვენი მეტაფორებია – ისინი ქმნიან ჩვენი კულტურის შინაარსს“.

ახლა წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ჩვენი რეალობა და კულტურის შინაარსი, რომელსაც გვიქმნის და გვიყალიბებს ქართული მასმედია.

პირდაპირ ვიტყვით – დღევანდელი სურათი ასე წარმოგვიდგება: ქართული რეალობა – დანგრეული! ქართული კულტურა – სუროგატული!

ამ დროს იქმნება კობა არაგუნის „მითების გაღვივება“. წიგნი სიზმრისა და სიცხადისა, ანდრეზული პოეზიის მისტიკური საგალობლები, წიგნი კოსმიურ საიდუმლოებათა და ქართული მითების გამოვლენებისა, ჩვენი ონტოგენეზური დასაბამის სამზეოზე ამოცანისა. იგი გვიცხადებს დადუმებულ იდუმალებებს წყვილიდან და მითური მეხსიერების სიბნელიდან გამოჰყავს მენტალური სინათლე.

ამ წიგნის რეალობა და კულტურის შინაარსი, ბუნებრივია, უჩვეულო და მიუღებელია მასმედიის ერთი შექმნილი რეალობისა და ამ კულტურის მატარებელ ადამიანთათვის. უფრო მეტიც – თავზარდამცემი და შემადრწუნებელიც

წერილი პეორე

კი. ეს ადამიანები შეუთავსებლადნი არიან მითური დროისა და სივრცისთვის. მითური დრო-სივრცის მთელი სისტემა, ლევი-სტროსის განმარტებით, აგებულია „არაცნობიერის სტრუქტურაზე“. თანამედროვე ქართველთა დიდი უმრავლესობისთვის სამუდამოდ გამქრალია „არაცნობიერის სტრუქტურა“, არადა, სწორედ, ეს სტრუქტურაა ყოველი ტრადიციის, წეს-ჩვეულებისა თუ სოციალური წყობის საფუძველთა საფუძველი.

ელაიდე ამბობდა: „ცხოვრების გამოსწორება შეუძლებელია“, შესაძლებელია მხოლოდ მისი ხელახლა შექმნა კოსმოგონიის ხელახალი განმეორების საშუალებით. კოსმოგონიის ხელახალი განმეორება, უფლის შემდეგ, ხელენიფებოდათ უზენაეს მოძღვართ, ქურუმებს, განდობილებს, ხელდასხმულთ – დასაბამითი სიბრძნის მატარებელ ინდივიდებს. მასმედიის ენაში გაცხადებული კულტურა და რეალობა ხელს უშლის კოსმოგონიის ხელახალ განმეორებებს, კლავს მითოსის მატარებელ თემს. და, თუ კვდება თემი, კვდება უკანასკნელი ხევისბერიც („ჯოყოლას სიკვდილი“).

ასეთია კანონზომიერება!..

„პოეზია აღვიძებს მითებს...“

„პოეზია აღვიძებს მითებს და მითები შობენ პოეზიას!“

შვილი აღვიძებს სიზმართა დროში გარდასულ მამას: „მოვედი, რათა ხელახლა შემქმნა!“

ეს მარადიული დაბრუნებაა! მარადიული ძახილი და შესმენა! სწორედ აქ დევს მარადიული საბედისწერო სამიშროება: პარადოქსულობის დილემა! თუ არ იქნა ძახილი – უაზრობა ხდება შესმენა; და თუ არ იქნა შესმენა – აზრი ეკარგება ძახილს!..

ძახილისა და შესმენის მთელი ფილოსოფია, ეს არის იდეათა გადაცემისა და მიღების მეტაფიზიკური აქტი, აბსტრაქციის კონკრეტულში გადასვლის საკრალური პროცესი.

...მაგრამ როგორ შეიძლება იდეის (წარმოდგენის) გადაცემა, როცა ის არამატერიულია? უმარტივესი პასუხი ასეთია: იდეის გამატერიულობა! როგორ უნდა მოვაგინოთ იდეის მატერიალიზება? ამისთვის აუცილებელია იდეის ჯერ ცნებად და შემდეგ ამ ცნების ბგერებად გარდაქმნა. გავიხსენოთ შესაქმის ბიბლიესტური და სამყაროს დაბადების ასტროფიზიკური ინტერპრეტირება – ორივე თანხედრობია! ასტროფიზიკა გვეუბნება: სამყარო სინგულარობიდან (წერტილი ნულოვანი რადიუსიდან), წარმოდგენიდან, ცნებიდან გამოიყვანა დიდმა აფეთქებამ ე.ი. ბგერებად გამოშლამ. ახლა ვნახოთ ბიბლიური თეზა: „პირველთაგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი“ (იოანე 1:1). ე.ი. ღმერთი – იდეა იქცა ცნებად, შემდეგ სიტყვად (ბგერად), რომლითაც მოხდა ყოველგვარ სამყაროთა და მათ სისტემათა ინფლაცია. ღმერთმა სიტყვაში გააცხადა სამყარო, ანუ თავისი თავი.

მარტინ ჰაიდეგერმა ბოლომდე გაცნობიერა მთელი ეს ფილოსოფია და განაცხადა: „მე ვარ ის, რასაც ვლაპარაკობ“. ეს ღმერთის სიტყვების გამოძახილია. ჰაიდეგერი, ამ შემთხვევაში, შესმენაა (ინფორმაციის მიმღებია), ღმერთი კი ძახილი. ე.ი. ადამიანმა – შემემცნებლმა – შეიცნო პულსირებულ ბგერებად (ტალღებად) გარდაქმნილი სამყაროული ინფორმაცია და, როგორც მოაზროვნე სუბიექტმა, გადაიზრა რა

ალექო გაბელაია

კობა არაგუნი
Iakob-aba Arabuli

მითების გაღვივება
Awakening Of Myths



წიგნი სიზმრისა და სიხსნისა

აღქმული, მთელი ინფორმაცია შეიტანა (გადანახა) ენაში (აბსტრაქციაში), რითიც შეძლო დიალოგი უფალთან და, საერთოდ, სამყაროსთან.

ეს იყო მითოსის ენა, რომლითაც მოხდა ღმერთის სამყაროსთან იდენტიფიცირება და ინდივიდის, ეთნოსის, ერის თვითიდეტიფიკაციაც.

ენა არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელობა, სტატიკური სუბსტანცია, დასაბამითი სრულყოფილება. პოლ ვალერის აზრით, „ენა რომ სრულყოფილი იყოს, ადამიანი აზროვნებას შეწყვეტდა“.

ადამიანებიც, უპირველესად, ენის სრულყოფისთვის უნდა აზროვნებდნენ.

ენაა ის ფენომენი, რომელიც ერს (ეთნოსს, ინდივიდს) სტატუსს, მენტალს ანიჭებს, უყალიბებს ფსიქოლოგიას.

დიდი ილია წერდა: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული – ენაა“.

და: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ (გრ. ორბელიანი).

თუ დღეის საქართველო მშობლიური ენის მოკვდინებისკენ ისწრაფვის, ეს ნიშნავს, უარი თქვას აზროვნებაზე. ეს ბალასტად გვაქცევს და, როგორც ბალასტს, თვითგანმწმენდის უნარის მქონე სამყარო თავის ნიალიდან მოგვიშორებს.

ჩვენ სწორედ არათუ სამშობლოდან, სამყაროდან გაძევების წინარე დღე გვიდგას, რადგან მივიწყეთ ჩვენი დასაბამითი მითური დრო და მითური ენა, ენა, რომლითაც კონტაქტს ვამყარებდით უფალთან და სამყაროსთან.

ჩვენ ახლა არც გვესმის ამ დროის, ამ ენის, ამიტომაც გვეუცხოება კობა არაგუნის ენის, რადგან ის მითოსის ენაა; არ გვესმის მისი პოეზიის, რამეთუ მისი „პოეზია აღვიძებს მითებს“ და მითებია მისი პოეზიის მშობელი; დაეკარგეთ იმ დროში გადანახული „შედეგებული“ ინფორმაცია, რომელიც უზარმაზარ სასიცოცხლო ენერგიებს ინახავს...

შევეცადე, კობა არაგუნის ანდრეზულ პოეზიაში შემეღწია; შევეცადე ამეხსნა რამე „უჟამო ჟამში“, თუმცა ანდრეზი მეუბნებოდა: ნუ შევეცდებიო „უჟამო ჟამში“ რაიმეს ახსნას და გავებას, ვერ გახსნიო „საიდუმლო კარს“ („ვერ ამოხსნი ამოცანას“-ო), ვიდრე „ჟამის – დადგომამდე, ანუ ციდან ნიშნის მოცემამდე! – ეს ნიშანი მოვა უფლისგან და ამას დაინახავს ქარიზმული მოძღვარი (!) და თაობა, რომელიც მოსული იქნება ამ მისიის აღსრულებისთვის!“-ო. ეს იმედია, იმედი, რომელიც ისევ და ისევ პანდორას ზარდახმის ფსკერზე გარინდულია.

►► გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ 6

ნაგვის მოთბობა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ქალი, რომლის მთელი ავლადიდება დიდი და პატარა-პატარა მთები იყო. ქალი ყველგან, ყოველთვის შეჰხაროდა, ეფოფინებოდა, აქებდა და ადიდებდა თავის მთებს, თავსაც კი ინონებდა, ჩემნაირი მთები არავის აქვსო. მაგრამ, სინამდვილეში, ნაგვის მთები ჰქონდა; ოღონდ, სიყვარულით ისე იყო დაბრმავებული, ვერ ამჩნევდა, რომ საკვებნად არ ჰქონდა საქმე.

ქალმა რომ არ დაიშალა მათი დიდების ცხრა მთას იქით გატანა, მთები აუჯანყდნენ, ამოტრიალდნენ კი დააპირეს: - რა მოგივიდა, ქალო, თავს რად ირცხვენ, ყველამ იცის და შენ კი ვერ ხედავ, რომ ნაგვის მთები ვართ და, რაც უფრო მეტ ნაგავს გვაყრიან, მით უფრო ვამაღლებით...

- არამც და არამც, ეგ მეორედ აღარა თქვათ, თქვენ ჩემიანები ხართ, ჩემი ნამდვილი მთები ხართ. მე ვამაყოფ თქვენით! თქვენ უნდა გაიხაროთ და გაიზარდოთ!

დრო გადიოდა. მთები ფორმას იცვლიდნენ; ნაგავს ადამიანები ხან რას შეაყოლებდნენ, ხან - რას; წვიმა და მზე თავის მადლს აფრქვევდა; ნაგავში შემთხვევით ჩავარდნილ თესვებს აღვივებდა და ზრდიდა. რა არ ამოიწვერა ნაგვის მთებიდან - ათასნაირი ყვავილნარი, ბარდნარი, ეკალნარი... ჭიალუთა თუ ფრინველმწერი თი აივსო იქაურობა.

ქალის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. - ხომ ვამბობდი, დიადია ჩემი მთები! ხალხს რაღა ეთქმოდა, დაჩუმდა. მთებიც დაჩუმდნენ. უბრალოდ, ჩათვალეს, რომ ამქვეყნად რაც იყო, ყველაფერი ნაგავი იყო და ნაგავსაც სხვა დანარჩენით, შეეძლო აყვავილება და მზესთან თამაში!

ქალი მართალი აღმოჩნდა: ასე სწრაფად არსად, არასოდეს, არავის მთები არ იზრდებოდა, როგორც მისი პატივცემული ნაგვის მთები და, კიდევ კარგი, რომ ასე იყო, რომ ნაგავს მთა და მთა - ერთად აგროვებდა დრო და ხალხი, თორემ ქვეყანას ნაგავი ხომ წაიღებდა და აქა-იქა გაბნეული ნაგავიც ვერ შეძლებდა ეგზომ ტურფად აყვავილებას, ბუზანკალის მოზიდვას და ქალს საამაყო აღარაფერი ექნებოდა, რწმენაც დაეკარგებოდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაგვის მოთბობა ბარა-ქალა!

აკაცია - აკაცია!

პატარაობისას, მახსოვს, ბავშვები ერთმანეთს აბრაზებდნენ ხოლმე ლექსით:

აკაცია, აკაცია, მამაშენი რა კაცია? მამაჩემი დურგალია, მამაშენი წუნკალია.

მამინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ვიტყოდით აკაციაზე - ა, კაცია!

გზის ნაპირას ჩამწკრივებული აკაციები, გადმოფურჩქნული, მტევანა ყვავილებით რომ იპყრობენ ჩვენს ყურადღებას და სათამაშოდ, ისევე გასათვლელად გვიხმობენ: მის ფოთლებს დაბლიდან რომ აყვები, სათითაოდ წყვეტ, ვინმეს ჩაიფიქრებ და თან აყოლებ: - ვუყვარვარ? - არ ვუყვარვარ... და ა.შ. ბოლო სიტყვით გვიმტკიცებენ ჩანადიერს - წვერზე რომ ახვალ, რომელი სიტყვა დაგვრჩება:

სიყვარულის ციებას ვინვე აკაცივდა: - ვუყვარვარ? - არ ვუყვარვარ? - არ ვუყვარვარ! - ბოლო ფთილა ფოთოლი, „უყვარხარო!“ - კენწეროს ვარსკვლავით მიება!

- ესეც კაცური საქციელია, ოღონდ მთავარია, პირველი სიტყვა „ვუყვარვარ!“ თქვა და ბოლოსაც აუცილებლად იგივე გამოვა.

*** წვიმამ გადაილო. აკაციის ბუჩქთან გავიარე, კაცთაგან განაწყენებულმა, ცრემლნაღვარმა.

- აკაცია?! - შევჩერდი, გავიფიქრე. დავხედე აკაციის ყველა ფოთოლზე წვიმის დიდ-პატარა, მბრწყინავი ბურთულა იყო ჩამოსკუპებული. წვეთებიდან გამოშვებული მზის ალმაცერი სხივები ნათელ ზოლებს ავლებდნენ ფოთლებზე. ულამაზესი იყო აკაციის ფოთლებზე დასმული კრიალა წვეთები, სიოს შემოქროლებზე ვერცხლისწყლის

ალხო-მალხო, ნაბავ ნახო...



ბურთულებით რომ დაგორავდნენ და მაინც არსად მიდიოდნენ. მზეს და ქარს ნელ-ნელა უნდა აეკრიფა მშვენიერება.

- აკაცია უფრო დიდი კაცია! - წვიმამ სათქმელი ჩუმად დამიტოვა.

ნაგავსაყრელი

მდინარე ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე მასპინძელია ნაგავსაყრელი. სამშენებლო ნარჩენები მივიტანეთ. სანამ მანქანას დაცლიდნენ, მე იქაურობის მზერით დავტკბი. ძლიერი ქარი ქროდა. ნაგავსაყრელის შუაგულში გაშლილი ნაკადული მორბოდა, მორაკრავებდა, პატარა კენჭებზე ტალღა-ტალღა გადადიოდა; ნაკადულის ერთ, შიგადაშიგ ორივე მხარეს ძეძენარი და ბუჩქნარი გამეფებულიყო. პანია ლოდებს ლოკავდა წყალი, თავს ევლებოდა; მაყვლის კუნწულებს, დაბლა თავჩახრილებს, გახლებული კოცინდა ნაკადული, ნაწილ-ნაწილ, ტალღის ზვირთზე აკიდებული რომ ეჩქეფებოდა წითელ ბაგეებს და ეს მხურვალე, ლოცვისდარი სიამტკბილობა, ნაგავთა შუა უნახესად გატარებული, დიდ ლიახვს და შემდეგ დედამტკვარს უერთდებოდა... ალბათ, ამიტომაც იყო ლამაზი ჩემი მხარე, თვით სანაგვეთსაც სიყვარულით რომ რთავდა სამყაროს სული.

სულ პირველი კი, ვინც მზერა მომტაცა, ნაკადულის ღია გულისპირს რომ ამშვენებდა, იყო გამხდარი, აწონილი, ქარის მუსიკას აყოლებული მწვანე მოცეკვავე, რომელიც, მივებით თუ არა, ცეკვა-ცეკვით, რვეერანსებით მოგვესალმა. მეც მივესალმე: - გამარჯობა, საოცარი ხარ, შენ, აკაცია! თითქოს იმ, წყალში ჩაყრავებულ ძეძენარს, მდებლობა თუ რიყეზე მიმოფან-

თქმა ვაბროშვილი

ტულ ათასგვარ ნაგავს დარაჯად ედგა და ყველა მომხდურს ესალმებოდა - მისთვის სულ ერთი ჩანდა, ვინ იყო - ადამიანი თუ ნაგავი, ერთმანეთისგან არ ანსხვავებდა.

- აკაცია! ხომ ვთქვი! - აკაცია მართალი კაცია! - გავიფიქრე, თუმცა თვალბზე ცრემლები მომადგა.

ზაი(ჭ)რა

ნანვიმარია. ფოთლები ასფალტს დაპკრობია. მეეზოვე მაინც გვის კორპუსის წინა ეზოს. მე ავტოფარეხის კარი მაქვს

ჰქვია? გიორგი? რასაც მე მაგას ვლოცავ, რა კარგი ადამიანია...

არიან ადამიანები, იმდენად აკუსტიკური და მგრძობიარენი, რომ ერთი შეხედვით, ან ერთი შეხებით იგებენ, შენ ვინა ხარ, რანაირი და მათ მეტი ახსნა-განმარტებები და დადასტურებები აღარ სჭირდებათ; არ ახრჩობთ ეჭვები და არ გინწყობენ ხრიკებს თუ გამოცდებს, რომ როგორმე რაიმე გავნონ. ასეთმა გულთამხილავმა ადამიანებმა შენი ფასი მართლა იცინა!

წუხანდელი ნანვიმარ-ნასეტყვარი ქალაქი ამ დღლას ჩემსავით ცრემლიანი იყო. ვიცი, ორივეს გვმართებს გუბეების და ცრემლის აწმენდა, რადგან სისველეში მტვერი და ოხრობა ზედ გეკრობა და ძნელია ნაგვის ახვეტა.

ნაგავს-„ნაგავს“

მოლამდა. შინ ბრუნდები, დამძიმებული ნუგბარ-ნუგბარით. დღეს იმდენი რამე ნახე და განიცადე, ისე აივსე, გამრავალფეროვანი, შეინოვე ცისა და მიწის სითბო და სიტკბო, რომ ძლივს ერევი... მიგაქვს და გინდა, შენს ბელეში ჩააბინავო - „ჩაცალო“ და ამოისუნთქო... დაისვენო და დამშვიდდეს, რომ იქ - „შიგნით“ ულვეი საზრდო გეგულება, საზრდო, რომელიც შენახვისთვის განსაკუთრებულ პირობებს არ მოითხოვს, არ-ფუჭებადია... ეს შენი სულიერი ტკბილეულობა და ქვესაცავებში გადანახული სასუსნავია - ღიმოლად, ლექსებად, ზღაპრებად სახელდებული...

შინ ბრუნდები. ხელში არაფერი გიჭირავს... თითქოსდა დღეს არაფერი მოგიბოვებია... თითქოსდა წუთებს ამოდ ჩაუვლია... ფიქრობენ: ნეტა, რაში სჭირდებოდა ამ ქალს თუ თავისი ხელების, თვალბების, მიწის იქით, რაღაც სხვა რამეს აგროვებდა... ვის რაში დასჭირდება მისი გატკეცილ-გაუთოებული გრძობები, დღეს ხომ ყველაფერი დაჭმუჭნილია მოდაში, ამდაგვარი უშინარსო - არარეალური ხატების მოძიება-მოზინავებით მხოლოდ პატარა ბავშვი თუ გაერთობა... ასე მოფიქრალბების წინაშე შენ, გატრუნულს, „არაფრისმოქმედს“, ხელები მკერდზე გაქვს გადაჯვარედინებული და არ იცი, სად წაილო ის, რაც უჩინარ ხელებში გიკავია.

პაპანაქებაა. ტროტუართან გაჯგემულ ვერცხლისფერ ბუნკერში მოხუცი ქალი ჩაყუდებული. გვერდზე დაფანგებული ურიკა უყენია, რომელშიც ტენის სანაგვიდან ამოღებულ ათას ხარახურას - ძონძი-კონკს, პურის ნარჩენებს... ჭუჭყიანი ხელით შეექცევა კიდევაც ღვთით მოძღვნილ სარჩოს. გარშემო ძაღლები ახვევია და შეყმუიან, ჩვენც გვაჭამეო.

ქალი გართულია თავის საქმეში; გაიხარა: რა არ იპოვა; თავისად მონიშნული ბუნკერები გულმოდგინედ გადაარჩია: ძველი ტაფა, ცოცხი, ბოთლი, ფეხსაცმელი და ა. შ. - სათავისო ზეინად აქცია.

გვერდით ჩავუარე. მის გასწვრივ წამიერად გავშვდი: ნეტა, ამ ქალს ეს ამდენი უსარგებლო და გადაყრილი ნივთი რად უნდა, რაში დასჭირდება-მეთქი. მე ჩემი უფინარი ტვირთით ვიყავი ავსებული და ვიცოდი, სხვაც იმასევე ფიქრობდა ჩემზე, რაც მე ამ ქალზე ვიფიქრე.

ქალმა სავსე ურიკა, უპატრონო ძაღლების თანხლებით, გვერდზე მდგარი ბუნკერისკენ წაარჩინა. მე ჩემი „არაფრით“ სავსე გულა, გულის მხარზე მოგდებული, პირიქითა შიშობილი ნივთების ნავილე - ჩემი „შინისკენ“, რომელიც ოდესმე შეიძლება სხვათა თავშესაფარიც აღმოჩნდეს!

ავთანდილ ივანიძე



ზავსული

ცაზე მზე ჩაყვითლებულა –
პატარა ნესვისხელა,
ხე დგას მინდორში ეულად,
ივლისია და ცხელა,
ქალი დგას ხის ქვეშ მიხაკის
წვრილი ყვავილის ღერად...
ანთლებულა, სცხელა თუ
ჩემს გამოა, რომ ღელავს.
თან თითქოს თეთრი გედია,
თვალში უცინის ღამე,
ისეთი ძუძუ-მკერდი აქვს –
გაფიქრებინებს რამეს.

●
ის კაცი მიყვარს, ადამიანს რომ არ გასწირავს,
გაუნანილებს საკუთარ გულს ნაწილ-ნაწილად,

ლექსი რომ უყვარს, კარგი ლექსი, კარგი ზღაპარიც
და ჩუქურთმები სვეტიცხოვლის, ზარზმის, საფარის...

ღამე რომ უყვარს, როცა ცაზე თეთრი ხომლია,
უსიყვარულოდ წუთითაც რომ არ უცხოვრია...

ის კაცი მიყვარს, ადამიანს რომ არ გასწირავს,
გაუნანილებს საკუთარ გულს ნაწილ-ნაწილად,

ქოზის სიღვრა

ფიქრით სად არ მიმაქანებს,
დრო, დამფრთხალი იაბო...
ეს ამბავი ზღაპარით
ჩიტმა გზაში მიამბო:

დაფრინავდი, გარს ვუვლიდი
თბილისს ეზო-ეზო და
ხეივანიდან სიმღერისა
და ლოცვის ხმა მესმოდა.

მთანმინდაზე გაემართათ
ძმადნაფიცებს პურობა
და ძველ წყენას იხსენებდნენ
უკვე ჩავლილ ხუმრობად.

ოსები და აფხაზები
ქართველების მხარდამხარ
იხსდნენ (კრულვა მას, ვინც მათი
ძმობა შულლით დადალა)...

ან რა ჰქონდათ გასაყოფი
ამ ერთ მტკაველ მინაზე, –
კახურ რთველზე საუბრობდნენ
და თვალწარმტაც რინაზე.

რაც რომ მოხდა ეშმაკისგან,
თვლიდნენ, როგორც მოსახდენს,
ოსები და ქართველები
სამაჩაბლოს ლოცავდნენ.

მთანმინდაზე იხსენებდნენ
ემხვარსა და წერეთელს,
ძმადნაფიცი ვაჟკაცები
სოხუმს ადღეგრძელებდნენ...

დაჰყურებდათ მალლობიდან
(კმაყოფილი ამითი)
მარადიულ შეფიცულებს,
ლოცვით „მამა დავითი“...

სხვაგან ვეძებთ, როცა ხსნის გზა
ჩვენს გულშია, აქ არის...
და შევძახე კმაყოფილმა:
ჩიტო, შენს პირს შაქარი!“

წითელკაბიან გოგონას

უფალმა ასე ინება –
და მის განაჩენს რალა სჯობს –
შუა ქალაქში, ასფალტზე,
ამოსულიყო ყაყაჩო.
სიტურფის ცოდვა – მადლისა
მან არაფერი იცოდა,
ენტო და იმის კოცონზე
ვილაცის გული იწვოდა.
გახარებული ამქვეყნად
ცოტაა, განა ბევრია...
სიცოცხლე სიყვარულია
და მეტი არაფერია.
უფალმა ასე ინება –
და მის განაჩენს რალა სჯობს –
შუა ქალაქში, ასფალტზე,
ამოსულიყო ყაყაჩო.

წარწერა

ნ. კუპრავას

ჩვენ უკვე ვნახეთ იმაზე მეტი,
რაც ბედად გვერგო მოსახილველად,
შენელდა ჩვენი ცხოვრების ეტლი,
თავს დაგვიარა ღამის ფრინველმა.
ახლა მტანჯველი ეჭვით ვივსებთ,
დღე წუთისოფლის როგორ რთულდება,
თუმცა პოეტებს ოდითგან მოსდევთ
ეს გაორება და შეცბუნება.
ჩვენ ვემსგავსებით იმ ბებერ ხარებს,
აკრძალულ ტყეებს გარს რომ უვლიან,
გზაშემოვლით კი ძალზე შორია
იქამდე, სადაც სიყვარულია.
ხან აღმა მივალთ, ხან კი ვკინდებით,
ხანაც სიბეცის მგზავრნი ვართ მხოლოდ,
ვერ გაგვიგია დანამდვილებით,
უსაზღვროებას სადა აქვს ბოლო.
მანაც იქ გვინდა, იქითკენ მივალთ,
სადაც კაცთაგანს ჯერ არ უვლია,
თუმცა გვაფრთხილებს მკაცრი წარწერა:
„ამ ტყეში შესვლა აკრძალულია!“

მამულს

„ჩვენმა მოყვარემ“ ისე გაგწირა,
რომ მზის ამოსვლა აღარ გახარებს,
აჩეხილია ნაწილ-ნაწილად
ტანი, რომელიც ზღვისპირ დაყარეს.

დაშნა და სისხლი როდი გამცირებს,
მაგრამ რა ძალით უნდა შეერთდე,
როცა შვილებმა უკვე გაგწირეს
ათასჯერ, იქნებ, ათას მეერთედ.

●
თითქოს ყოველთვის ველი გასროლას,
ყოველთვის შენთან ყოფნა მნადია,
მე შევეჩვიე სიკვდილთან ბრძოლას,
უკვე რამდენი წელიწადია.

მანაც ვერც ერთი ძალა ვერ მოშლის
განგების ნებას, სულში რაც არის,
თვალი გამიბრბის სივრცის ბოლოში,
იქნებ, დავლანდო ლურჯი ტაძარი.

იქნებ, დაწყველილ გზაზე დავხანდე
და შევენივთო პირქუშ ბუნებას
ანდა ზვავივით თავქვე დავქანდე,
სანამ დრო-ჟამი მედიდგულდება.


იქნებ მომესმას ხმა უცნაური:
ლოცვა-ლაღადი სიმართლის მთქმელი,
გამარჯვებულთა აურზაურით
მოიცვას ჩემი ქვეყანა ვრცელი?

დავეხეტები მწირი უღრანში,
ძაღლების ყეფა მომდევს კვალდაკვალ,
მინდა, მგელივით შევძვრე ბუნაგში,
სანამ მდევერების კვალი არა ჩანს!

რადგან ყოველდღე ველი გასროლას,
ყოველდღე შენთან ყოფნა მნადია,
შეჩვეული ვარ სიკვდილთან ბრძოლას,
უკვე რამდენი წელიწადია.

●
ეს უნაყოფო წელიც გავიდა,
დამშვიდებულმა როგორ ვიძინო,
ახლა ყველაფერს ვინყებ თავიდან,
ლაჟვარდებისთვის ვგეშავ მიმინოს.
როგორც ტირიფი, გაჩენის დღიდან
სევდის სამკაულს ვედარ ვიცილებ,
არ კაშკაშებენ ცით მნათობები
და გულზე მანვეს ღამის სიმძიმე.
უნდა მივსდიოთ ამ გზას ბოლომდის,
ჰორიზონტიდან ვილაცა ყვირის: —
„რად შეხებია წვერი ობობის,
აბლაბუდაში გახლართულ ტკივილს“.
ეს მძიმე ტვირთი გმირის იერით,
მტკივან ბეჭებით ჩვენც უნდა ვზიდოთ,
მერე სხვა მოვა ჩვენზე ძლიერი
და ისიც ტკივილს მიიღებს ჯილდოდ.

ნუგზარ ვახელოძე



ხმა მომავლისა

დამჭკნარ ყვავილებს გულში ჩავიკრავთ,
გაგვყვეს გარდასულ დღეთა სურნელი,
რომ გვანვალელებდეს გრძნობა მარადის,
ჩაუნვდომი და ამოუხსნელი.
რომ არ ვიხილოთ ამ ქვეყანაზე
ღვთით კურთხეული ცისფერის გარდა,
ვარსკვლავებისკენ გავევალთ გზები,
გავხსნათ პირქუში ღრუბლების ფარდა,
რომ ქვეყანაზე მოსვლას ნამდვილად
მიეცეს აზრი, სიქველე, სიღრმე,
რომ ერთხელ კიდევ ბოლომდის ჩავწვდეთ
ამ უთავბოლო ცხოვრების სიბრძნეს.
რადგან დღეები ჩვენი ცხოვრების
ლხენით და მწუხრით მოკლე თუ არის,
ეგ სულერთია, უნდა შესრულდეს
სცენაზე ჩვენი რეპერტუარი.

ვიზოვებული სოფელი ოსრავს და ავად გახდა...

ნამარ, დასუსტებულ ქვეყანას როგორ გაექცევი? სხვის კერას ათობ, შენი კი ცივდება, ცივდება თონე, უქმდება მამაპაპური ქვევრები, დაზამთრებია შენს ეზო-მიდამოს. ქვეყანა ცარიელდება, ცარიელდება არნივთა საბუდარი. ვინ შეიყვარე, რომ ველარა თმობ: რითი არ მოგონს ეს ქვეყანა? ძირძველი, კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი.

მეტყვი: არსებობისთვის ვარ წასული, მაგრამ მანდ რომ ფესვებს ვერ გაიდგამ, ესეც ხომ უნდა იცოდე.

ვაებაა, გოდებაა დაცარიელებული სოფლების ჩამონათვალი, რომლის ხელშემწყობნიც ვართ ჩვენ ყველანი: მე, შენ, ის...

უცხო იქნები მუდამ დედა სამშობლოსთვის, თუ არ გაიღებ მსხვერპლს მის გადასარჩენად, მის სასიცოცხლოდ. როდესაც დაუძღურდები, მაშინ მიონატრებ მის წყაროებს, ყაყაჩომოძალებულ მინდვრებს, სურნელოვან ზვრებსა და ბაღებს. ისევე შენი სოფლის წყარო იქნება შენი სულის ნამალი, შენი გადამრჩენი.

საშინელი რეალობაა, უძღვებ შვილთა ლაშქარი ახვევია ქვეყანას. სოფელს – ქვეყნის მარჩენალს, ბოქლომი ადევს ნასახლარს ეზო-მიდამო ჭინჭრითა და ანწლით გადაბურულა; უამრავია ასეთი

ნასახლარი, ნაყანარი, ნავენახარი და ნასოფლარი. საშიში სიჩუმეა, სოფლის საყდარში თითოთოროლა დედაბერი თუ ანთებს სანთელს და უფალს ევედრება ქვეყნის გადარჩენას, მშვიდობასა და გადახვენილების, სოფლიდან გაქცეულების დაბრუნებას.

შენი ეზოდან იწყება სამშობლოს აღმავლობაცა და გაღატაკებაც. ღობე ქაცვითაო, სოფელი კაცითაო, – ბრძენ ხალხს უთქვამს. სად ხარ? „მოძველებული“ სამშობლო გეძახის და შენ კი, ამქვეყნიურ საზრუნავში ჩაფლულს, არ გესმის დედაფუძის ძახილი, ვედრება, ლოცვა; გადარჩინე, სანამ დროა, შემოემეველე... დაბრუნდი...

სამუზეუმო ექსპონატად ქცეულა ძველი ოდა, მარანი, ზვარი, ბაღა, მამულის სიყვარული, ქრისტიანობა...

შენი მშობელი იობის ტანჯვის მსგავს ნამებაშია, სხვის სამადურად, სხვისი ხელის შემყურედ დარჩენილი. ღიმილისა და თანაგრძნობის მთხოვნეული.

შენი ნაშიერი მსოფლიოს მოქალაქე იქნება მაგრამ არა ქართველი. ქართველად რომ გაიზარდოს, ამ მინისა და ცის ქვეშ უნდა გაიფურჩქნოს, ფესვი გაიდგას, იყვავილოს, უკვდავების წყარო უნდა კვებავდეს მის ტოტებს და სიყვარული უნდა ასწავლო ამ ქვეყნისა. ამ

ანა ერისთავი

ზღაპრული მინდორ-ველისა, ვაზისა და ოქროსფერი ყანებისა, ხარისა და გუთნისა, მაღლი ქართული მინისა. რათა, შენც რომ დაბერდები, არ მიგატოვოს და ცივი გული არ ექნეს – ჩვენ ხომ სიყვარულმა გადაგვარჩინა.

მომძლავრებული მტერი ტყვიასაც კი არ გაისვრის, ისე დაგვიპყრობს. მამული ისე გაქრება თვალსა და ხელს შუა, ისე პატარავდება, გააზრებასაც კი ვერ ვასწრებთ.

სადა ხარ, ისეთს რას უნდა აკეთებდე, შენი ქვეყნის საქმეს რომ სჯობდეს? ორნატი გაავლე, ვაზი ჩაყარე, სოფლის საყდარში ილოცე და წინაპართა საფლავებზე დაანთე სანთელი.

დაბრუნდი... უძღვები შვილივით მიგიღებს სამშობლო, გულში ჩაგიკრავს და ყველაფერს გაპატიებს.

გაუქმებულ სოფელზე მოფიქრალი ადამიანები არ უნდა დაელიოს ჩვენს მამულს.

ერთ დიდ ქართველზე ლექსი დაიბადა, რომელიც დიდი გულისყურით მინდა წაიკითხო. უფროსებისგან გამიგონია, ადგილის დედას რომ მოშორდები, მფარველი ანგელოზი ცრემლობს... ნუ ავბატირებთ სოფლის მფარველ ანგელოზებს.

... დაბრუნდი...

ღმერთის ნაჩუქარია

ბალახებში ფეხშიშველი საპოვნელას დავეძებ: უფლის გზაზე დამაყენე, სხვას არაფერს არ ვეძებ. სილამაზე თქვენ წამართვით, წლებო, გულისხელო, სიყვარული ჯადოქარმა დაიმარტოხელაო. სიცოცხლეს არავის მივცემ, ღმერთის ნაჩუქარია, გინდაც სეტყვამ დამაყაროს, ამოვარდეს ქარია. ბალახებში ფეხშიშველი საპოვნელას დავეძებ, უფლის გზაზე დამაყენე, სხვას არაფერს არ ვეძებ.

ჩემი გავშვობის აკვანო

ლამაზ სოხუმში გაზრდილი გულში ჩამიკრა თბილისმა. ორივე ერთად მიყვარხართ, თქვენა ხართ ჩემი თილისმა. სოხუმზე დარდი მანამებს, არ მომასვენეს ფიქრებმა, ჩემი გულწრფელი ლექსები მინდა მოგართვან ჩიტებმა.

საქართველო

შენა ხარ ქვეყნად სამოთხე, წუთისოფლისა ედემი. შენს შვილებს ნანას უმღერენ მზეთუნახავი დედები.

ქრისტეს მორწმუნე ქვეყანა, დამატკობელი სულისა, მუდამყამს ფოთოლთ შრიალი, გამხარებელი გულისა.

ჩემი ლამაზი ქვეყანა ქართველთა მინა-წყალია, აქ მუდამ ხარობს იები — ყინვისგან დაუმზრალია.

ღვთისგან შობილი ქალწულო, მზის თეთრი სხივის ნათება, ცისარტყელების ფერებით ნათელი დილა თენდება.

შენა ხარ ჩემი სამოთხე ჩემი სულისა ედემი, შენს მკერდზე გმირებს გიზრდიან მზეთუნახავი დედები.

ავსაზისთვის ქართველ დედას ტკბილი ნანა უმღერია

ავსაზეთში ყვავილთ თოვას აყვავებულ ალუბლისას, დამავინყებს — რა იქნება — გულანთებულ ლოცვას ღვთისას.

ულამაზეს ჩემს სოხუმში, მოლივლივე ზღვას და ქვიშას, ლამაზ თუთარჩელა ღამეს, მზისფერ გაღიმებას დღისას.

მენატრები, ჩემო კუთხე! თბილისიდან გითვლი სალაშს, სიყვარული არ ჩაქრება, ვსუნთქავ, გული ფეთქავს მანამ.

ავსაზისთვის ქართველ დედას ტკბილი ნანა უმღერია. სიყვარული, სიხარული, და-ძმას შორის უღვია. მენატრები, ჩემო კითხე!

ყაზო, შერეოთხით ნაზარდო!

ჯვარი, ვაზი და მამული წმინდა სამების დარია, თუ ცოცხალი ხარ, იცოცხლე, მოგცეს ადამის ჟამია.

უდაბნოდ ქცეულ ბაღნარში გული არ ფეთქავს ზვარისა, სანთელი აღარ ინთება ჩამოღვენილია დარდისგან.

მტერმა რომ ვაზი აჩეხა, ხატი დანვა და ტაძარი, ქართველს რომ არ ჰქონოდა ბილიკი ცისკენ სავალი.

ურჯულოს გაუნყვეტია, დაღამებულა სოფელში, ვენახი ამოუძირკვავს, ატირებულან ლოდებიც.

ვაზს შვილს ეძახის ქართველი, ალაღად შეყვარებია, ზიარებაა, ძალაა, განმწმენდი — ჩვენი მცველია.

სხვის კარზე ღამის მთეველსა ელდისგან გაგვიძებია, სოფელი ისევე გეძახდა, გიხმობდა დედოზარია.

სიზმრად დედას რომ ხედავდი, გამწყარალი გეუბნებოდა: — დაბრუნდი, ოდა ააგე, ხატებიც ერწმუნებოდა.

ერთი კაცია სოფელი, ათასად გადაიქცევი, წინაპართ საფლავს მიხედე, უმღერე საგალობელი.

დაბრუნდი... მინა გეძახის,

ვარძიის ახლოს, ახალციხის რაიონში, გაუქმებულ სოფელ კლდის მკვიდრმა, ბაგრატ დევნოსაძემ ბალავერის გაჭრისას ვაზის ფესვი იპოვა და გაახარა.

აქ არის სულის ნამალი, სიყვარულის და ერთობის უნდა ააგო ტაძარი.

ქართველთა ბედი, გზანვრილი, ვაზის ლერწს ისე შერწყმია, თვითონ უფალმა აშენა უფლის სისხლი და ცრემლია.

ისმინე: ოდა ააგე, რწმენა ჩაუდე საძირკვლად, საღვთო საქმემ და სიქველემ ამ ქვეყნად გამოგაბრწყინა.

ბედმა გაჩვენა ფესვები უკვდავი ვაზის ჯიშისა, ქვესკნელს ტიროდა პირიმზე, მამშვენებელი მინისა.

ცრემლით განბანე ფესვები, ვაზის ლერწვივით ტიროდი, უმღერე საგალობელი კაბადოკიელ ნინოსი.

საიდუმლოა ღვთიური, ალბათ იმიტომ გადარჩა, ფოთოლს დაისხამს ოქროვანს სულის და ხორცის ნამლად.

ის ნაზი ძარღვი ქართული, ზეცის და მიწის ნაწილი, ლოცვით დანერგე... იშვილე... სამოთხის ბაღის ნაწილი.

გამოაცოცხლე სოფელი, მზით და ბადაგი თავსე, წინაპართ ძახილს მიჰყევი, მშობლის საფლავი ახარე.

მაღალმონყალე უფალი შეგყვარებია, ბრძენკაცო, უდაბნოდ ქცეულ სოფელში ოქროს ზვარი რომ აშენო.

„ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა, ნითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა“.

სული იცხოვრე მაღლითა, ეგ გზა რჩეულთა ხვედრია — „ვაზო, შვილივით ნაზარდო, უღვაშებ გადგიგრეხია“.


გწყალობდეს მაღალი ღმერთი, აშენდეს შენი კერია, აგავსოს ღვინით, ჯან-ღონით, შენს მარანს ჯვარი სწერია.

თუ ცოცხალი ხარ, დაგლოცოს, მოგცეს ადამის დღენია, „უმალ შენ მოგაკვლევინოს, შენზე მოსული მტერია“.



როის ვახუშტის

გოგი მამაცაშვილი



ვინ ვარ?! რა მინდა?! რა შემიძლია?!
 ეს შემოჩვეული კითხვები გახლდათ...
 კითხვები, რომელზეც პასუხები უკვე გა-
 ცემული ჰქონდა... აქ დასამალი არც არა-
 ფერი იყო... ის მაინც მალავდა... ჩრდილში
 ერჩია და გამომზეურებას ერიდებოდა...
 იცოდა, რაც შეეძლო... წერდა მოთხრო-
 ბებს და პიესებს... წერდა და აწყობდა...
 იცოდა, რაც უნდოდა...

სურდა, შედეგები შეექმნა და... შედეგი
 დაეყო!...

ეს მისი მიზანი იყო... მიზანდასახულო-
 ბაც ეს გახლდათ...

მიანდა, რომ არავისზე ნაკლები არ
 იყო... მიანდა, რომ ბევრ ცნობილსაც
 აღემატებოდა... თუმცა თავი მწერლად
 არავისთან და არასდეს მოუხსენიებია...
 მისთვის რაღა ღმერთი და რაღა კარგი
 მწერალი!.. მერე რა, რომ ღმერთმა შექმნა
 სამყარო და სხვაც ყველა და ყველაფერი...
 მწერალიც ხომ ასევე ქმნის თავის სამყა-
 როს და ყველას და ყველაფერს... ბუნებ-
 რივია, ეს ერთი და იგივე არ არის... მაგრამ
 მსგავსება ხომ არის!.. ჰოდა, ღმერთ-
 თან მსგავსება – ეს ცოტა არ არის...
 მისთვის ეს დიდ რამეს ნიშნავდა!..

გადიარია ქვეყანა...

...არა და არ დამთავრდა სიმდი-
 რეების, თანამდებობების და გავლე-
 ნის სფეროების გადანაწილება... ვაჟიც
 ვერც ერთხელ ვერ მოხვდა დანაწილ-
 რებულთა გუნდში... შეუძლებელი იყო
 მოხვედრილიყო... არც გული დაწყევტია...
 რადგან ყველა გუნდში და საქმეში ადამია-
 ნებს ისეთი ნიშან-თვისებებით არჩევდნენ...
 ის რომ შეერჩიათ, სირცხვილში ჩავარდებო-
 და... შეურაცხყოფილიც იქნებოდა!..

მოსახდენიც მოხდა... იგი სხვებმაც გა-
 რიყეს და თვითონაც განუღგა... ნამდვი-
 ლი განდევნილიც შეიქნა!..

ქვეყანა იქით იყოს... და თვითონაც არა-
 ნაკლებ დღეში ჩავარდა... მაინც რა ხდებოდა
 მის თავს? რა თქმა უნდა, კარგი არაფერი!..
 ისიც მის შიგნით, სულიერებაში გაიხლიჩა
 უმონყოლოდ... ვაჟს მინაგანი ხმა მოსვენებას
 არ აძლევდა... ეს მისი განაყოფი გახლდათ...
 საკუთარ თავთან, აბა, ვის არ უსაუბრია... ეს
 მაინც სხვა იყო!.. მალე უცნობი ხმა ნაცნობი
 გახდა... ენაც შემოაჩვიო... ახლაც სწორედ ში-
 ნაგანი ხმა აწივდა სმენაში...

- მოდი, მოვრჩეთ სისულელებს!..
- სხვა რა ვაკეთო?!..
- მივდგეთ... მოვდგეთ!..
- ვცადე და არაფერი გამოვიფიდა!..
- დროა, ცხოვრებაში ჩვენი ადგილი ვი-
 პოვოთ!..

- ჩემი ადგილიც, – შერცხვენის განც-
 დით ჩაილაპარაკა ვაჟმა, – სხვამ დაიჭი-
 რა!..

- ჰოდა... შევძრათ მთა და დედამინა!..
 - გაიგე, არავის ვენაღვლები... აღარც
 სამშობლოს!..

- ნუ... თავს ნუ ვითარსავთ!..

ვაჟი ერთპიროვნულად თავისი სახე-
 ლით ლაპარაკობდა... მისი განაყოფი კი
 ორივეს სახელით... ეს დაუკრფავი გა-
 დასვლას ჰგავდა... კი არ ჰგავდა, ასეც
 იყო... ისიც მისმა შინაგანმა ხმამ გააღიზი-
 ანა... წონასწორობაც დააკარგვინა...

- მოდი, შევხედოთ ჩვენს თავს სხვების
 თვალთ!..

- მდგომარეობა შევიმსუბუქო?!..

- ... დამძიმება შეეწყვიტოთ!..

- როგორია, ქვეყანაში შენი ადგილი
 სხვას ეჭიროს?!.. – თქვა ვაჟმა და მისი
 თვალბინიდან თვითმკვლელობის სურვილ-
 მა გამოიხედა... მისმა განაყოფმა საფრ-
 თხე იგრძნო და სიტყვით აჩქარდა...

- თურმე გვაქვს მისი უკან დაბრუნების
 მორალური უფლება!..

- უფლება გვაქვს... შესაძლებლობა
 არა!!!

... რცხვენოდათ ქვეყანაში!..

აქ... ამ ქალაქში, ვისაც არ ეზარება,
 ყველა წერას ჰყავს ატანილი... ქვაც რომ
 მალლა ავადო, ან პოეტს მოხვდება თავში,
 ან პროზაიკოსს... ლიტერატურულ ჟურნა-
 ლებშიც უპროზოროდ დაბეჭდვასაც ერ-
 თი ორომტრიალია!..

ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი!..
 არადა, როგორია, დაილოცო იმ სამართ-
 ლით, რომელიც საკუთარ თავზე არ გამო-
 გიცდია... ვაჟიც სწორედ მათ შორის მოი-
 აზრებოდა, ვისაც არ გამოუცდია!.. რედაქ-
 ტორ-გამომცემლები ცდილობდნენ, რომ
 მისთვის დაბეჭდვის იმედი არ გაეჩინათ...
 ცდილობდნენ და ახერხებდნენ... ისინი ერ-

თი ჩვეულებრივი მედროვეები იყვნენ, რომ-
 ლებსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ...
 არც სახელი!.. მიანდათ, რომ ვაჟი ნიჭიერი
 იყო... თუმცა საფრთხეს არ წარმოადგენ-
 და... დარწმუნებული იყვნენ, რომ იმ პიროვ-
 ნული თვისებებით, რომელიც მას ჰქონდა...
 ამქვეყნიურ მოჯადოებულ წრეს ვერ გაარ-
 ღვევდა... ვერც ლიტერატურულ სამყაროში
 დამკვიდრდებოდა!.. ვაჟსაც ასევე მიანდა...
 ისიც ბედს შეურიგდა... ხელიც ჩაიქნია...
 შეანჯღრიეს...

...მანაც გონს მოსვლა იწყო... ღირდა
 კი?! იმ ფიქრებს, რომელიც მის თავში
 ტრიალებდა, ყველაფერი სჯობდა!.. იმ
 რეალობასაც, რომელიც მას ჰქონდა, ასე-
 ვე ყველაფერი სჯობდა!.. მაინც რომელი
 სჯობდა რომელს?! ამის გარკვევა მხო-
 ლოდ რეალობიდან შეიძლებოდა... ვაჟმაც
 დაბინდული თვალეები რის ვაი-ვაგლახით
 გაახილა და... გაოცდა... მის წინ დიდი ხნის
 უნახავი პროზაიკოსი იდგა... ეს კაცი მე-
 გობრად მიანდა...
 - შენთან სალაპარაკო მაქვს...

ღმობი აცდენილი

- არ ვსვამ!..
 - არც მე ვსვამ!..
 - შენ შეგიძლია ღვინის გარეშე ილაპა-
 რაკო?!.. – გაზვიადებული გაკვირვებით
 ითქვა...

- კი... შენთვის ამაზეც ვარ ნამსვლე-
 ლი!..

ცნობილი პროზაიკოსი კიდევ უფრო
 ცნობილი გამომცემელი გახლდათ... გამო-
 ირკვა, რომ იგი ლიტერატურული აღმანა-
 ხის გამოცემას აპირებდა... – ნეტა ჩემგან
 რა უნდა?! – გაიფიქრა ვაჟმა... მეგობარმა
 მისი გულში ნათქვამი გამოიცნო...

- მინდა სარედაქციო კოლეგიაში შე-
 მიყვანო!..

სად ეს, სად სარედაქციო კოლეგია?!
 მასაც სახეზე მოზღვავებულ განცვიფრე-
 ბაში... შემოთვებაც გაერია...

- რომ არ გამოგადგე, შენი ჭკუაც?!.. –
 თქვა.

- მინდა, იქით გამოგადგე, შენი ყო-
 ფაც!..

სჯეროდა, არ სჯეროდა?! ნათქვამი მა-
 ინც ძალიან ეამა...

- ისევ წერ?!.. – იკითხა მეგობარმა.

- ვწერ და ვწყობ!..

- ჰოდა, გექნება ხელფასი და მიიღებ
 ჰონორარს!..

- რა ხდება?! – ნამოძახა შეცბუნე-
 ბულმა ვაჟმა...

- სიზმარი აგისხა, შენი ყოფაც!..

როგორც იქნა!!! ეს სასწაულს ჩამოჰ-
 გავდა... ვაჟმა პირველად იგრძნო ადამია-
 ნური ყურადღების ძალა... იგრძნო და გა-
 ნიცადა!..

ჰონორარი!..

... მართლაც ლამაზად უღერს... არც
 ხელფასი ზუზუნებს ნაკლებად!.. დღეს
 არაფერი ისე არ მჭირდება, როგორც შე-
 მოსავალი!.. თანაც სასწრაფოდ... გადაუ-
 დებლად... უსახსრობამ, ასე ვთქვათ,
 ადამიანის სახე დამაკარგვინა... იმდენად,
 რომ სარკეშიც აღარ ვიყურები... ჩემი თავის
 დანახვაც არ მინდა!.. ეგებ-მეთქი,
 ვფიქრობ... ჩემი სახე დავიბრუნო... ეგებ,
 ჩემი თავიც დავიბრუნო-მეთქი!.. ეს მინ-
 და... ამას ვსაჭიროებ!.. გავიტანჯე ჩემთ-
 ვის ძვირფასი ადამიანებისთვის თვალის
 არიდებით... დამალვით... ათასი რამეების
 მომიზებებითაც... მე ხომ ჭიკა ღვინის
 აუნეველად ნაცნობ-მეგობრებთან ურთი-
 ერთობა უხერხულობაში მაგდებს... ვერც
 გარდაქმნას ვახერხებ და ვერც ჩემს ასეთ
 მდგომარეობასთან შეჩვევას... მეტი აღარ
 შემიძლია!.. მეტი აღარც შეიძლება!!! მეც,
 რა თქმა უნდა, ვიჯერებ მეგობრის სიტყ-
 ვას... არც დაქვევების მიზეზი მაქვს... იგი
 ხომ ის კაცია, რომელმაც კეთილმოსაგო-
 ნარი ეროვნული მოძრაობის ნლებში ჩემი
 პატრიოტული სულისკვეთების ვრცელი
 მოთხრობა დაბეჭდა... უფრო მნიშვნე-
 ლოვანი რამეც ჩაიდინა... ერთ-ერთ თავის
 რადიოგამოსვლაში საქვეყნოდ გა-
 მოაცხადა: „ამ მოთხრობით ავტორმა წინ
 უსწრო ეროვნულ მოძრაობას საქართვე-

ლოში!“ იმ დროში ამაზე უკეთ ღმერთიც
 ვერ იტყოდა!.. ჰოდა, მოდი და ნუ ენდობი
 ასეთ პიროვნებას!.. მეც მეგობრის შემო-
 თავაზებით შთაგონებული ვარ... მოცე-
 მული პირობით დაიმედებული... არც გა-
 მემტყუნება... რა ვქნა... აღარ მინდა სირ-
 ცხვილში ყოფნა!.. ჰოდა, მეც ვთანხმდები,
 ვიყო გუნდში და ამას ჩემს შანსს ვარქმევ!..
 - სად არის შენი მოთხრობა?!.. – იკითხა
 რედაქტორმა მის მიერვე მონყობილ პირ-
 ველ სარედაქციო კოლეგიაზე...

- მე, თუ შეიძლება, პიესას მოვიტან!..

- პიესა არამც და არამც! – თქვა მე-
 გობარმა და თვალის კოლეგის წევრებს
 მოავლო!.. მათაც რედაქტორს ყველაფე-
 რი უსიტყვოდ გაუგეს... უფროსს გაუგეს,
 ვაჟს კი არა... არადა, ამ წამს გაგება სწო-
 რედ ამ უკანასკნელს ესაჭიროებოდა...

- ნუ ჭირვეულობ, – უთხრა შეპარვით
 პოეტმა, – მოიტანე მოთხრობა!..

ვაჟს მისი ნათქვამის დაჯერება გაუ-
 ჭირდა... ეს ხომ ის პირი იყო, რომელმაც
 წუთის წინ ერთმანეთის ნამუშევრების
 დაბეჭდვა მიზეზგარეშე მოითხოვა!.. ახ-
 ლა კი, ორიოდ წამის შემდეგ, არხეინი სა-
 ხით იდგა და თითქოს არც უთქვამს!.. მას
 ახალგაზრდა პროზაიკოსი ნამოეშველა.

- პიესის დაბეჭდვას არც მე გირჩევ!.. –
 თქვა და სიტყვა გააგრძელა, – თეატრები,
 როგორც წესი, უარს ამბობენ გამოქვეყნე-
 ბული პიესების დადგამაზე...

- ჰოდა, მე მზად ვარ, ნავიდე ამ რისკ-
 ზე!..

შთაგონებით ითქვა... ითქვა გაღიზი-
 ანებითაც... ამ ყველაფერს, რა თქმა უნ-
 და, ჰქონდა თავისი ახსნა... ვაჟს უმოქმე-
 დოდ ოთხი-ხუთი ისეთი ძალის პიესა ედო,
 რომლითაც იგი თუ აღემატებოდა, თორემ
 არავის ჩამოუვარდებოდა!..

მანაც დაბეჭდვა-გამოქვეყნებით მათი
 გადარჩენა ჩაიფიქრა... შესაძლებლობა
 გაუჩნდა თუ არა, ისიც ამ შესაძლებლობას
 ჩააფრინდა და ხელიდან აღარ გაუშვა...
 ჰოდა, სიცოცხლეში პირველად დაასველა
 სიტყვა მისი პიესების დაბეჭდვის სასარ-
 გებლოდ!..

უცერად რედაქტორი მოლბა და თანაგ-
 რძნობით გამოიხედა...

- რამდენი გვერდი იქნება?!.. – იკითხა
 მოულოდნელად.

- სამოცდაათამდე!..

- ჰოდა, ორმოცამდე შეამცირე!..

- რა ვქნა... შენი ჭკუა?!.. – იფეთქა აღ-
 შფოთებით ვაჟმა... რედაქტორმა დაყვავე-
 ბით გამოიხედა...

- პიესა ამით მოიგებს, შენი ყოფაც!..

- ნააგებს, შენი ჭკუაც!..

- გაიგე, პიესას ნაკლებად კითხულო-
 ბენ!..

- ჩემსას ნაიკითხავენ!..

- შეიბრაღე მკითხველი?!..

- ჩემი პიესა ყველა ლიტერატურულ
 მოთხროვნილებასაც დააკმაყოფილებს!..

უცერად თან მთარგმნელი, თან რედაქ-
 ტორის მოადგილე ამოძრავდა... აღმაცე-
 რად გამოიხედა და ვაჟს თვალში ჩაუვარ-
 და...

- შენ რა... გენიოსი ხარ?!..

- შენ ფიქრობ, რომ არა?!..

ეს სიტყვები მოკრძალებულად ითქვა...
 შეპარვითა და ჩამთხარი ტონალობითაც...
 ახლა კი... გრძნობს, რომ ამ წაცდენილ
 ნათქვამს მის ზურგს უკან კუდს გამოაბა-
 ნენ... მეტისმეტადაც გაბუქავენ... აქ ყვე-
 ლა ისე გაიგებს, როგორც თვითონ უნდა...
 ისე იტყვიან, როგორც სხვებს გაუხარდებ-
 ათ!.. ლიტერატურულ წრეებში ასეთი რა-
 მეები მოსულა!..

ვაჟმაც მის ზურგს უკან აგორებული
 ჭორი იგრძნო და განიცდიდა!.. თითქოს
 მას, დედამინაზე ყველაზე უბრალო და
 თავმდაბალ ადამიანს, თავი გენიოსად
 მოჰქონდა!.. შავ დღეშიც ჩავარდა... გა-

მოუვალი მდგომარეობა არ არსებობს...
 ჩვენც, ერთადერთი, რაც გვმარ-
 თებს... ეს არის... ვაგისხენოთ ის შე-
 სასველი, რომლითაც იქ შევედით...
 შესასველი ხომ იგივე გამოსასველე-
 ლია!!!

ვაჟსაც სხვა, აბა, რა დარჩენოდა
 და მანაც შეამცირა პიესა... ბედად ნა-
 ნარმოებმა ამით მოიგო!.. ჰოდა, იმ
 დღეს, როდესაც რედაქტორმა აღმა-
 ნახის კუთვნილი ეგზემპლარი გადასცა,
 ერთი ცნობილი ლიტერატორი შეახსენა...

- ... შენზე თქვა... ეს ავტორი ნამდვილი
 გენიოსია!!!

სიტყვაც არის და სიტყვაც... იმასაც
 გააჩნია, სად, როდის და ვისთან ითქმება
 იგი... ეს სწორედ ის შემთხვევა გახლდათ,
 როცა სიტყვა იმ დროს, იმ წრეში და იმ
 ვითარებაში ითქვა, სადაც და როცა მისი
 თქმა ზედგამოჭრილი იყო... ამ სიტყვამ
 ჭორი თუ არ მოკლა, ყველა შემთხვევაში
 ძალა მაინც დაუკარგა!.. დედამინაზე და-
 აბიჯებდა მწერალი, რომელიც ყოველგვა-
 რი ქვენა გრძნობის გარეშე დრამატურგს
 გენიოსად მიიჩნევდა... ეს ცოტა არ იყო...

სულ რაღაც სამი თვის თავზე მან მეორე
 პიესაც გამოაქვეყნა... ისიც, გულმოცემუ-
 ლი... თავის შემოქმედებას ჩაუფიქრდა...
 პიესებმა მიიზიდა და თავის სიღრმეებში
 შეითრია... ხვდებოდა, რომ მაღალმხატვ-
 რულ ნაწარმოებებს ქმნიდა... მაგრამ თუ
 ესოდენ დიდებულს, ამას არა!!!

ისიც შთაგონდა...

როგორია, როცა შენს ნახელავში თვი-
 სობრივად სხვა განზომილების მიგნებებს
 აღმოაჩენ და დაიჯერებ... იგი უფრო შორ-
 საც ნავიდა... ირწმუნა, რომ ყველა დროის
 საუკეთესო ლიტერატურა შექმნა... დაი-
 ჯერა, რომ თავისი ოთხი-ხუთი პიესით დე-
 დამინაზე ყველაზე ცნობილ დრამატურ-
 გებსაც აღემატა!!!

ისიც თავის შემოქმედებაზე ასეთმა
 რწმენამ დააფრთხო... ვაითუ, ჩემმა სურ-
 ვილმა ამამჩატაო?! მანაც კრიტიკის ქარ-
 ცეცხლში გაატარა თავისი ნარმოდეულები
 თავისივე შემოქმედებაზე, თუმცა მათ ად-
 გილიდან ძვრაც ვერ უყო!.. მეტიც და უკე-
 თესიც დაემართა.

მგონი, შედეგები შეექმნენ?!.. ჭოჭმანით
 ნათქვამ ამ სიტყვებში რწმენა მეტობდა
 დაეჭვებას... მღელვარებაში კი ყველას და
 ყველაფერს გადაამეტა...

დრამატურგმა ირწმუნა, რომ შედეგ-
 რი შექმნა!!! რომ შედეგი დადო!.. ეს უდა-
 ვოდ და უტყუარად... ამის გააზრება და...
 ისიც მთელი სულით და სხეულით აფეთ-
 ქდა... თვალბინი გაუფართოვდა და გად-
 მოცვენაზე გაუხდა... მოძრაობაც ფრენა-
 რენით იწყო... ეს მის გარეთ!.. მის შიგნით
 კი... „არნახულად და არგაგონილად“ გაი-
 ხარა... აღტაცებულიც შეიქნა... თუმცა ამ
 ყველაფერს სრულყოფილება დააკლდა...
 დააკლდა სრულფასოვნებაც... რადგან
 ისევ მის გარეთ, ამ მოვლენას არც არა-
 ვინ ილხენდა... ირგვლივ სამარისებური
 სიჩუმე გამეფებულყო!.. თითქოსდა, არც
 არაფერი... მაინც უფრო უკეთესობა იყო,
 ვიდრე უარესობა... კარგი ქნა, რომ მეგობ-
 რის შემოთავაზება მიიღო... მიანდა, რომ
 ამით კაცობრიობას ორი უმნიშვნელოვა-
 ნესი ქმნილება გადაურჩინა!..

აბა, ვის უნდა მარტო პირადი სიამოვ-
 ნებისათვის წერა-კითხვა?! ასეთი წერა-
 კითხვა არც მას უნდოდა... ეს დროში და-
 კარგულ შემოქმედებად მიანდა... მანაც

ჩათვალა, რომ თავად სწორედ ასეთ უაზრო მოქმედებას ასცდა!..

უძალიო ქვეყანაში კატებს აყვებდნენო!.. ამას უსამართლობით შეძრული ადამიანები ამბობენ... უარესი მაინც ის არის... როცა - ძალღებთ სავსე ქვეყანაში აყვებენ კატებს!.. დრამატურგის მშობლიური გარემო სწორედ ეს მეორე და უარესი შემთხვევა გახლდათ!.. ისიც ღვთაებრივი სასწაულის იმედზე დადგა!..

ადამიანად დაიბადე?! ხე დარგე... სახელი ააშენე და შთამომავლობა გაზარდე!.. უშვილოდ და დადუნება, აბა, ვის უნდა?! არც მას უნდა!.. ვითარება წვიპზე მიდგა... ყოველი წუთით და წამით შეიძლება ეს სურვილი დაგვიანებულიყო... ისიც ნამდვილი ბედის მაძიებელი შეიქნა... მანაც ფართოდ გაახილა თვალები და მალევე ნაცნობი ქალიშვილი ჩაუვარდა თვალში. მის მიმართ ყოველთვის სიმპათიას გრძნობდა... ოღონდ ვერ გარკვეულიყო, მხოლოდ მოსწონდა თუ უყვარდა კიდევ?!.

ვაჟმა ამინდზე ჩამოაგდო სიტყვა... ესე იგი, არც არაფერზე... ქალიშვილმაც ის მალევე ლიტერატურაზე გადაიტანა... საუბარში, ასე ვთქვათ, თემატური გახდა... აი, ამას ჰქვია მომენტები; დრამატურგმაც იგი ხელიდან აღარ გაუშვა... მანაც, როგორც თეზმა წყალში, ისე იგრძნო თავი... ახლა ჯერი ისევ ქალიშვილზე მიდგა...

- შენი პიესები ნაიკითხე! - თქვა.

- მე ისინი ჩემს ღვთის წყალობად შევრაცხე!..

- ნუ, ასეთ წვრილმანებში ნუ გარეგდები... წვრილმანებში?! ვაჟი სატრფოს ნათქვამმა შეაცხუნა... რაც გაიგო, იმის დაჯერება არ მოუწია... და ნათქვამი ნაცდენილ სიტყვად ჩაუთვალა...

- კარგი, - ნაძალადევი ღიმილით თქვა დრამატურგმა, - მაშინ მე მივიწერ მას ერთპიროვნულად!..

- როგორც შეცდომას?!.

- როგორც ჩემს უმაღლეს მიღწევას!..

მამრს არც მდებდრის მორიგი ნათქვამი დაუჯდა ჭკუაში... ერთხელაც სცადა მისი გამართლება და სიტყვა ხუმრობაში ჩამოართვა!..

- ნუ... ნუ გამიმდარებ წარმოდგენებს შენზე!.. - თქვა ნირნახდომით ქალიშვილმა.

გამიმდარებო?!. თურმე სუსტ არსებას არც პირველად წააცდენია სიტყვა გაუფრთხილებლობით და არც მეორედ უთქვამს ხუმრობით... ყველაფერი ნათელი გახდა... ქალიშვილს პიესებზე განუული გარჯა ქარს გატანებულად მიაჩნდა!.. ვაჟი არა და არ შეურიგდა ამ აზრს... გაიბრძოლა...

- მე მთელი თვე თავაუღებლად ვიმუშავე!.. - თქვა სინანულით.

- ეტყობა... ის ერთი თვე სხვა საქმეები არ გქონდა!..

- მე ჩემი შემოქმედება ყველაფერზე მაღლა დავაყენე!..

- უთუოდ განამანიაში... უარესი და უკეთესი ერთმანეთში აგერია!..

- თურმე ჩემი პიესები სათანადოდ ვერ გაიგე!..

- არც შენი მესმის!..

- ჰოდა, რა პრობლემაა... ჩემს გაგებაში მე დაგეხმარები!..

- არც გაბედო!!!

რალაც ორიოდ წუთში... სამიოდე სიტყვით მდებდრმა მამრის დრო და სივრცე შემოკვალა და... იგი სხვა დროსა და სივრცეში გადაისროლა!.. ეს მოულოდნელობა გახლდათ. ვაჟიც დაიბნა...

ცუდია, როცა წარსულში გაბრუნებენ... კიდევ უფრო ცუდია, როცა წარსული სანატრელი გაგიხდება!.. ახლა მისი თქმის რიგი იდგა, არადა, სიტყვა ისევ ქალიშვილმა დაასველა!.. რუსულ-ქართულად ნაჯვარი სიტყვა გამოისროლა...

- შენ მგონი... პიესებით მიპაძობდე!..

- ... გინაბიჯებ! - შეუსწორა ვაჟმა. მდებდრი რჩეულის მიერ მისი ნათქვამის სრულიად გაქარაუვლებამ გაამხიარულა... გულიანად გადაიკისკისა...

- შენ მე გუნება გამომიკეთე და მთხოვე, რაც გინდა! - თქვა.

- თუ ასეა... ცოლად გამომიყვები!..

- თურმე გინდა დამლუპო!..

- როგორ, რანაირად?!.

- შენ შენს შემოქმედებაზე ანთებული თვალებით ლაპარაკობ!..

- ჰო, მე შევქელი... მე გამომივიდა!..

- შენ დაავადებული ხარ!..

- ამას სხვაგვარად შემოქმედებითი შთაგონება ჰქვია!..

- შენ შენს პიესებზე დამოკიდებული ხარ!..

- ჰო, იგი ჩემი ძლიერი სულიერი გატაცებაა!..

- რალა შენ და რალა ნარკომანი!..

- არის განსხვავებაც.

- მსგავსება მაინც უფრო მეტია!.. ნათქვამში იყო სიმართლის მარცვალი...

- ჰო, ეტყობა, სხვაგვარად შედეგს ვერ შექმნი!..

დრამატურგი მისივე ნათქვამით უხერხულობაში ჩავარდა... სულ ტყუილად!.. შედეგები ახსენს?!. მეერ რა!.. ქალიშვილმა თითქოს არც არაფერი...

- ეგებ ეგ შენი ალიბია?!.

- მე თავგასამართლებელი არაფერი მაქვს!..

- გაქვს... ეს ბიზნესში ჩაფლავებაა!..

- მე ამაყი ვარ!..

ვაჟი კიდევ რალაცის თქმას აპირებდა... სიტყვა ქალიშვილმა გააწყვეტინა...

- მითხარი, ვინ ვიქნები მე შენთვის?!.

- ნუ ნაღვლობ, - დამაიმედებელი ღიმილით თქვა ვაჟმა, - შენც მოგიძებნი ჩემს გულში ადგილს!..

- თურმე ცოლ-შვილი შენთვის პრიორიტეტი არ არის!..

- მოვიწვივო... ვნახოთ?!.

- არა, მე შენ ჩემს ოჯახს საცდელ პოლიგონად არ გაქცევინებ... მე მეყვარებით!..

- ჯერ ადგილი გამოგვითავისუფლე შენს გულში!..

- გინდა... უარი მათქმევინო ჩემს შემოქმედებაზე?..

- თუნდაც!..

- არა... არასოდეს!!!

- კი... უდავოდ... შენ შენი მონოდებით საფრთხე იქნები შენი ცოლ-შვილისთვის!.. თურმე რა ძალა ჰქონია მართალ სიტყვას... სუსტმა არსებამ შიგ ათიანში მოარტყა... ძლიერმა არსებამ არ იცოდა, სად ჰქონდა ათიანი... თუმცა ტკივილი შიგ გულში იგრძნო... ისიც ადგილზე შეტორტმანდა... ოჰ, ეს ბიზნესი... ქვეყანაში შერჩევით გამოილონებულეებმა ყველა სხვა საქმიანობას აზრი გამოაცალეს... ფასიც დაუკარგეს!.. გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა... ერთადერთი ალტერნატივაც ის იყო, რომელსაც შემოქმედები თვით ბიზნესის, როგორც მომწესხველი ფაქტორის დაგვიანებამდეც მიჰყავთ... ეს, რა თქმა უნდა, მამაკაცები... ღრუბლებშიც მხოლოდ ისინი დაფრინავენ... ქალები კი?!. ეს ცალკე თემაა. ისინი შემოქმედებაც რომ იყვნენ... მაინც უფრო მინიერები არიან!..

ჰოდა, ერთი ალთას იყო და მეორე ბალთას... ქალიშვილს უარესიც სჭირდა... იგი ტყემალზე იჯდა და ხუმრას მიითმევდა!.. დრამატურგიც მიხვდა, რომ ამ არსებასთან ყველაფერი დამთავრდა... მანაც გულდაწყვეტა იგრძნო და განიცადა... იქვე შურისძიებაც მოუწია და განახორციელა!..

- მომიტევე! - თქვა ვაჟმა ყალბი სინანულით და ამავე განცდით გააგრძელა, - ვიფიქრე, ეგებ ვაქცუნო და სანოლში შევითრიო-მეთქი!..

ვაჟი მისივე ნათქვამმა გააკვირვა... ასეთ საშინელებას თუ იტყობა, ამას ვერც იფიქრებდა... ისიც შესაჩვენებლად გაემზადა... ერთს ელოდა და მეორე მიიღო... ქალიშვილმა, თითქოს არც არაფერი... თავანწყვით გადაიკისკისა...

- შენ პიესებით ჩემი სანოლში შეტყუება სცადე?! - იკითხა.

- ჰო, მინდოდა ერთი ღამით შენთან მესამტკბილა!.. - ამრებით ითქვა... ვაჟი ადგილიდან დაიძრა... ქალიშვილი მიენია და წინ გადაუდგა!..

- სად მიდიხარ?!.

- შენგან რაც შეიძლება შორს... - ნუ... ნუ მიდიხარ, - თქვა სუსტმა არსებამ და დაყვავებით გამოიხედა, - მე შენ ცოლობაზე გითხარი უარი და არა ერთი დამის სიყვარულზე!..

უცნაური ამბავი მოხდა... ქალიშვილმა ვაჟის დრო და სივრცე ერთხელაც გამოკვალა... ამას ვინ წარმოიდგენდა... ვერც ვაჟმა წარმოიდგინა... ისიც შეტებუნდა და გაოგნდა...

... მდებრი ცოლობაზე ამბობდა უარს და სექსზე თანახმა იყო!..

ერიჰა!..

ვაჟი რალაც დღეებში „დაბერდა“... მა-

საც მალე მამაკაცი დაერქვა სახელად... ხელჩაქნევის პირზეც მიდგა, რომ... ახალი შესაძლებლობა გამოუჩნდა... მის სიახლოვეს თვრამეტიოდ წლის გოგომ იწყო ტრიპალი ხელში იმ ორი ჟურნალით, რომელშიც მისი პიესები იყო დაბეჭდილი... იგი სურვილით აწყლიანებულ თვალს შიგადაშიგ იმდენად მოხდენილად აპარებდა, რომ მის შეხედვას არც არაფერი სჯობდა.

მამაკაცმა იფიქრა, რომ მას სიცოცხლეს მხოლოდ ეს წმინდა არსება თუ გაულამაზებდა!.. რაც მის თავს ხდებოდა... ეს ნამდვილი გამოწვევა გახლდათ... მანაც გამოწვევა მიიღო... და მთელი არსებით მიუშვა ანორგეული გრძნობები...

- ჩვენს შორის დიდი ასაკობრივი განსხვავებაა!.. წუხილით მოიბოდიშა უფროსმა...

- ვფიქრობ... ჩვენ ამას მოვეუძებნით ახსნა-განმარტებას!..

- რას იტყვიან მშობლები... ახლობლები?!

- ჩვენი სიყვარული... ყველასთან გავამართლებს!..

სიყვარული?!. ასეთი ლამაზი და წმინდა გოგოს შეყვარებას, აბა, წინ რა ედგა... არც არაფერი... გასაოცარი აქ სხვა იყო... რომ პატარამ მოვლენებს დაასწრო და საკითხიც ერთპიროვნულად გადაწყვიტა... დრამატურგს ჩაიძება ხელს არ აძლევდა... მანაც ასეთი კეთილგანწყობა თავის პიესებს დაუკავშირა... ისიც ამჩაჭდა და ენას მონოლოგი მითქვა ვეღარ დაიჭირა...

- მგონი... ჩემი პიესები ნაიკითხე?!.

- გილოცავთ, - თქვა ანთებული თვალებით გოგომ და სიტყვაც ამავე განცდით გააგრძელა, - თუმცა... გამოგიტყდებით, ბერი ვერაფერი გავიგე!..

- მაინც რალას მილოცავ?! - თქვა განცვიფრების გაზვიადებით მამაკაცმა, - ჰო, ეგებ სისულელები დაგებჭდე?!.

- თუ სისულელები დაგებჭდეთ... კიდევ უფრო მოსალოცად გქონიათ საქმე!..

- ვერ გავიგე?!.

- ეს ნიშნავს, რომ თქვენ დიდად გავლენიანი პირი ხართ!..

- მაინც ვერაფერი გავიგე!..

- კი, უთუოდ, ჟურნალის დამფინანსებელიც თქვენ იქნებით!..

მამაკაცს თითქოს სატყვარი ჩასცეს გულში... ისიც ადგილზე დატრიალდა და თავბრუ დაეხვა... სახეზე იმედგაცრუების ტალღამ გადაურბინა... მაინც რა ხდებო ჩემს თავს?!. გაიფიქრა... იცოდა, რაც ხდებოდა... ეს ცვირმოუხოცავი გოგოც მის მშობლიურ დროს და სივრცეს შეეჭიდა და გააღდგმა მოუნდომია... ძლიერ არსებას არც ეს აძლევდა ხელს... მან ხომ მშვენიერი ასული თავის ბოლო შანსად დაიგულა... ჰოდა, არც გოგოს დაუჯერა და არც საკუთარ ყურს... ამ ასაკში გოგონებს მოსწონთ შემოქმედი მამაკაცები!.. ისიც ბოლომდე ამის იმედზე დაუდგა...

- რაო, პატარავ?! - იკითხა ყალბი ალერსით.

- თქვენ რალაცას მიმალავთ!..

მამაკაცი შენობით ლაპარაკობდა... გოგო კი... თქვენობით... მათ საუბარშიც თანდათან ასატანი ეს მომენტი გახდა!..

- არც არაფერს!.. - თქვა დრამატურგმა.

- თუ შეიძლება მომიყვით თქვენი ძირითადი საქმიანობის შესახებ!..

- დრამატურგი ვარ... მორჩა და გათავდა!..

- ბიზნესი?!.

- მეთაკილება!.. - თქვა მამაკაცმა და პირველად განეწყო ბიზნესის მიმართ

მტრულად... იგრძნო, რომ ახლა სწორედ ბიზნესმა გააუფასურა მისი შემოქმედება... თვითონ ისიც ბოლომდე ბიზნესმა გაანადგურა... ოჯახის შექმნის იმედიც საბოლოოდ გადაუწურა!..

- რა უფლებით?! - ინივლა გოგომ...

- გამოჩინის მომენტი... ანგარების და სიხარბის მომენტებიც!!!

- თქვენ ქველმოქმედების ფაქტორი გავიწყდებთ?!.

- ეს არათანაზომადი კეთილშობილება და სიხარბია!..

- კარგი ერთი!!!

- მოკლეთ, მე პიესებს ვწერ!..

- მაშინ... თქვენ უთუოდ შემკვიდრებით იქნებით ძალიან მდიდარი!..

- მდიდარი სულიერად ვარ და არა მატერიალურად!..

ერთი ციდა გოგომ ბოლომდე იბრძოლა თავისი ჩანაფიქრის გადასარჩენად... რასაც ოჯახის შექმნა ერქვა სახელად... თავის მოტყუებაც არაერთგზის სცადა... თუმცა რამდენჯერაც სცადა, ზუსტად იმდენჯერ მამაკაცმა იგი ტყუილიდან გამოიყვანა... ჰოდა, მანაც პასუხად ღვარძლი გადმოაფრქვია...

- ... თუ ღარიბი ხარ, - ითქვა იმედგაცრუებით, - აბა, რა გეპიესებთ?!!

რა უბედურებაა!.. ამ ერთი ციდა გოგომ საოცარი ამბავი მოახდინა!..

უმცროსმა უფროსის დროსა და სივრცეს მთელი სისასტიკით მოულო ბოლო... იგი უარესით გამოცვალა!..

- მაინც ვინა ხარ... ასეთი წარწყმედილი?!. - ამოგიმინა დრამატურგმა.

- რა თქმა უნდა, ანწყო... შობილი წარსულისაგან!..

- თურმე უნდა შეგაჩერო!..

- რაო... რა ბრძანე?!.

გამონვევით ითქვა... ითქვა დაცინვითაც...

- ... შენ, როგორც ანწყო, არ უნდა გახდე მშობელი მომავლისა!..

- ამას ვერც ვერაფერ დამიშლის... ვერც შენი!..

- ჰო, მე მხოლოდ ის შემიძლია, - ამოიგინა მამაკაცმა, - უარი ვთქვა ამ ბოროტებაში მონაწილეობაზე!!!

აირია...

- ველზე საპიკნიკოდ გამოსულ ადამიანებში მოყოლილი დრამატურგი მწვადის სუნს გამოეცხა... და ხეებს შორის დაკიდებულ ჰამაკში ჩანვენილი პანაისკენ წამოვიდა... მას ბავშვობის მეგობარი ქალი მიჰყვა ფეხდაფეხ... - შენი ცნობა მიჭირს! - თქვა თანაგრძნობით ქალმა.

- ჩემი ცნობა მეც მიჭირს!..

- რატომ გავგვირბი?!.

- რა ვქნა... მეხამუშებით!..

- შემთხვევით... მიზეზი შენშიც ხომ არ არის?!.

- კი... ჩემშიც იქნება!..

- ... რით გიშველო?!.

- მითხარი, რამდენ ხანში ამოიდგამს ეს პანია ენას?!.

- მალე... ძალიან მალე...

- ჰოდა, ეგებ-მეთქი, ვიფიქრე, - აღმოხდა სასონარკვეთის გაზვიადებით მამაკაცს, - ამ პანაისთან მაინც გამოვნახო საერთო ენა!..

იმედი ბოლოს კვდება, - ამბობენ... რაც ითქვა, ეს იმედოვნებას ჰგავდა... არადა, სინამდვილეში ფსევდოგანცდას წარმოადგენდა... ყველაფერს ბედი უნდა!.. დრამატურგშიც იმედი პირველი მოკვდა!..



გასაუბრება ჩუსთაველთან

შენი სახელის ხსენებას ვებდავ,
 თუმცა ფეხთა მტვერი შენი სავალის,
 ერთი უბრალო ქართველი დედა,
 მოდგმა ნესტანის, დიდი თამარის.
 რამდენი წელი გაფრინდა მზისკენ
 შენი მსგავსი კი ჯერაც არ იშვა,
 რამ გალტოლვილა შორეულ გზისკენ,
 რა ტკივილებმა დაგაქარიშხლა!
 ალბათ, უღელად დაიდგი ვალი,
 სულის ქარები გლენდა საშინლად,
 გბოჭავდა კრძალვა შორეულ ქალის,
 ვისთვისაც ჟამმა ვერ შეგაშინა.
 ყრმობის მაისი გექცა ზამთარად,
 რამდენმა წელმა ცრემლი მოთოვა...
 მუხას მოსწყვიტა, სად არ ატარა
 ქარმა დევნილი სული ფოთოლად.
 გადაიკარგე ვარსკვლავი ნისლში,
 რაინდად დარჩი უთქმელ ცრემლშიაც,
 მწარედ დაჭრილხარ სანუთროს ისრით,
 მაგრამ კაცობა არსად შეგშლია.
 არ შეგპარვია გულში სიმცირე,
 არ დაგიტმია სავალი ძნელი,
 ვერსად დაგნონა ოქროს სიმძიმემ,
 თუმცა კეთილს ყველგან ებრძოდა ბნელი.
 ლექსის მეუფე და სულთა მეფე,
 გამირობისადმი მომდრეკი მუხლის,
 შენ მიელურსამე უცხო ცის კედელს,
 სანთელ-საკმეველს და ლოცვას მწუხრის.
 სიბრძნე დარდმა ვერ გაგინადგურა,
 თუმცა გრიგალივით ჟამი გირტყამდა,
 მერე ჩაინწა, ჩაისადგურა
 სურნელებში ქართულ სიტყვათა.
 ღვთაებრივ სიბრძნის, ღვთაებრივ გულის
 ნაჟურს, წიგნიდან საზრდოდ აგ ზავნი,
 დღემდე მოგყვება კაცობრიული



წყურვილებისთვის შენი საგზალი.
 სული, დამდნარი რაინდულ გზებით
 და სიყვარულით, მიყურდა, მიწვა...
 არ ნაიშალა ხსოვნაში გზები...
 და საფიცარი ნანატრი მიწა.
 როდემდის არვინ მოგესალბუნა
 წყურვილგამშრალს და ყვავილმოცვლილს?!
 როდემდის ჟამმა შხამი გარგუნა,
 გულისგულს გფლეთდა ჟამი ფოცხვერი.

როდემდის იყავ ფიქრით გართული,
 კაცთა მხატვარო, გულთა მწერლო,
 როდემდის გეყო სითბო ქართული,
 სულთა მეფე და კაცთა მწვერვალო!
 დაჩოქებული, დარდიო მლოცველი
 დარჩი ლეგენდად, ლამაზ არაკად,
 ტკივილი გქონდა წარუხოცელი,
 მთელი სიცოცხლე — ღმერთის ზვარაკად.
 სიკვდილმა ბრძოლით გაგაგულისა
 თუ სარეცელზე გერგო დანოლა...
 ვინმემ თუ იგრძნო შენი სულის ცა
 ან ღვთიურ გულის განძი აწონა?!
 ვინ იყო შენთან, ვინ გედგა თავთან,
 ვინ დაგიყურა ბოლო წამები,
 დედას ვინ ჰგავდა, თამარს ვინ ჰგავდა,
 ვის ანდე სული განანამები!
 ვინ გაგახსენა ჭალარა მთები,
 წყალი ვინ გასვა, ვინ დაგაპურა,
 ვინ დაგიკეცა საფრენი ფრთები,
 ვინ — ერთადერთმა ცრემლი გაპკურა?!
 ვინ მოგაგონა წყარო მამულის,
 წყურვილთა ზღვაო, ზღვაო გრძნობათა
 და სანუკვარი მიწა ქართული
 ვინ დაგაკონა გულზე ნობათადა!
 სიკვდილთან გერგო დარდის გამხელა,
 გულში იკრავდი თრთოლით „...ტყაოსანს“,
 თუ საქართველო ერქვა სახელად
 ლანდად მუხლმოყრილს — აჩრდილს შავოსანს...
 დიდხანს გიჭირდა, უტარიელოდ,
 უავთანდილოდ გეველო გზა გრძელი...
 აღსასრულამდე უსიყვარულოდ,
 უსაქართველოდ როგორ გაძელი?!

ციური თარგმანი

მე თუ ვტირი

მე ვტირი,
 შენც გატირებ —
 ცხარე ცრემლით აგატირებ.
 წვიმად მოვალ, დაგასველებ,
 დაგასველებ, დაგაჟიებ,
 ჩემ თავს ისე გაგახსენებ.
 ნიაღვარად გადვიტცივი
 სახლში შემოგივარდები,
 დაგასველებ, დაგაჟიებ,
 ჩემ თავს ისე გაგახსენებ
 აღარ ვტირი, ცრემლს შევიშრობ,
 წვიმად მოვალ, დაგასველებ,
 არასოდეს მოგასვენებ.

ფოთოლი

ბზრიალებს, ფრიალებს ფოთოლი,
 მიწაზე ეცემა ნაზად.
 მიწა ხალიჩას ემსგავსოს,
 ფოთოლი — ფიანდაზას.

ფოთოლს ბზრიალზე ეტყობა,
 არ უნდა, არ უნდა ნასვლა,
 მაგრამ ვერაფერს ვერ შეცვლი,
 მოკვდავი ყოველთვის ნავა.

ასეა ჩვენი ცხოვრებაც,
 ფოთოლს ემსგავსის, ალბათ.
 აქ რომ არავინ დავრჩებით
 ფოთლისებრ ნელ-ნელა ნავალთ.

ასე ინდომა უფალმა,
 როდესაც შექმნა ყოველი,
 გიყვარდეს სიცოცხლე — ფოთოლი,
 უფალს ვმადლობდეთ ყველანი.

რა ლამაზი ხარ, ძვეყანავ!

რა ლამაზი ხარ, ქვეყანავ,
 ნილხვედრო დედა ღვთისმშობლის.
 ვინც კი გნახა და გაგიცნო
 შენს მზეს ფიცულობს ყოველთვის.

იმდენი სალოცავი გაქვს,
 დათვლაც კი გაგიჭირდება,

ბეთანია თუ ყინწვისი,
 ზედაზენი და სამება.

სათაფლია თუ გელათი,
 ალავერდი და ბაგრატი,
 მთის წვერზე შემოტმასნილი
 ისტორიული ნეკრესი.

ახლა არ იტყვი, წმინდა ჯვარს,
 მრავლის მომსწრეს და თვითმხილველს,
 დედა შვილსავით დაჰყურებს
 სვეტიცხოველის გუმბათებს.

ანჩისხატი და სიონი,
 ულამაზესი ბუნება,
 ამ სილამაზეს თან ერთვის
 დიდი მტკვრის ნელი დინება.

სად შემიძლია, მე შენი
 სილამაზე რომ აღვწერო,
 და ტურფა საქართველოზე
 ლამაზი ლექსი დავწერო.

შენ აჯადოებ შენს მნახველს,
 შოთას, ილიას სამშობლოვ,
 შენ ხარ ყველასგან რჩეული
 და სიყვარულის სიმბოლო.

ახალი მავთულხლართები

ახალი მავთულხლართები
 გულზე ეკალად გვესობა,
 რუსეთის თავგასულობა
 ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

ის არ იკმარეს, რაც ჰქონდათ
 წართმეულ-მიტაცებული,
 დაინყეს ახლის შეღობვა,
 შემოატარეს მავთული.

გლახკაცს წაართვეს სახლ-კარი,
 ეზო და სავარგულები,
 საფლავზე ვედარ მისულან
 გულდათრგუნვილი ქალები.

რა ვქნათ, რა ხერხებს მივმართოთ,
 რომ შევაჩეროთ რუსობა,
 ქართველ ხალხს უკვე მოსწყინდა
 მაგათი თავგასულობა.

ეკლიან მავთულხლართებთან
 ვერავინ მიდის შიშითა,

დაუმიზნებენ ავტომატს,
 ამოიღებენ ნიშნითა.

დაგვესხენ, რუსო, ბოროტო,
 შეგვარგე ჩვენი ქვეყანა,
 რომ ჩვენმა გოგო-ბიჭებმა
 აჟრიამულონ ქვეყანა.

მესაფლავე...

ჰეი, მესაფლავე!
 რას დაყუდებულხარ ბარზე და მიწას ჩასცქერი.
 ახალი საფლავის გათხრა ხომ არ ჩაგაფიქრა?!
 ძნელია, ალბათ, ყოველდღე ამ ჯოჯოხეთის ცქერა.
 როგორ მიდიან ადამიანები და მიწად იქცევიან.

ჰეი, მესაფლავე!
 მოდი ერთი. გადაჰკარი შესანდობარი, შენთვის
 მადლია.

ბევრი გაისტუმრე, ბევრსაც გაისტუმრებ, ძნელი
 სამსახური გაქვს.

ღვინოში მოკალ შენი დარდი, გადაჰკარი
 შესანდობარი, გამაგრდი.

მეორე ჭიქაც გამოცალე, შენთვის მადლია.
 თვალი ცრემლით გვესება, რა ჩვილი გული გქონია.

ჰეი, მესაფლავე!

კიდევ თხრი საფლავს? ვისი ჯერია.
 ახალგაზრდები უდროოდ მიდიან,
 ერთმანეთს არ ინდობენ, დანას უყრიან
 ან პისტოლეტით ტვინს გაუხვრეტენ.

დაჰკარი ბარი და გათხარე სამარე.
 სამარე გრილი, მომშუშებელი იარებისა.

მაგრამ დაუსხით, ჯერ გადაჰკრას შესანდობარი,
 საფლავის გათხრა არაა ასე იოლი.

მესაფლავე თვალცრემლიანი კვლავ დადის
 საფლავებს შორის და ეძებს ადგილს,
 რომ კვლავ გათხაროს სამარე გრილი.

გულს სმით იოხებს.
 ჭიქას ჭიქაზე ცლის.

ცდილობს, გამაგრდეს...
 დრო მოვა და მისთვისაც გათხრიან სამარეს.

მაშ, კვლავ დაუსხით, რომ გადაჰკრას შესანდობარი...

ციური სმეცდაშვილი



ინტერვიუ ელჩინ სახაშვილს

ელჩინ სახაშვილი დაიბადა 1984 წლის 12 მარტს ბაქოში, არის თურქეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქე, წერს მოთხრობებს და რომანებს. მისი ცნობილი რომანებია: „არ არის მოგონებები შენს გარეშე“, „ბოსფორის ტკბილი მარილი“, „იქით უკანმოუხრუხეობდა“, „მე დავბრუნდები“, „მე შენს თავს დამპირდნენ“, „შენ რომ იცოდე“ და მოთხრობების კრებული „ათას ორი ღამე: ჩვენები აღმოსავლეთში“.

– არსებობს სტერეოტიპი, რომ ტექსტების წერა გარკვეული არანორმალურობის ნიშანია. ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი ადამიანი მსგავს რამეს ხელს არ მოკიდებს. შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ ან გააქარწყლოთ ეს სტერეოტიპი?

– ნორმალურობის ცნება არ არსებობს. თუ ვინმე მოვა და მეტყვის, რომ ის ნორმალურია, არ დავიჯერებ. შეიძლება ადამიანი გარეგნულად ნორმალურად გამოიყურებოდეს, მაგრამ ფორთოხლებთან ეძინოს იმიტომ, რომ მათი სუნი მოსწონს. შემოქმედებითი ადამიანიც იგივე ადამიანია, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მისი უცნაურობანი უფრო გამოკვეთილია. გარდა ამისა, მისი საქმე უფრო მეტ ჩაკეტილობას მოითხოვს. ჩემი აზრით, ნამდვილი შემოქმედი არ შეიძლება იყოს დიდად სოციალური – ჩაკეტილობა განაპირობებს შემოქმედელ შობისთვის მზადებას. ის ჰგავს ქალს, რომელიც მუცლით ბავშვს ატარებს. მას ეცვლება ხასიათი, ხდება უფრო ჭირვეული, ყველაფრით უკმაყოფილო. ესეც თქვენ, შემოქმედებითი ადამიანის სრული სახე! ასეთ პერიოდში მეც ჭირვეული და გაღიზიანებული ვარ ხოლმე.

– 5 წლის მანძილზე შეიძინე ნიგნი გამოცემის ანუ მუდმივად წერის, შეუსვენებლად და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჭირვეული და გაღიზიანებული ხარ?

– სიმართლე გითხრათ? დიახ, ასეა. რაც წერა დაიწყო, უკეთესობისკენ ნამდვილად არ შევცვლილვარ. იქამდე მხიარული და მოძრავი ადამიანი ვიყავი, ახლა კი სახლში ჩავიკეტე და მხოლოდ ვინო წერსთან მაქვს ურთიერთობა. თუმცა, მიმანია, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა მომხდარიყო. ეს არც ბედისწერაა და არც იმის რწმენა, რომ შუბლზე რაღაც სქემა გახატია. შეგიძლია შეცვალო ბედისწერა, უფრო სწორად, მასში რაღაც კორექტივები შეიტანო, მაგრამ, მთლიანობაში, თუ გინერია, რომ ცნობილი იქნები, ასეც მოხდება. ჩემი პირველი ნიგნი „ბოსფორის ტკბილი მარილი“, რომელიც გამოვიდა მოსკოვის ბაზარზე, მოხვდა ტვერსკოის ნიგნის სახლის (მოსკოვის ყველაზე მსხვილი ნიგნის სახლი) 100 ყველაზე პოპულარულ ნიგნს შორის. იქ ჩემი უმცროსი დეიდა და ბებიაც კი იყვნენ. პირველი კითხვა, რომელიც გამიჩნდა, იყო „როგორ?“ არ ყოფილა არანაირი რეკლამა, ნიგნს ჰქონდა მოკრძალებული ყდა. მაგრამ... შეიძლება მხოლოდ ერთი ნიგნი დანერო და ერთ დღესაც პოპულარულმა გაიღვიძო და შეიძლება 88 ნიგნის ავტორი იყო და უცნობად დარჩე.

– ოჯახში უკმაყოფილება გქონდათ მამასთან, ამაზე ნიგნშიც კი წერდით. როგორი იყო მისი რეაქცია?

– ახლა, როცა უკვე 30 წლისა ვხდები, მესმის, რომ ეს იყო მამებისა და შვილების მუდმივი პრობლემა. ჩემთვის შემოქმედებაში მთავარია გულწრფელობა. დიახ, ჩემს პირველ რომანში მე შევხევე ამ თემას. მამამ ნაიკითხა და ჩემთვის

არაფერი უთქვამს, დედას უთხრა. მისთვის უსიამოვნო იყო არა ის, რომ მე ამაზე დაწერე, არამედ ის, რომ ეს მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. ყოველთვის მიჭირდა მასთან საერთო ენის გამოხატვა, მაგრამ წლებთან ერთად უფრო და უფრო ახლობლები ვხდებით. ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში ვინარჩუნებდი მის მიმართ პატივისცემას. მაშინაც კი, როცა ზედმეტად შეტოპავდა ხოლმე. ჩემად ვიყავი, რადგან ის მამაჩემია. ჩვენ ასე ვართ აღზრდილები – სწორედ ეს არის აღმოსავლური აღზრდა. აღმოსავლეთში არსებობს ასეთი ფრაზა: „მშობლებთან დავის დროს ჩემად იყავი მაშინაც კი, როცა ისინი მართლები არ არიან“. ცდილობ, შეინარჩუნო პატივისცემა და, ამავდროულად, ბრძოლით მოიპოვო საკუთარი სივრცე.

– როგორც თავად აღიარეთ, ხშირად გეცვლებათ გუნება-განწყობილება. როგორ მოქმედებს ეს ახლობლებთან ურთიერთობაზე?

– მე ამინდივით ვარ. ჩემი რომანის „მე შენს თავს დამპირდნენ“ პერსონაჟსაც კი დავარქვი „ამინდი“. ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი ნიგნია, სადაც ბევრ რამეს მოვეყვი საკუთარ თავზე. ამ ნიგნის ანოტაციაშიც კი სიტყვებით – „ეს მე ვარ“ – იწყება

როდესაც ჩემს რედაქტორს ეს ნიგნი გადავეცი, მან მითხრა: „ელჩინ, არ გემინია ასეთი ცნობილი იყო? როგორ შეგიძლია ასე დედიშობილამ ისეირნო ტვერსკოიზე?“ სხვანაირად არ შემიძლია. თავიდანვე შევარჩიე მკითხველი გულწრფელობას. გოგონა, რომელზეც ვყვები ამ ნიგნში, მართლაც იყო ჩემს ცხოვრებაში. მას გასულ წელს დავშორდი, როცა ნიგნი უკვე დასრულებული იყო. ყველამ ვინც გვიცნობდა, ცნობისმოყვარეობის გამო შეიძინა ნიგნი. ცხოვრებაშიც გახსნილი ადამიანი ვარ. როდესაც კომპანიაში ვმუშაობდი, ჩემი უფროსი ამბობდა: „ელჩინი გულწრფელი ადამიანი ჩანს, მაგრამ ის შეგიძლიათ ნიგნივით ნაიკითხოთ“. ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა ნიგნებს არ ვწერდი. ხშირად ბოლომდე არ ვყვები ყველაფერს, მაგრამ არასოდეს ვტყუი.

– და ნიგნში ყველაფერს ყვებით?

– ყოველთვის. იქ არაფერს მეკითხებიან, კითხვებს არ სვამენ. რატომ მირჩევნია ყველაფერს მოვეყვი ნიგნში და არა ადამიანებთან? მეშინია, თანამოსაუბრე ძალიან არ გადავტვირთო. შეიძლება შევხვდე მეგობარს, დავლიოთ და ვუთხრო, რაც გადამხდა: „იცი? ასე მოხდა, ჩვენ დავშორდით...“ და ისიც, თავის მხრივ, მომიყვება თავის დანაკარგზე. ჩვენ ერთი საღამო ვისაუბრებთ და ნავალთ ჩვენ-ჩვენს სახლებში. მაგრამ განშორება და დანაკარგი ყოველდღიურად გჭამს, მუდმივად ვერ ილაპარაკებ ამაზე, ყელში ამოუხვალ ყველას. ნიგნი კი 320 ათასი ასოა იმაზე, რისი თქმაც გინდა. ძალიან მეშინია, მომბაზრებელი არ ვიყო. ასევე მოვიფიქრებ, სანამ ვინმეს დავურთავ. არ მინდა, ზედმეტად შევანუხო, მირჩევნია, შეტყობინება გავუგზავნო. მგონი, ასე უფრო სწორია. არავინ არავის წინაშე ვალდებული არ არის, უბ-

რალოდ, ყველა ერთმანეთს სჭირდება.

– თუ დაგიდგებათ არჩევანი: დანერო ნიგნი ან გაატაროთ ღამე გოგონასთან, რომელს აირჩევთ?

– ოჰ, რა თქმა უნდა, ნიგნის წერას! იყო მწერალი – ეს წარმოუდგენელი სიამოვნებაა. შენი ნიგნები – ეს შენი მეორე ცხოვრებაა, რომელიც სრულიად განცალკევებულია და არანაირი კავშირი არ აქვს რეალურ ცხოვრებასთან. შეიძლება შეწყვიტო ნიგნების წერა, გაკოტრდე, დაკარგო ნიჭი, გახდე მზარეული ან კოსმონავტი და გაფრინდე სხვა პლანეტაზე. შეგიძლია, აკეთო, რაც გასურს, მაგრამ შენი ნიგნები მუდამ იცოცხლებენ, ვიღაცისთვის მუდამ იარსებებენ. აი, ეს მშვენიერია. ვალიარებ, გულის სიღრმეში ყოველთვის მინდოდა უკვადვება. ყოველთვის მინდოდა რამე ისეთი გამკვეთებინა, რაც ჩემს შემდეგაც იცოცხლებდა. როდესაც დღიურს წერ, შეიძლება მერე აილო და დანვა, მასში კი რამდენი რამ არის შენი ცხოვრებიდან! ერთი მოძრაობა და უკვე აღარ არსებობ. მაგრამ, აბა, სცადე, მოაგროვო და დანვა ნიგნები, რომლებიც უკვე გაიყიდა და უამრავი ადამიანის სახლში აგრძელებენ ცხოვრებას.

– თქვენ გეკუთვნით სიტყვები: „ქალი ყველაზე სუსტია, როცა უყვარს და ყველაზე ძლიერია, როცა უყვართ“. და მამაკაცები?

– მამაკაცებმა შინაგანად ყოველთვის იციან, რომ ქალებზე უარესები არიან. 200 %-ით. უბრალოდ, ამას ქალებს არასოდეს ვეუუბნებინან. მაგრამ აი, კაცი დათვრება და სასხვათაშორისოდ იტყვის: „ყოველთვის ვიცოდი, რომ საქონელი ვარ, ის კი ჩემზე უკეთესია. მე მას არ ვიმსახურებდი“. ქალის უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ მას ყოველთვის შეუძლია პატიება, თუკი უყვარს, და კაცებმა ეს იციან. კონფლიქტისას ხშირად ქალის მხარეს ვარ.

– თქვენი სიტყვებია: „ჩვენ არ გვიყვარს ქალაქები, ჩვენ გვიყვარს საკუთარი თავი ამ ქალაქებში“. სად გიყვართ საკუთარი თავი ყველაზე მეტად?

– საკუთარი თავი მოსკოვში მიყვარს. უფრო მობილიზებული ვხდები, ნაკლებად სენტიმენტალური – უკვე დავიღალე სენტიმენტალურობით. ყოველთვის, როცა მოსკოვში ჩავდივარ, ყველა მეუბნება, რომ კარგად გამოვიყურები, უფრო განონანსნორებული ვარ. აღმოსავლურ ქალაქებში – ბაქოში, სტამბულში – ვდუნდები და ჭირვეული ვხდები, რადგან იქ ყველაფერი შინაურულია, შინ კი საკუთარ თავს ყოველთვის ნებაზე მივუშვებთ ხოლმე.

მოსკოვში ჩემი პრობა ძალიან იცვლება – იგი უფრო უიმედო ხდება. ჩვენთან კი, აღმოსავლურ სამეფოში, ყველაფერი გემრიელია, მშვენიერია: ზამთარშიც კი მზე ანათებს; დაბრანული ატმები, უამრავი შესანიშნავი არომატი და შენც მთლად გაბრწყინებული დადიხარ. ამ ყველაფერს ჩაისუნთქავ და მერე ფურცელზე გადმოგაქვს. შემდეგ კი ადამიანები ცივ ქვეყნებში, სადაც ამინდის პირობების გამო ხშირად ნაცრისფერი ცაა

და უიმედობაც მეტია, კითხულობენ და ამბობენ: „რა კარგია, რომ სადღაც ამდენი მზეა“.

– გვითხარით, სიტყვები გადაჭარბებული აღმოსავლური პატრიარქატის შესახებ გამოხატონია?

– აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. თუ ჩემი ცოლი ჩემი ნებართვის გარეშე წავაწვეულებზე ღამემდე, ნამდვილად მოხდება სკანდალი. ის აუცილებლად ჩემს გვერდით უნდა იყოს, როგორც მინიმუმ, საღამოს საათებში. ქალმა შეიძლება გამოხატოს თავისი უკმაყოფილება, მოიჯახუნოს კარი, იყვიროს და, თუ ჩემოდნებს ჩაალაგებს და წავა მშობლებთან, პასუხად მიიღებს: „რას მოხვედნი? დაბრუნდი ქმართან!“ თუ, რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ აქვს.

– ხომ არ აპირებთ ახლა სადმე წასვლას, დასვენებას?

– როცა ვწერ, მაშინებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. გამომცემლობასთან კონტრაქტი მაქვს 30 წლამდე – კიდევ ორი წელი დარჩა. როგორც კი 30 წელი შემისრულდება, თავს მოვანყენ მოსკოვს, კიევს, თბილისს, ლონდონს და ბევრ სხვა ქალაქს. დაგტკბები თავისუფლებით და დავაგროვებ ახალ შთაბეჭდილებებს მომავალი ნიგნებისთვის.

30 წელი ის ასაკია, რომელთან მიხედვითაც ადამიანები კრიზისს განიცდიან. იცვლება ხედავ საკუთარ ცხოვრებაზე. თქვენ განიცდით ეგზისტენციალურ კრიზისს?

ძალიან. მაგრამ ვიცი, რომ ეს ყველაფერი დამთავრდება 2014 წლის 12 მარტს, როდესაც 30 წელი შემისრულდება. გარეგნულად უკეთესი ვიქნები, ვიდრე ახლა ვარ, ჩემთვის მეორე ცხოვრება დადგება. ჩემი 30 წლის მეგობრები ამბობენ: „ელჩინ, 30 წელი – ეს ხომ დასაწყისია“. როდესაც ასაკი 2-იანი იწყება, ეს ფორმირების ასაკია, 3-იანი კი უკვე ხასიათის ჩამოყალიბებულობაზე მეტყველებს.

– ხშირად ხდება, რომ ვერ წერო, თითქოს არ არის შთაგონება?

– შეიძლება ვერ ვწერო ორი, სამი, ოთხი დღე, ერთი კვირა. სხვა დანარჩენი უკვე სიზარმაცეა. გამგზავრე სადმე, დაისვენე, ხუთი დღის მერე კი დაბრუნდი და გააგრძელე წერა. ხშირად მესმის: „ნახევარი წელიწადი ვერ ვწერდი“. და რას აკეთებდი მთელი ეს დრო? ცრემლებს ღვრიდი? იტანჯებოდი? მაგრამ მწერლობაში ისეც ხდება, რომ მთავრდება, შენს თავს ამოწურავ. ღმერთს ვევედრები, რომ ეს არასოდეს დამემართოს.

– ელჩინ, როგორი გინდათ დაამახსოვრდეთ ხალხს?

– მე თუნდაც ნუ დამიმახსოვრებენ, მაგრამ ახსოვდეთ ჩემი ნიგნები.

რა გაბედნიერებთ?

– სანაპიროს გასწვრივ ფეხით სეირნობა – თოლიები, ზღვა. ისე თავისუფლად ვსუნთქავ! ყველაფერი, რაც გამძიმებს, გამოიდევნება შენგან. ჩამოჯდები ქვაზე, მოწვე-სიგარეტს გემოს ატან, იმიტომ, რომ ის ასეთი დროულია და, ამავდროულად, თავს უწყრები, რომ ასეთ სუფთა ჰაერზე ეწევი. გაბედნიერებს სავესე სუფრები, რომლებსაც სხვის ოჯახებში ვხვდები – ე.ი. სახლში საკმარისი საკვებია. გაბედნიერებს ყველაფერი თეთრი: თეთრი კედლები, თეთრი ავეჯი...

ესაუბრა ტაშა კარლიუკა

თარგმნა რუსუდან ლვინიაშვილმა

● თუნდაც დამკანროს, ცრემლი მადინოს, ყავლ გადასულმა ძველმა მერხებმა, ოლონდ კლასელი მომიჯდეს გვერდით და ვიგრძნო მისი მხარის შეხება. სამოცდახუთი წელი გასულა, ძნელად ვიხსენებ, მოყოლა მიჭირს, ქუდზე წარწერით — „პირველი სკოლა“, ამაცად მიდის პატარა ბიჭი. ძმებო! რამდენი შემომრჩით, ნეტავ, თავანუელი, მხრებში გაშლილი, გახსოვთ, პირველი მასწავლებელი, ქალმერთი ნინო ალადაშვილი. ვინც რუდუნებით ჩვენს განათლებას გზა გაუკვალა, ღამე უთია, თვალზე ცრემლით ვიხსენებ დღესაც მისგან ნაბოძებ პირველ ხუთიანს. აღსასრულის ჟამს, უფალის ნებით, სამუდამოდ რომ დავიხუთებით, ჩვენი ცხოვრების მკაცრი ჟიური თუ შეგვაფასებს ისევე ხუთებით. მანამდე მზად ვარ, თუნდაც დამკანროს, სისხლი მადინოს ძველმა მერხებმა, ოლონდ კლასელი მომიჯდეს გვერდით და ვიგრძნო მისი მხარის შეხება.

● საოცნებო აფხაზეთო, მშობლიურო ანაკლია, ზღვა ერთი გვაქვს, მიწაც ერთი, მაგრამ, იცით, რა გვაკლია? ვალიაროთ, რომ ორივეს შეცდომა გვაქვს დაშვებული, რადგან დროზე ვერ მოვთოკეთ დიდი მონსტრი აშვებული. მენატრება „ჰაირია“ და „აშო ჩელა ვიშო ბუსკა“ ნუ ერევი ჩვენს საქმეში — „პროპუსტიტე ბეზ პროპუსკა“.

● მელოდია გულის გულში გაგივლის, აგამალლებს, ყრუანტელი დაგივლის. რჩეულთ ხვედრი მონამებრივ რთულია, ყველა ნოტას უფლის გზაზე უვლია. აამლერე დედამინა, ოკეანე და ცაცო, დიდი რეზოს მემკვიდრე ხარ ღვთაებრივო მაცაცო. თავმდაბალი იმერული ღიმილით მთა ოლიმპზე შეყუჟულხარ ჩეროში, შენს სიმღერას მონყალებად მიიღებს, ვინც ღიღინებს ზღაპრულ საქართველოში. აამლერე დედამინა, ოკეანე და ცაცო, ცისარტყელას ფერთა გამა გასხივოსნებს, მაცაცო.

ომარ ჯყოთროსიძე

ღმერთთან სწორი სჯობს: რაც მართალია, ჩემს ერთ-ერთ შინაგან სატანჯველს სათავე კი თქვენგან დაედო, მაგრამ მერე ჩემი ჩვეული გაუბედაობითა და სხვისი მოიმედებობით ეს სატანჯველი უფრო გავიარჯლე და რამდენიმე თვით გავიხანგრძლივე!

ვალარებ: ვერა და ვერ დავძლიე ლიტერატურაში პატარკაცობის კომპლექსი — ქართულ ენასა და მწერლობასთან დაკავშირებით თუკი რამ მწვავე მომენტი ან მოვლენა შევნიშნე, მაშინვე ხმის ამოღებას მაინც ვერ გავბედავ ხოლმე — ჩემისთანა უმნიშვნელო მწერლის ნათქვამს საზოგადოების თვალში ჯეროვანი წონა არ ექნება და ამით საპოლემიკო პრობლემას მხოლოდ სიბასრეს ნაფუხდენმეთქი. ამიტომ განაბულ-დაძაბული ტანჯვით ცდა დამჩემდა, რათა ოპონენტებს მართლა დიდმა მწერლებმა ჩაუხველონ!!!

სამწუხაროდ, ხშირად იმედგაცრუებული ვრჩები! ამჯერადაც ასე მოხდა და რაკი, როგორც ეტყობა, ეს სხვებმა ვერ ნაიკითხეს ან ამგვარ „წერილმანებს“ ყურადღებას არ აქცევენ, ანდა, ვინ იცის, საამისოდ დრო და მელანი არ გაემეტათ, მეც მეტი ჩარა აღარ დამრჩენია — თავში ქვა უნდა ვიხალო და ისევე მე დავძრა კრინტი!

ბატონო მურმან, „მწერლის გაზეთის“ (2013 წ., 1-31 აგვისტო) სრული ორი გვერდი უკავია თქვენს დიალოგს, „თავისუფალი, ვით თებერვლის ქალაში ქარი...“, რომელსაც მწერალ რევაზ მიშველაძესთან უძღვებით. როგორც ტექსტიდან ჩანს, ამ უკანასკნელის აგარაკის ეზოში თქვენს გემოზე მოკალათებულხართ და დინჯად მუსაიფობთ ცისას, ბარისას: ხილის შემოსვლაზე, ღვინის ქონაზე, ჟამთასვლაზე... ღმერთისა და ჭეშმარიტების უარყოფელზე... ვაზის გასხვლაზე, შემის დაბობაზე, ყვავილების გადარგვაზე... მასპინძლის მიერ გამოწვეული მტრედების სქესის გარჩევის საიდუმლოებაზე... „ძველად“ სამეგრელოში გავრცელებულ ვაზის „საუკეთესო“ ჯიშებზე და „საუკეთესო“ ღვინის დაყენებაზე... თავანკარა და ფალსიფიცირებულ ღვინოებზე... პოეზიაზე!.. გიორგი ლეონიძეზე... გივი გეგეჭკორზე... ანა კალანდაძეზე... ლექსის ხარისხსა და იდუმალეზაზე... პოლიტიკაზე!.. მზეზე, წვიმაზე, ჰაერზე... მინდვრის, ოთახისა და საფლავების ქვებზე

ამოკვეთილ ყვავილებზე... საერთოდ, ბუნებაზე, ცაზე, მიწაზე თუ მთელ სამყაროზე...

ჰოდა, **ბატონო მურმან,** აი, ამგვარ საგნებზე, მოვლენებსა თუ საკითხებზე თავგასართობი მასლაათისას მოულოდნელად რევაზ მიშველაძეს თქვენ ზუსტად ამნაირ კითხვას უსვამთ.

ღია წერილი მურმან ჯგუზურიას და რევაზ მიშველაძეს

„და მაინც, ვაჟა თუ რუსთაველი?“

ამის ნაკითხვამ ელვის დაკვრასავით გამთიშა, სტრიქონები ერთმანეთში ამეხლართ-დამეხლართა და ცოტა ხნით კითხვის გაგრძელებაც შეუძლებელი გახდა, ვინაიდან თქვენ კავშირი „თუ“ გიხმარიათ თავისი ათიოდე მნიშვნელობიდან ყველაზე აგრესიულ-კატეგორიული მეორე მნიშვნელობით!!!

სრული თვალსაჩინოებისათვის ამ მნიშვნელობას ქველიდან ზუსტად გადმოვიწერ.

„მიუთითებს ორიდან (ან რამდენიმედან) ერთ შესაძლებლობაზე; ან, ანდა“.

აი, ამიტომ გულგანურული და სუნთქვაშეკრული კითხვის გაგრძელებას ვეღარ ვბედავდი, ვინაიდან სიკვდილად მიმანდა იმის შეტყობა, ამ ორი გენიოსიდან რომელს მიეცემოდა უპირატესობა, ვისზე შეჩერდებოდა თქვენი არჩევანი, ვინ ერთადერთ ვაკანსიაზე აღმოჩნდებოდა, მეორე კი... ო, მარტო ამის წარმოდგენაც კი სისხლს მიყინავდა!..

ბ-ნო რევაზ, თქვენი სახელგანთავსებისა და რეგალიების გახსენებამ უეცრად გულში იმედი ჩამისხივა: მოსაუბრის მიერ როყოფდნენ ნაცდენილ ამგვარ კითხვას რევაზ მიშველაძე კი უეჭველად შეიცხადებს, შორს დაიჭერს, ძველი მეგობარი მეგობრულად იქნებ გაიციხოს კიდევ და ამ საბედისწერო კითხვას სულ სხვანაირად შეატრიალებს-მეთქი! ამიტომ თავს მოვერიე და გულდაიმედებით განვაგრძე კითხვა! მაგრამ, გაგიგონიათ?! ამგვარად დასმულ კითხვას თქვენთვის წამწამიც კი ვერ შეურხევია და ისევე იმავე ყაიდაზე განაგრძობთ თავშესაქცევ ზერელე მასლაათს, თითქოს ორად გახლეჩილ და აწვნილ-დაწვნილ ქართულ მწერ-

ლობას დღეს ამის მეტი სავაებო არაფერი აწუხებდეს — „ვაჟა თუ რუსთაველი?“.

ბატონებო, ერთი სიტყვით, თქვენ მიერ დასმული ეს ფეთქებადსაშიში კითხვა „ვაჟა თუ რუსთაველი?“ უმოწყალოდ მანამებს და ჩემს წარმოდგენაში ჩემდა უნებურად გამსგავსებთ ანგელოზებრივ ბიჭუნებს, ახალაყრილი რუსული სამხედრო ნაწილის ნაბანაკეზე შემთხვევით ნაპოვნ ხელყუმბარას გულუბრყვილოდ რომ ათამაშებენ!!!

ცხადია, კარგად მესმის, რომ ეს ამ ორი გენიოსისადმი უპატივცემულობით კი არა, ენის უცოდინარობით შეგვეთხვათ. ეს დასანანია, მაგრამ არა ქარაფშუტულად გასაკვირი, ვინაიდან მშობლიური ენის წინაშე ჩვენ ყველანი თავისებურად ვცოდავთ.

ბატონებო, ახლა კი შევეხები ამ ღია წერილის მიზანს, რომელიც ამავე დროს ჩემს თხოვნასაც შეიცავს.

დღეს ქართული მწერლობა განსაცვიფრებელი ლიტერატურული ძვრებითა და შეფასებაგადაფასების ვნებათაღვლით ცხოვრობს. „მწერლის გაზეთით-ვე“ შეეიტყვე, რომ ახალმოვლენილი ორი ლიტერატურული ნათელმხილველი — პოეტი და ერთიც საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატის მუშაკი თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის ცოცხალი კლასიკოსების ამოცნობა-დასახელებას შედგომიან!.. ახლახან ისიც წავიკითხე, ხალასი ნიჭითა და ჯანსაღი ამბიციით სასვე ნორჩი მწერლები თურმე ქართული სიტყვის ერთ-ერთ დიდოსტატს, გიორგი შატბერაშვილსაც რომ ინუნებენ!.. აგერ, თქვენ თვითონაც რანაირი თავსატეხი გაგიჩინეთ — „ვაჟა თუ რუსთაველი?“

დასასრულ, ორივეს ორივე მუხლზე დაჩოქილი და მკერდზე მკლავებგადაჭდობილი ადამიანურად შეგთხოვთ: მომავალში თუ კიდევ მოიგუნებებთ, ქართველი ხალხი მსგავსი ურთულესი არჩევანისა თუ გამოცდის წინაშე დააყენოთ, მანამ ჯერ ქართული ენის ნაწილაკებისა და განსაკუთრებით კი კავშირების — „თუ“-სა და „ან“-ის ყველა მნიშვნელობა ზუსტად გაიაზრეთ ხოლმე.

მარად და ყველგან თქვენი მონა-მორჩილი ჯემალ მახრიშვილი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრეს-

ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო! რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში" მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39 ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი **თამაზ ნივნივაძე**

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4 E-mail: litsaqaartvelo@yahoo.com ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკეობით